ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 12—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—60 კ. ნომპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; გამოცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 28 თებერვალი 1928 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 48 (2091)

დღიური

— დაიხურა კომინტერნის აღმას კომის პლენუმი.
— იაპონიის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ...იუ(ჩი)-...ციონურმა პარტიამ.
— ქვისმთლელთა გაფიცვა გერმანიაში.
— გემ „ტოვარიშჩ“-ის დაჯახება იტალიის გემთან.
— საბერძნეთიდან გადაასახლეს პანაიტ ისტრატი და კაზანცაკისი.
— პროფინტერნმა ჩეხო - სლოვ აკიის გაფიცულ მეშახტეებს გადაუგზავნა 10.000 მანეთი.

ოთხშაბათს, ა. წ. თებერვლის 29, საღამოს 7 საათზე

შესდგება

სრ. საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

ს. ს. ცაკის სამდივნო

ხუთშაბათს, 1928 წლ. 1-ლ მარტს, საღამოს 6 საათზე

სახახლის წითელ დარბაზში

დანიშნულია

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის

მეორე მორიგი პლენუმი

სავალდებულოა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია სთხოვს ძველ, არალეგალურად მომუშავე, ბოლშევიკ მუშებს დაესწრონ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ზემოაღნიშნულ პლენუმს

ცენტრ. საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე: ა. დოლიძე

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა

მარტისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ახალ მიღწევებისაკენ

გასული კვირა საზეიმო კვირა იყო. მშრომელმა მასებმა გადაიხადეს წითელ არმიის ათი წლის თავი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შვიდი წლის თავი და, ბოლოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის თავი. ჩვენ მოვახდინეთ განვლილი ბრძოლების და სამეურნეო - კულტურულ მშენებლობის მიღწევების დათვალიერება.

ეს მიღწევები უაღრესად დიდია. შრომის სახელმწიფოს მუშურ - გლეხურ არმიის სახით მედგარი და საიმედო გუშაგი ყავს. რიცხვობრივად შედარებით მცირე, მაგრამ პროლეტარიატის კლასობრივი მიზნების შეგნებით მტკიცე, კულტურულად და ტეხნიკურად მომზადებული და სათანადო ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილი, ის ფხიზლად დგას საბჭოთა რესპუბლიკების სადარაჯოზე და ყოველთვის მზად არის მტრებს საკადრისი პასუხი გასცეს, თუ ისინი გაბედავენ ჩვენზე თავდასხმას. ამასთან, წითელი არმია ძლიერია თავისი მჭიდრო და განუწყვეტელი კავშირით მასებთან და უკანასკნელის მხურვალე თანაგრძნობით. ეს ერთხელ კიდევ თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა წითელ არმიის ათი წლის თავზე.

განსაკუთრებულია წითელ არმიის დამსახურება კერძოდ ჩვენი ქვეყნის მუშების და გლეხების წინაშე, რომელთაც ის დაეხმარა გამცემელ მენშევიკების და მათი ხაზეინების — იმპერიალისტების უღლის დამსხვრევაში. ამის შედეგი ყოველწლობით უფრო ნათელი ხდება იმ აღმშენებლობითი მუშაობით, რომელსაც მუშურ - გლეხური მთავრობა ეწევა ჩვენში, ომისა და მენშევიკების დროს დანგრეული სახალხო მეურნეობა აღდგენილია და მრავალ დარგში კიდეც გადავაჭარბეთ ომის წინანდელ დონეს. ფართე საფუძველი ჩაეყარა მრეწველობის შექმნა-განვითარებას. სახალხო განათლების და საერთოდ კულტურის დარგში სწრაფი ხაბიჯებით მივდივართ წინ. დიდად გაიზარდა მშრომელ მასების მატერიალური კეთილდღეობა. საგრძნობლად აიწია მათმა საზოგადოებრივმა თვითმოქმედებამ და აქტივობამ.

მიღწეულ შედეგების ნიადაგზე ჩვენ გაძლიერებული ენერგიით და ხალისით განვაგრძობთ მუშაობას ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ჩვენი აღმშენებლობის მიმართულება და გზები უკვე გარკვეულია. სოციალისტური მრეწველობის მშენებლობის გაფართოვება და ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა სავსებით გამოყენება ამ მიზნით, სასოფლო მეურნეობის მაღალ ტეხნიკურ საფუძველზე გარდაქმნა, მისი კოლექტივიზაცია მშრომელ მოსახლეობის საყოველთაო კოოპერატიული შეკავშირება და ყველა ამისათვის საჭირო კულტურული რევოლიუციის განხორციელება, - აქეთკენაა ჩვენი საქმიანობა მიმართული.

მთელი ეს მუშაობა ჩვენგან თხოულობს არა მარტო უამრავ საშუალებებს, არამედ ამასთან ერთად მტკიცე გეგმიანობას და მიზანშეწონილ ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. უგეგმობა, საქმის გაჭიანურება, შეუთანხმებელი მუშაობა, უცოდინარობა ხშირად მძიმე ტვირთად გვაწევს. ყველაფერი ეს აძვირებს ჩვენს მშენებლობას და აფერხებს წინსვლას სოციალიზმისაკენ. ეს ნაკლულოვანებანი უნდა დავსძლიოთ რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

ამისათვის პირველ ყოვლისა საჭიროა თვით მასების უფრო მეტი ამოძრავება და დაინტერესება ჩაბმა მშენებლობაში, აგრეთვე საბჭოთა და სხვა ორგანოების ყურადღების და საქმიანობის ცენტრში იმ სამეურნეო და კულტურულ ამოცანების მოქცევა, რომელნიც ჩვენს წინაშე დგანან ამჟამად, და მათ მუშაობაში ბიუროკრატიზმის და უთავბოლობის ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრა.

ამასთან აშკარაა, რომ ჩვენი მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა კიდევ არ არის დაცული ბურჟუაზიული მსოფლიოს თავდასხმისაგან. იმპერიალისტები კვლავ ათასგვარ საშუალებებს მიმართავენ, რომ გაართულონ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საბოლოო ანგარიშით გამოილაშქრონ მის წინააღმდეგ. აქედან — ზრუნვა წითელ არმიის შემდგომი განმტკიცებაზე და მოსახლეობის თავდაცვის უნარის გაძლიერებაზე მუდამ დგას ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში.

აშკარაა ისიც, რომ სოციალისტური მშენებლობის შესაძლებლობის და წარმატების ძირითადი საწინდარია საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხთა ურყევი სოლიდარობა და ძმური თანამშრომლობა, ეს გამომდინარეობს თვით საბჭოთა სისტემის ბუნებიდან. საბჭოთა ხელისუფლების ერთი უდიდესი მიღწევა საერთოდ საბჭოთა კავშირში და კერძოდ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში არის ის, რომ წინედ მეფის და ნაციონალისტური მთავრობების მიერ დათესილი მტრობა ერთა შორის აღმოფხვრილია და დამყარებულია სრული ეროვნული მშვიდობიანობა. ამის დემონსტრაცია ჩვენ ვიხილეთ თუ გინდ სახელმწიფო უნივერსიტეტის გამო გამართულ საზეიმო სხდომაზე, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად ჩვენს კულტურულ გამარჯვების თარიღს ზეიმით შეხვდენ მეზობელ რესპუბლიკათა წარმომადგენლები. უფრო მეტი სამეურნეო და კულტურული დაკავშირება საბჭოთა რესპუბლიკებ შორის, კერძოდ ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის — შემდეგშიც ამ ლოზუნგით იწარმოებს ჩვენი მუშაობა.

განვლილმა დღესასწაულებმა ნათელი ყვეს, რომ საქართველოს მშრომელთ კარგად აქვთ შეგნებული სოციალისტური მშენებლობის დარგში მათ წინაშე დღეს წამოჭრილი ამოცანები და მათი გადაჭრის საშუალებანი. ამ დღესასწაულებმა ამავე დროს ცხადი გახადეს, რომ მასებს გააჩნიათ უშრეტი ნებისყოფა და წყურვილი იბრძოლონ და იმუშაონ თავისი საბოლოო მიზნების მისაღწევად, და ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ახალ წლის თავზე ჩვენ შევიქნებით ახალი გამარჯვებათა და მიღწევათა მოწმენი.

კომუნისტური მანიფესტის 80 წ. თავი

ეს დღეები და თვეები—დეკემბერი, იანვარი და თებერვალი— მნიშვნელოვანია კიდევ ერთი იუბილეით, 80 წლის წინად, როცა ევროპის 1848 წლის რევოლიუციების ქარიშხალი ახლოვდებოდა, კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა, მაშინდელი „კომუნისტების კავშირის“ დავალებით, გამოსცეს დოკუმენტი, რომელმაც წარუხოცელი გავლენა მოახდინა მთელ შემდგომ ისტორიაზე. ეს დოკუმენტია კომუნისტური მანიფესტი, რომელშიაც მთელი მსოფლიოს წინაშე იშვიათის გარკვეულობით და გენიალური გამჭრიახობით ჩამოყალიბებული იყო მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი პრინციპები.

80 წელმა განვლო. ეს უდავოდ დიდი დროა მსოფლიო განვითარების იმ ტემპისათვის, რომელიც ახასიათებს 1848—1928 წ. ხანას. მაგრამ, მიუხედავად პროლეტარიატის აშკარა და ფარული მტრების ყოველგვარი ცდისა მათ ოდნავადაც ვერ შესძლეს კომუნისტური მანიფესტის ორჭოფის მტკრით დაფარვა და მისი ისტორიისათვის ჩაბარება. დღემდე კომუნისტური მანიფესტი რჩება საყვარელ - წიგნად თვითეულ შეგნებულ რევოლიუციონერ მუშისათვის. დაუშრეტელ რევოლიუციონური სიმხნევითა და ენერგიით არის აღსავსე მანიფესტის გასაოცარი ფურცლები, რომლებიც აცისკროვნებენ თანამედროვე პროლეტარიატის ბრძოლის დიად გზას.

მარქსისა და ენგელსის მანიფესტის ფოლადისებურ სტრიქონებში ჩამოყალიბებული რევოლიუციონური აზრი მოგვითხრობს ისტორიის ძირითად მამოძრავებელ ძალებზე—კლასთა ბრძოლაზე, სახელმწიფო ხელისუფლების ბუნებაზე, წარმოების ბურჟუაზიული წესის წარმოშობასა და განვითარებაზე, კლასობრივი წინააღმდეგობის ზრდაზე, კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლის ურთიერთ დამოკიდებულებაზე. თანამედროვე პროლეტარიატის წარმოშობასა და ზრდაზე, მის ისტორიულ როლზე და მომავალი კომუნისტური რევოლიუციის აუცილებლობაზე. მათი იდეების მტკიცე და უძლეველი ლოღიკა წარმოადგენს პროლეტარული რევოლიუციის პირველ მეცნიერულ დასაბუთებას.

ყველა ქვეყნის კომუნისტები და მათი მიმდევარი მუშები სდგანან მარქსისა და ენგელსის კომუნისტური მანიფესტის მეცნიერულ ნიადაგზე. მანიფესტისა და მარქსის მთელი მოძღვრების ერთად ერთი სრულ-უფლებიანი მემკვიდრე არის მესამე ლენინური კომუნისტური ინტერნაციონალი.

მეორე მხრით სრულიად გასაკვირიც არაა, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატია და მისი წარმომადგენლები, რომელთაც მარქსისტებათ მოაქვთ თავი, სისტემატიურად უწევენ რევიზიას კომუნისტური მანიფესტის დებულებებს და არც შეიძლება არ გაუწიონ რევიზია.

რევიზიონისტული იერიშები მანიფესტის წინააღმდეგ მიმართულია იქითკენ, რომ აღმოფხვრან ის ბრძოლის სული და რევოლიუციონური შინაარსი, რომლითაც გამსჭვალულია მანიფესტი პირველ სტრიქონიდან უკანასკნელ სტრიქონამდე, ამ იერიშების მიზანს შეადგენს დაამახინჯოს და წარყვნას მარქსისა და ენგელსის უდიდესი მუშაობა და აქციოს ის თავის საწინააღმდეგო და უარმყოფელ გაძლიერეად და ობიექტივისტ-რადიკალის ფილისტერულ დებულებად.

არა საჭირო სიით ამ ოპერაციების ჩამოთვლა, რომლებიც გაუკეთეს მანიფესტს ოპორტუნისტებმა თავის დროზე კაუცკით და გათავებული ოტტო ბაუერით. საკმარისია მიუთითოთ, რომ ვენის „მუშათა გაზეთი“, რომელმაც სულ ტყუილა შეიწუხა თავი მანიფესტის ოთხმოცი წლის თავის მოგონებით, ჩამოსთვლის რა მანიფესტის „ზოგიერთ ნაკლს“ (თითქოს მანიფესტი „არ იცნობდა დემოკრატიას და არც შეეძლო მისი გათვალისწინებაო“, მხოლოდ ამ „შესწორებით“, რომელიც ეხება მე-2 ინტერნაციონალის წმინდათაწმიდას, ბურჟუაზიულ დემოკრატიას, შესწორებით, რომელიც სპობს მარქსის მოძღვრების რევოლიუციონურ შინაარსს, მხოლოდ ამ „შესწორებით“ მზად არიან ავსტრომარქსისტები მიიღონ მანიფესტი და დათანხმდნენ, რომ ის „არ დაძველებულა“. ამ რიგად კვლავ ისხება ზომბარტებისა და ბერნშტეინების ძველი საზიზღარი ლეგენდა ორ მარქსზე: ევოლიუციონისტმარქსზე, რომელსაც ვითომ შეეძლო არ მიეყენებია განსაკუთრებული უსიამოვნება ბურჟუაზიისათვის, ემსჯელა ობიექტიურად და მდგარიყო დემოკრატიის ნიადაგზე, და მეორე მარქსზე, რომლის სულშიაც ცოცხლობდა რევოლიუციონური ამბოხება, კრამოლა და „ერთგვარი დიქტატურა“. თანამედროვე ოპორტუნისტები, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოგონილი პირველი მარქსის მომხრენი არიან. მარქს—რევოლიუციონერს, მარქსს, რომელიც „გაკვრით ლაპარაკობდა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ“ (სიტყვა „გაკვრით ლაპარაკი“ ეკუთვნის, რა თქმა უნდა, ობერ-იუდას კაუცკის) „არსებითი“ მნიშვნელობა არ აქვს. კომუნისტ. მანიფესტის სიტყვები „კომუნისტური რევოლიუციის“ შესახებ თურმე მხოლოდ მღელვარე ახალგაზრდობის ცოდვებია, ახალგაზრდობის, როცა მარქსი ვერ არჩევდა ჩვენი დროის ოპორტიუნისტულ პითიებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ყველა მშვენიერებისაგან.

ამავე დროს სინამდვილეში კომუნისტური მანიფესტი წარმოადგენს თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის საბრალმდებლო დაკუმენტს, რომელიც ჰგმობს მთელ მის იდეოლოგიასა და პოლიტიკას, მთელ მის ოპორტუნისტულ მოღვაწეობას. კომუნისტური მანიფესტის არა მარტო აზრები, არამედ ენაც კი, რომელიც გაჟღენთილია დაუდგრომელი ნებისყოფითა და ვნებით, ამათრახებს ეხლანდელ სოციალისტებს.

„თანამედროვე სახელმწიფო ხელისუფლება არის მხოლოდ კომიტეტი, რომელიც ბურჟუაზიის საზოგადოებრივ საქმეებს განაგებს“. მანიფესტის ამ თეზისს სოციალ-დემოკრატები ისე გაურბიან, როგორც ცეცხლს. ოლონდაც! განა ისინი გაბედავენ ამ თეზისის გამოყენებას ბოლდუინის „ზეკლასიური“ მთავრობის მიმართ, გერმანიის ეხლანდელი სახელმწიფო ხელისუფლების მიმართ, რომელიც სუპერარბიტრის როლში „მიუდგომლად“ არიგებს გერმანელ მელითონეებს მათ სულთამხუთავ კაპიტალისტებთან, ანდა „ზეკლასიურ“ ერთა ლიგის მიმართ! თუ თანამედროვე სოციალისტების ბელადებს დაუჯერებთ, შეიძლება ვიფიქროთ, მარქსი რომ ეხლა ცოცხალი ყოფილიყო და მონაწილეობა მიეღო განიარაღების კომისიაში, გასცნობოდა „ლოკარნოს სულს“, ან ყოფილიყო ვენაში 1927 წ. ივლისის ამბების დროს, ის უეჭველად ამოშლიდა თავის თეზისს სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივი ხასიათის შესახებ.

„აჩრდილი დაძრწის ევროპაში, კომუნიზმის აჩრდილი“. ასე იწყება კომუნისტური პარტიის მანიფესტი. ძალიან კარგად იცნობენ თანამედროვე სოციალ-დემოკრატები ამ აჩრდილს, რომელმაც დიდი ხანია რაც ძილი დაუფრთხო მათ. და ისე, როგორც მაშინ, კომუნისტური მანიფესტის დროს, „ამ აჩრდილთან საღვთო ბრძოლისათვის ერთიანდებოდენ ძველი ევროპის ყველა ძალები—პაპა და მეფე, მეტტერნიხი და გიზო, საფრანგეთის რადიკალები და გერმანიის პოლიციელები“,—დღესაც კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდენ მუსოლინი, ჩან-კაი-ში, კენტერბერიის ეპისკოპოსი. მაკდონალდი, პუანკარე-ომი და გერმანიის სოციალ-პრეზიდენტები. და კიდევ უფრო საზიზღარი შეტევათ გადაიქცევა ეს „საღვთო ბრძოლა“. „მაგრამ თქვენ, კომუნისტებს, გსურთ საერთო ცოლიანობის შემოღება,—გვიკიჟინებს ჩვენ ერთხმად მთელი ბურჟუაზია“—სწერდენ მარქსი და ენგელსი 80 წლის წინად. განა ეს, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე არ ჰგავს „ტაიმსის“ რედაქტორების ეხლანდელ ბოდვას სისინს, განა აქ არ შეიძლება არ მოვიგონოთ კაუცკის ისტერიული მოთქმა „ქალების სოციალიზაციის“ შესახებ საბჭოთა კავშირში?

ანდა ავიღოთ მანიფესტის შესანიშნავი დებულება წარმოების კაპიტალისტური წესის მესაფლავეთა შესახებ: „მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება ის საფუძველი, რომლის წყალობით ის ითვისებს პროდუქტებს. ის უწინარეს ყოვლისა ქმნის საკუთარ მესაფლავეებს. მისი დამარცხება და პროლეტარიატის გამარჯვება ერთნაირად აუცილებელია“.

ვინაა თანამედროვე ბურჟუაზიის ეს მესაფლავენი? ლეიპარტები, ჟუოები, ნოსკები და სხვა სისხლის მსმელი ძაღლები ხომ არ არიან კაპიტალიზმის ეს მესაფლავენი? ესენი არიან პროლეტარიატის მესაფლავენი, ეს გაცილებით უფრო შეფერისთ მათ. მესაფლავეთა როლს საუკეთესოდ ასრულებდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატია მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის დროს. მრავალი მილიონი პროლეტარების საფლავები გალიციასა და მარნის ველებზე მეტყველურად მოწმობენ თანამედროვე მესაფლავე სოციალ-დემოკრატიის საგმირო საქმეებზე. შეიძლება მოვიგონოთ ... ვე? მართალია, ის თავის მსხვერპლთ ეთამაშება გოლფს და ორდენებსაც-კი ღებულობს მათგან. ყოველ შემთხვევაში ინდოეთის მესაფლავის როლს ის ცუდათ არ ასრულებს. სოციალ-დემოკრატიის ბელადებს შორის მოიძებნებიან ისეთი ვაჟბატონებიც, რომლებიც სიამოვნებით იკისრებენ საბჭოთა კავშირისა და პროლეტარულ დიქტატურის მესაფლავეთა როლს, მაგრამ ამისთვის ხელები მოკლე აქვთ. მაგრამ რა შუაშია აქ, იკითხავთ, მარქსის ნალარის მოწოდება კაპიტალიზმის მესაფლავეებისადმი. რა შუაშია აქ კომუნისტური მანიფესტი, რომლის მესაფლავედაც სიწმინდეში თანამედროვე სოციალ-დემოკრატია გამოდის?

მხოლოდ კომუნისტები და მათი მიმდევარი ყველა ქვეყნის მუშები არიან დიადი კომუნისტური მანიფესტის ნამდვილი მემკვიდრენი და პატიოსანი მიმდევრები, ლენინმა, ბოლშევიკებმა, სპარტაკელებმა და პიტერის რევოლიუციონურმა პროლეტარებმა აწიეს მაღლა საზიზღარ მსოფლიო ომის დროს ფეხქვეშ გათელილი და ტალახში და სისხლში ამოსვრილი კომუნისტური მანიფესტის რევოლიუციონური დროშა. ეს ისინია, ვინც უშიშრად შეუტია, მანიფესტის ანდერძის თანახმად, ძველი საზოგადოების „ძალმომრეობით დამხობას“, ვინც მოიწოდა იმპერიალისტური ომის, სამოქალაქო ომად გადაქცევა, ვინც ხელი მიჰყო საბჭოების სახელმწიფოს შექმნას, რომლის წინააღმდეგ „ძველი ევროპის ყველა ძალები“ ამხედრდა. აი ესენი არიან მანიფესტის ნამდვილი მემკვიდრენი. ლენინის ინტერნაც. და სოციალიზმის მშენებელნი საბ. კავშირში 1848 წ. და კომუნისტური მანიფესტის ცეცხლიან ლოზუნგებთან დაკავშირებული არიან ლენინის „სახელმწიფო და რევოლიუციას“ მტკიცე ძაფებით და ეს კავშირი იარსებებს მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების საზეიმო დღემდე. და ქვეყნად არაა ძალა, რომელიც ამ ძაფების გაწყვეტას შესძლებდეს.

კომუნისტური მანიფესტი ჩვენია. ის ჩვენი ბრძოლის ნაცადი და სახელოვანი იარაღია. დეე ძრწოდეს ბურჟუაზია მის დამქაშ სოციალისტების შტაბთან ერთად. ჩვენ უპასუხებთ მათ კომუნისტური მანიფესტის დაუჭკნობელი ბოლო სიტყვებით.

„კომუნისტებს ზედმეტად მიაჩნიათ თავიანთი შეხედულებებისა და განზრახვების დაფარვა. ისინი აშკარად აცხადებენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შეიძლება მთელი ეხლანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით დამხობის გზით. დეე, გაბატონებული კლასები ძრწოდენ კომუნისტური რევოლიუციის წინაშე. პროლეტარები მხოლოდ ბორკილებს დაჰკარგავენ. შეიძენენ კი მთელ მსოფლიოს. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“.

„პრავდა“, 26 თებერვალი.

საქართველოს ლენინური კომკავშირი

(მე-9 ყრილობის გამო)

სრული ორი წელი გავიდა საქართველოს ლენინურ კომკავშირის მე-8 ყრილობიდან. ორი წელი, მეტად მნიშვნელოვანი თავის შინაარსით. ამ ხნის განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა, გაძლიერდა და განმტკიცდა ჩვენი საბჭოთა კავშირი, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად. მან დიდი ნაბიჯი გადასდგა დასახულ მიზნისაკენ—სოციალიზმისაკენ და მუშებისა და გლეხების თაოსნობით შემოქმედებითი მუშაობით მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ჩვენს ბრწყინვალე მომავალს.

ჩვენი ქვეყანაც, საბჭოთა საქართველო, არ ჩამორჩენია დიდი კავშირის სხვა ნაწილებს. ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების დამამტკიცებელი უდავო ფაქტები არა ერთხელ აღნიშნულა ჩვენს პრესაში. არ არის ამიტომ საჭირო კიდევ შევჩერდეთ ამ ფაქტებზე, ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველოს მუშებისა და გლეხების ბრძოლაში სოციალიზმისათვის, თავიდანვე საპატიო ადგილი ეჭირა და ეხლაც უჭირავს მის განუყრელ ნაწილს —მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას.

კომკავშირს, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ახალგაზრდობას და წარმოადგენს მის მოწინავე მებრძოლ რაზმს, შეუძლია აღნუსხოს ეს მნიშვნელოვანი მიღწევები, მოპოებული ამ ბრძოლის პროცესში.

როგორია ეს მიღწევები? უპირველესად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში კომკავშირმა შესძლო მჭიდროთ დაკავშირებოდა პარტიას სოციალისტურ მშენებლობის ფრონტზე.

დღეს კომკავშირელი საბჭოს წევრი უკვე ითვლება საზოგადოებრივ ცხოვრების სამაგალითო და აქტიურ წევრად; დღეს არა ერთი და ორი ასეული და ათასეული კომკავშირელი მუშა ითვლება სამაგალითო მუშათ წარმოებაში.

თუ ავიღებთ კომკავშირის მუშაობას სოფლად, ჩვენ დავინახავთ, რომ არა ერთი და ორი სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი და გაერთიანება ჩამოყალიბებული კომკავშირის ინიციატივით. რამოდენიმე ასეული ვერსის მანძილზე გაყვანილია სასოფლო გზები, შეკეთებულია ხიდები, სკოლები, სამკითხველოები, გაყვანილია სასმელი წყალი და სხვ. და ყველა ეს მუშაობა ჩატარებულია კომკავშირის ინიციატივით, მისი პირადი მონაწილეობით და შრომით.

კომკავშირმა ამ ხნის განმავლობაში შეიტანა თავისი მეტად მნიშვნელოვანი წვლილი სახალხო განათლების საქმეშიც. კომკავშირის ინიციატივით და უშუალო დახმარებით ჩამოყალიბდა და მუშაობა დაიწყო რამოდენიმე ათეულმა სოფლის ახალგაზრდობის სკოლამ, რომელნიც უკვე შესამჩნევ როლს თამაშობენ ჩვენი სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის დაწყებულ ბრძოლაში.

კომკავშირის რიგებიდან გამოვიდა და აღიზარდა უკვე მნიშვნელოვანი კადრი ახალი კომუნისტური ინტელიგენციისა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს კულტურული რევოლიუციისათვის ჩვენში.

თუ ჩვენ შევეხებით კომკავშირის პოლიტიკურ აქტივობას, აქ ჩვენ არა ნაკლებ მიღწევებთან გვაქვს საქმე. ომის უშუალო საშიშროებამ გამოააშკარავა, რომ კომკავშირი მზად არის ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეული პასუხი გასცეს მტერს, ვინც არ უნდა იყოს იგი,—შინაური თუ გარეშე. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღვნიშნოთ მთელი რიგი კომკავშირული ლაშქრობანი, რომელიც არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით ჩატარდა მთელს საქართველოს ორგანიზაციაში. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ კომკავშირმა გულდასმით მიჰყო ხელი გასამხედროების საქმეს. ის აღფრთოვანება, რომელიც გამოიჩინა კომკავშირმა ინგლისელ მეშახტეთა დახმარების საქმეში ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ კომკავშირში მძლავრია ინტერნაციონალიზმის და სოლიდარობის ცეცხლი.

ამ ორი წლის განმავლობაში კომკავშირმა გადაიტანა ერთი ფრიად დიდი გართულება, ეს სირთულე გამოწვეული იყო იმ ბრძოლით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს პარტიაში და რომელიც იმავე ფორმებში გადატანილ იქნა კომკავშირში.

კომკავშირმა აქაც შესძლო მჭიდროთ დაერაზმა თავისი რიგები ყოველგვარ ანტი-ლენინურ გადახრების წინააღმდეგ; მან შესძლო შეენარჩუნებია სწორი რევოლიუციონური ხაზი საბჭოთა კავშირის შემდგომ განვითარებისათვის და მტკიცეთ დამდგარიყო პარტიის და კომკავშირის მთლიანობის სადარაჯოზე.

ეჭვს გარეშეა ის მიღწევები, რომელიც ახასიათებს ოოეს საქართველოს კომკავშირს. მაგრამ უდავოია ისიც, რომ ჩვენს მუშაობას თან სდევს კიდევ მრავალი ნაკლი.

აი სწორედ ამ ნაკლთა გამოსწორების გზით, სოციალისტურ მშენებლობაში პარტიის მიერ მოცემული ხაზის გატარების გზით, წარიმართება მუშაობა საქართველოს კომკავშირის მე-9 ყრილობის, რომელიც გაიხსნა გუშინ.

გ. ჯავახიძე.

უთანხმოება უშიშროების კომიტეტის სესიაზე

ჩეხო-სლოვაკიის მენშევიკები მეშახტეთა გაფიცვის ჩაშლას ამზადებენ

გერმანია-ესტონეთის ურთიერთობა.--ესტონეთის მთავრობის მანიფესტი

რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში ფართოვდება.—ხუბეის პროვინციაში დაარსდა საბჭოები

უშიშროების კომიტეტის სესია

ჟენევა, 26 თებერვალი. უშიშროებისა და არბიტრაჟის კომიტეტის სესიის 24 თებერვლის სხდომაზე დამთავრდა მუხლობრივი განხილვა მოხსენებებისა არბიტრაჟის და შეთანხმების პროცედურის შესახებ. საერთო და ორ მხარეს შორის საარბიტრაჟო ხელშეკრულებების მომხრენი ისევ იცავდნენ თავ-თავის თვალსაზრისს; ამრიგად კამათი უშედეგოდ დასრულდა. შეთანხმება მიღწეული არ არის არც ერთ საკითხზე.

კამათის შემდეგ კომიტეტმა დაავალა სარედაქციო კომისიას შეიმუშაოს ორი პროექტი. საერთო საარბიტრაჟო ხელშეკრულების და ორ მხარეს შორის საარბიტრაჟო ხელშეკრულების. კანადის დელეგატმა წამოაყენა წინადადება, რომ კომიტეტმა დაამუშაოს პროექტი შეთანხმების პროცედურისა, რომელიც უნდა ჩაატაროს პარიტეტულ საფუძველზე ორ დაინტერესებულ სახელმწიფო კომისიამ არბიტრის მონაწილეობის გარეშე.

24 თებერვალს სწარმოებდა სარედაქციო კომისიის დახურული სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, რომ არის თუ არა სასურველი ერთა ლიგის რეკომენდაცია საარბიტრაჟო და საგარანტიო რაიონულ ხელშეკრულებების დადების დროს. გერმანიის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს ერთა ლიგის რეკომენდაციის საჭიროების წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ რეკომენდაცია არღვევს ასეთ ხელშეკრულებათა ნებაყოფლობის პრინციპს. სარედაქციო კომისიის ერთი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ საფრანგეთის დელეგატები, იცავდა ერთა ლიგის რეკომენდაციისა და შუამავლობის პრინციპს, უმთავრესად რაიონულ საგარანტიო ხელშეკრულებების დადების დროს. ვინაიდან შეუძლებელი გახდა ორი ჯგუფის თვალსაზრისის შეთანხმება, საკითხი გადატანილია სარედაქციო კომისიის შემდეგ სხდომაზე, რომელიც შესდგება 27 თებერვალს (ადს).

კამათი პოლიტისის მოხსენების გარშემო

ჟენევა, 26 თებერვალი. უშიშროების კომიტეტი შეუდგა პოლიტისის მოხსენების განხილვას საგარანტიო ხელშეკრულებების შესახებ.

კამათში გამოვიდა გერმანიის დელეგატი სიმსონი, რომელმაც აღნიშნა, რომ სანამ დაისმება საკითხი საგარანტიო ხელშეკრულებათა შესახებ, საჭიროა საერთაშორისო პოლიტიკურ ატმოსფეროს გაჯანსაღება, ვინაიდან ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა არ უწყობს ხელს საგარანტიო ხელშეკრულებათა დადებას. სიმსონმა აღნიშნა გერმანიის და მისი მეზობლების არათანასწორი მდგომარეობა და განაცხადა, რომ იმ დროს, როცა გერმანია სავსებით განიარაღებულია, მის მეზობლებს აქვთ შესაძლებლობა განუსაზღვრელად გააძლიერონ შეიარაღება.

შემდეგ კამათი სწარმოებდა იმის გარშემო თუ საგარანტიო ხელშეკრულების რამდენი პროექტი უნდა წარუდგინოს კომიტეტმა განიარაღების კონფერენციას.

პოლიტისის წინადადებების თანახმად დამუშავებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების ორი პროექტი: ერთი პროექტი, რომელიც მხოლოდ ითვალისწინებს საგარანტიო ხელშეკრულებას ორ მხარეს შორის, მეორე—პროექტი ხელშეკრულებისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს რამოდენიმე სახელმწიფო.

საფრანგეთის და პოლონეთის დელეგატებმა გაილაშქრეს პოლიტისის პროექტის წინააღმდეგ.

მეშახტეთა გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 26 თებერვალი. მოლაპარაკება, რომელიც პრაღაში სწარმოებდა ჩრდილო-დასავლეთ ბოჰემიის გაფიცულ მეშახტეთა წარმომადგენლებსა და მაღაროს მეპატრონეთა შორის კონფლიქტის მოგვარების შესახებ, უშედეგოდ დამთავრდა. მოლაპარაკება შესწყდა სამშაბათამდე, მას შემდეგ, რაც ორივე მხარემ უარყო შრომის სამინისტროს ახალი საშუამავლო წინადადება.

მთავრობის ახალი წინადადება შეიცავდა შემდეგს: სამუშაო ხელფასის გადიდება 8 პროცენტით, პრემიალური სისტემის შემოღება, სამუშაოს დღის გადიდება მაღაროებში ... 7-დან 8 საათამდე, სამუშაო ... წელიწადში. გაფიცულები რომელნიც იღაშქრებენ სამუშაო დღის გადიდებისა და პრემიალური სისტემის შემოღების წინააღმდეგ, მოითხოვენ ჯამაგირის გადიდებას 20 პროცენტით.

კომუნისტური ორგანო „რუდე პრავო“ შრომის სამინისტროს საშუამავლო წინადადებას უწოდებს პროვოკაციულს. რეფორმისტები, რომელნიც მეთაურობენ მოლაპარაკებას გაფიცულთა მხრით, უკვე აცხადებენ, რომ მზად არიან დასთანხმდნენ პრემიალური სისტემის შემოღებაზე, თუ სამუშაო ხელფასი გადიდებულ იქნება მხოლოდ 7,5 პროცენტით.

ხუთი დიდი მაღაროს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება ყველა გაფიცულთადმი, რომელშიაც ნათქვამია, რომ მოლაპარაკება მწარმოებლებთან მეშახტეთა სახელით სწარმოებს ისეთ საფუძველზე, რომელიც ეწინააღმდეგება გაფიცულთა ნებასურვილს.

შემდეგ მოწოდებაში ნათქვამია, რომ საგაფიცვო კომიტეტმა, რომელსაც რეფორმისტები ხელმძღვანელობენ, არ ... სთ... ხანგრძლივება მთელი გაფიცული ოლქის მეშახტეთა საერთო კონფერენციის მოწვევის შესახებ და ამიტომ მოწოდებაზე ხელის მომწერი ხუთი კომიტეტი თვითონ იწვევს ამ კონფერენციას 26 თებერვალს.

როგორც „რუდე პრავო“ იუწყება, მოსტში (გაფიცვის ერთ-ერთი ცენტრი) გაიგზავნა იარაღით დატვირთული ორი ვაგონი (ადს).

ესტონეთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავი

პარლამენტის მანიფესტი

რეველი, 26 თებერვალი. ესტონეთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავზე შესდგა პარლამენტის საზეიმო სხდომა, რომელზედაც სახელმწიფოს მეთაურმა ტენისონმა მანიფესტი წაიკითხა.

საგარეო პოლიტიკის საკითხების გამო მანიფესტში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შესაძლებელია გულითადი ურთიერთობა და მჭიდრო კონტაქტი შევინარჩუნოთ ჩვენს მოკავშირე ლატვიასთან, მოძმე ფინელ ერთან და პოლონეთთან ბალტიის ზღვასთან მდებარე ყველა სახელმწიფო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის დაინტერესებულია, რომ ბალტიის ზღვა დარჩეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობის თავისუფალ გზისად“.

მანიფესტის იმ ნაწილში, სადაც მოთხრობილია ესტონეთის დამოუკიდებლობის წარმოშობა, სხვათა შორის, რამდენიმე მკაცრი სიტყვაა ნათქვამი გერმანიის ჯარების მიმართ, რომლებმაც იმის დროს ესტონეთის ოკუპაცია მოახდინეს (ადს).

გერმანიის პოზიცია

ბერლინი, 26 თებერვალი. „ტელეგრაფენ უნიონ“-ის სააგენტო პროვოკაციულ უწყებს ესტონეთის პარლამენტის მანიფესტს ესტონეთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავის გამო. სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის ელჩმა ესტონეთში მონაწილეობა არ მიიღო ზეიმში, რადგან მანიფესტი შეიცავს აშკარა არამეგობრულ ტენდენციას გერმანიის წინააღმდეგ.

ვოლფის სააგენტო იუწყება:

ესტონეთის მთავრობის მანიფესტის გამო მცოდნე წრეები გვატყობინებენ: გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ესტონეთის დამოუკიდებლობის ათი წლისთავამდე რამდენიმე დღის წინათ ცნობა მიიღო, რომ მანიფესტში ნახმარი იქნება გერმანიის წინააღმდეგ მიმართული არამეგობრული გამოთქმანი, ამის გამო გარეშე საქმეთა სამინისტრო ჯერ კიდევ მანიფესტის გამოქვეყნებამდე სათანადოდ გამოეხმაურა ესტონეთის მთავრობას, ამავე დროს წინადადება მისცა გერმანიის ელჩს რეველში, რომ მონაწილეობა არ მიეღო ესტონეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულში, თუ მანიფესტის ნავარაუდევი ტექსტი არ შეიცვლებოდა. ამის პასუხად ესტონეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მანიფესტის ტექსტი, სამწუხაროდ, ტეხნიკური მიზეზების გამო ველარ შეიცვლება, მაგრამ ესტონეთის მთავრობა გერმანიის მიმართ მეგობრულ პოლიტიკას ადგია.

ზემოხსენებულის გამო გერმანიის ელჩს რეველში, გარეშე საქმეთა სამინისტროს კარნახით, მონაწილეობა არ მიუღია ესტონეთის დამოუკიდებლობის ათი წლის თავის დღესასწაულში (ადს).

„გაუმარჯოს ესტონეთის, მშრომელთა რესპუბლიკას“!

რეველი, 26 თებერვალი. სოციალ-დემოკრატების ორგანო „რახვა ხეელ“ ესტონეთის იუბილეის გამო მბეჭდავს პარტიის მოწოდებას, რომელშიაც აღნიშნულია მშრომელთა მასების მძიმე მდგომარეობა. მოწოდებაში ნათქვამია, რომ საგარეო პოლიტიკაში მთავრობა მხოლოდ მიმდინარე საქმეების გადაწყვეტას მისდევდა, უსიამოვნებას ეძებდა საბჭოთა კავშირთან და საამისოდ ყოველნაირ, ცოტად თუ ბევრად, შესაფერ შემთხვევას იყენებდა, როგორიცაა, მაგალითად, საბჭოთა კავშირისა და ლატვიის სავაჭრო ხელშეკრულების დადება.

მოწოდება თავდება ლოზუნგით: „გაუმარჯოს ესტონეთს—მშრომელთა რესპუბლიკას“! (ადს).

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვილნო, 26 თებერვალი. 23 თებერვალს დაიწყო დამთავრდა ფორმალური მხარეები, რომლებიც დაკავშირებული იყო ბელორუსთა გრომადის პროცესზე გამოწვეულ მოწმეების დაფიცებასთან. დაიწყო საბრალმდებლო აქტის კითხვა. დამცველებმა მოითხოვეს, რომ გადასინჯულ იქნას სასამართლოს გადაწყვეტილება მთელი რიგ მოწმეების გამოუწვევლობის შესახებ, ვინაიდან ამ მოწმეთა ჩვენებას, დამცველების აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. მოწმეთა ამ ჯგუფში შედიან—„ვიზვოლენიე“-ს პარტიის ლიდერი ტუგუტ, ქალაქ ლოძის პრეზიდენტი ზემენსკი და ბაბიჩი. ბაბიჩს, რომელიც გამოდიოდა „კომინტერნის ემისარის“ როლში, სინამდვილეში უჭირავს ხაზის კომისარის თანამდებობა და პროვოკატორ გურინთან ერთად წარმოადგენს პროცესის უმნიშვნელოვანეს ფიგურას.

ვილნოს მონარქისტების გაზეთი „სლოვო“ აცხადებს, რომ ასამართლებენ „მხოლოდ კომუნისტურ აგიტატორების, კომინტერნის აგენტების და სახელმწიფო ღალატსამართლის ... წევრების უმნიშვნელო ჯგუფს“ და ხაზს უსვამს, რომ „არავინ არ შეეცადა პროცესის დასაწყისში მოეწყო თანაგრძნობის დემონსტრაცია“. სინამდვილეში კი მიღებული იყო ყველა ზომები, რომ დაშვებული არ ყოფილიყო დემონსტრაცია. სასამართლოს შენობა და მახლობელი ქუჩები გავსილი იყო პოლიციელებით, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით. სასამართლოში უშვებენ მხოლოდ სპეციალური ბარათებით, რომლებსაც სასტიკად სინჯავენ. ეტლს, რომლითაც სასამართლოში მიჰყავთ ბრალდებულები, თან დაჰყვება ცხენოსანი და ქვეითი პოლიციის რაზმები.

ვილნო, 26 თებერვალი. 24 თებერვალს ბელორუსიის გრომადის პროცესზე გრძელდებოდა საბრალმდებლო აქტის კითხვა. კითხვის დროს სასამართლოს სხდომა სამჯერ გამოცხადდა დახურულად იმ ადგილების წასაკითხავად, რომლებიც „შეადგენენ სახელმწიფო საიდუმლოებას“ (ადს).

კუკის განცხადება

ლონდონი, 26 თებერვალი. კუკმა კენინგტონში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: „1928 წელში მოხდება უდიდესი ეკონომიური შეტაკება, რომელიც გამოიწვევს კოოპერატიული საზოგადოებრივი წყობილების ან მონური სახელმწიფოს შექმნას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამ შეტაკებისათვის, და მე იმედი მაქვს, რომ მოწამე ვიქნები მეშახტეთა საერთაშორისო გაფიცვის, მაგრამ ემზადება თუ არა ამისათვის გენერალური საბჭო“?

დასასრულ, კუკმა განაცხადა, რომ იგი იზიარებს მუშათა კლასის განთავისუფლებას არ სცნობს შესაძლოდ ეხლანდელი პოლიტიკური და სამრეწველო ხელმძღვანელობის არსებობის გამო (ადს).

პერსელისა და პოლსვორტის „მისია“ ინდოეთში

ლონდონი, 26 თებერვალი. როიტერის სააგენტო იუწყება: თემთა პალატის წევრი პერსელი და პოლსვორტი, რომლებიც ბრიტანეთის ტრედ-იუნიონებმა გაგზავნეს ინდოეთში, გამოვიდნენ ტრედ-იუნიონების სრულიად ინდოეთის კონგრესის საბჭოს სხდომაზე და გაუზიარეს მას ინდოეთში მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი. სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი სრულიად ინდოეთის პროფკავშირების კონგრესის ამსტერდამის ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ.

ბომბეის გლეხთა და სახალხო პარტიების წარმომადგენლები (ამ პარტიებს კომუნისტები ხელმძღვანელობენ) წინააღმდეგნი იყვნენ ამსტერდამთან შეერთებისა; თავის აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი კაპიტალისტებთან თანამშრომლობს. ამ საკითხის გარშემო მხურვალე კამათი გაიმართა. კამათის დროს გამოსულმა პერსელმა განაცხადა, რომ რუსეთის პროფესიონალური ორგანიზაციები ყოველთვის ერევიან სხვა ქვეყნების პროფესიონალური მოძრაობაში. პერსელის სიტყვით, დროა ინდოეთის პროფესიონალურმა მოძრაობა ჩამოშორდეს რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობას და შევიდეს დანარჩენი მსოფლიოს პროფესიონალური ორგანიზაციების საერთო ოჯახში.

ამის შემდეგ კამათი გადაიდო. მაგრამ კონგრესის სამდივნოს მინდობილი აქვს კავშირი დაიჭიროს ინგლისის ტრედ-იუნიონების კონგრესთან და ამსტერდამის ინტერნაციონალთან და მათდამი მიმართვაში აღნიშნოს საერთაშორისო პროფესიონალური მოძრაობის მთლიანობის საჭიროება (ადს).

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

პლენუმის დახურვა

მოსკოვი, 27 თებერვალი. კომინტერნის აღმასკომის მე-9 პლენუმმა საბოლოო სხდომაზე ერთხმად მიიღო რეზოლიუციები ჩინეთის, საფრანგეთის და პროფკავშირთა საკითხების შესახებ.

პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც უნდა შესდგეს მიმდინარე წელში: კომინტერნის აღმასკომის მოხსენება, კომუნისტურ ინტერნაციონალის პროგრამა, იმპერიალისტურ ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, რევოლიუციონური მოძრაობა კოლონიალურ ქვეყნებში, საბჭოთა კავშირის და საკავშირო კომპარტიის (ბ) მდგომარეობა, კომინტერნის ცენტრალურ ორგანოების არჩევნები.

ამხ. ბუხარინის საბოლოო სიტყვის შემდეგ კომინტერნის აღმასკომის პლენუმი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით. (ადს).

ისტრატის გადასახლება საბერძნეთიდან

ათინა, 26 თებერვალი. საბერძნეთის ხელისუფლებამ რეპრესიული ზომები მიიღო პანაიტ ისტრატის და რევოლიუციონური მწერლის კაზანცაკისის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მათ მოხსენებანი წაიკითხეს საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ.

პანაიტ ისტრატი შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადასახლებული იქნა საბერძნეთიდან; იგი გაემგზავრა ოდესაში. კაზანცაკისი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე (ადს).

მუშათა ბრძოლა

ქვის მთლელთა გაფიცვა

ბერლინი, 26 თებერვალი. საყოველთაო კენჭის ყრის შემდეგ ქვის მთლელებმა გალში უარჰყვეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაო ხელფასის საათში 4 პფენიგით გადიდების შესახებ. გერმანიის ქვის მთლელთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა 25 თებერვალს გამოაცხადოს გაფიცვა. (ადს).

ბერლინი, 26 თებერვალი. გერმანიის ქვის მთლელთა პროფკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, ქვის მთლელებმა გალში, გერაში, მაწოფერში და სხ. ქალაქებში დღეს შესწყვიტეს მუშაობა. (ადს).

ღამის ცნობები

მეშახტეთა ბრძოლა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 27 თებერვალი. ოგაიოს და პენსილვანიის შტატების სამთო მრეწველობაში გრძელდება მწვავე სამრეწველო კონფლიქტი. მუშები აწყობენ მასიურ საპროტესტო მიტინგებს მაღაროების პატრონებისა და პოლიციის წინააღმდეგ (ადს).

იარაღი ჩინეთის საბჭოთა მთავრობისათვის

შანხაი, 27 თებერვალი. გონკონგოდან მიღებული ცნობებით, გუშინ ლინშუიში (ნავთსადგურია კუნძულ ხაინანზე) ჩამოვიდნენ იარაღით დატვირთული ნავები, რომელთაც გაზეთების გადმოცემით მოიტანეს იარაღი საბჭოთა მთავრობისათვის, რომელიც დიდი ხანია დაარსებულია კუნძულ ხაინანის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში (ადს).

საბჭოები ჩუნიანის მაზრაში

შანხაი, 26 თებერვალი. გაზეთ „სინ-ვან-ბაო“-ს ცნობით, რევოლიუციონურმა ჯარებმა ლი-ჩაო ლუნის ხელმძღვანელობით დაიკავეს ჩუნიანის მაზრა, ხუბეის პროვინციის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში. ლი-ჩაო-ლუნის ჯარები, გაზეთის სიტყვით, მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებისაგან შესდგებიან. ჩუნიანის მაზრაში შეიქმნა საბჭოები (ადს).

შანხაის პროფკავშირთა დეკლარაცია

შანხაი, 26 თებერვალი. შანხაის პროფკავშირებმა გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ მასიური მოძრაობის ჩაქრობის წინააღმდეგ. დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ჩინეთის რევოლიუციის წარმატებით დაგვირგვინება შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

წითლების თავდასხმა პუჩიზე

შანხაი, 26 თებერვალი. ხანკოუდან მიღებულ ცნობით, აჯანყებულთა რაზმი რამოდენიმე ასი კაცის შემადგენლობით, რომელთაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, თავს დაესხა პუჩის, ხუბეის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, უჩანის რკინის გზის მახლობლად. აჯანყებულთა რაზმებმა დაიკავეს ჩეკამი (გუანდუნის პროვინცია, ხაიფინის მაზრა) (ადს)

საარჩევნო ციებ-ცხელება პოლონეთში

ვარშავა, 27 თებერვალი. შაბათს, მუშა-გლეხთა მთლიანობის მომხრეებმა მოაწყვეს წინასწარი საარჩევნო მიტინგები, რომლის დროსაც პოლიციამ სცემა მოქალაქეებს. დაჭრილთა რიცხვი ასამდე აღწევს. კვირას, ერთ ასეთ მიტინგზე პოლიციამ სცემა მუშა-ქალს, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა. პოლიციამ დააპატიმრა 15 კაცი. ერთ მიტინგზე მუშებმა სცემეს საიდუმლო პოლიციის აგენტს პროვოკაციული მოქმედებისათვის (ადს).

მუშები მოითხოვენ გადამწყვეტ ბრძოლას

ბერლინი, 26 თებერვალი. დღეს სრულიად გერმანიის მელითონეთა ხარატთა სექციის ბერლინის განყოფილების კრებამ ერთი ხმის წინააღმდეგ დაადგინა მხარი დაუჭიროს ინსტრუმენტების ხელოსან მუშებს, რომელნიც გაიფიცნენ ორშაბათ დილით და რომელნიც აყენებენ იმავე მოთხოვნილებებს ხარატებისათვის. კრების მიერ გამოტანილი რეზოლიუცია მოითხოვს, რათა მელითონეთა კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები ბრძოლისათვის მოსამზადებლად და აწარმოოს ბრძოლა მიუხედავად ლოკაუტით დამუქრებისა და სავალდებულოდ გამოცხადებულ სამედიატორო დადგენილებისა (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის თავი

საზეიმო სხდომა ოპერის თეატრში

განსაკუთრებული აღფრთოვანებით გადაიხადა საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავისი გამარჯვების დღესასწაული კულტურის ფრონტზე,—სახ. უნივერსიტეტის ათი წლის თავი. საქართველოს მშრომელთა ამ მხიარულებას იზიარებდენ ჩვენი მეზობელი რესპუბლიკები, რომელთაც ჩვენსავით აღფრთოვანებდა ქართველი ხალხის კულტურული გამარჯვება.

საღამოს 6 საათისათვის საოპერო თეატრს, სადაც დანიშნული იყო საზეიმო სხდომა, აურაცხელი საზოგადოება მიაწყდა, ზეიმზე დასასწრებლად გამოცხადდენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს მთავრობათა წევრები, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურა და სტუდენტობა, პარტიულ და პროფორგანიზაციების, წითელი ჯარის, საბჭოთა და საზოგადოებრივ დაწესებულებების წარმომადგენელნი, უცხო სახელმწიფოთა კონსულები, აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების, საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ამიერ-კავკასიის უმაღლეს სასწავლებლების წარმომადგენლები და სხ.

საზეიმო სხდომის გახსნა

საღამოს რვა საათზე სხდომას ხსნის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე შემდეგი სიტყვებით,—„საზეიმო სხდომას სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის შესრულების გამო გახსნილად ვაცხადებთ (მთელი დარბაზი ფეხზე დგება. მქუხარე ტაში. ორკესტრი სახ. არტ. ი. ფალიაშვილის დირიჟორობით ასრულებს ინტერნაციონალს).

—ამ ათი წლის განმავლობაში,—აცხადებს ამხ. ფ. მახარაძე—სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაჰკარგა რამოდენიმე მოღვაწე, საუკეთესო პროფესორები და მეცნიერები. პ. მელიქიშვილი, ხიმ. გოგიტიძე, ნ. კახიანი, და ინჟ. ლეჟავა, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივისცეთ მათ ხსოვნას (დარბაზი ფეხზე დგება და ორკესტრი უკრავს შოპენის სამგლოვიარო მარშს).

პრეზიდიუმი.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, ლ. ქართველიშვილი, შ. ელიავა, მამია ორახელაშვილი, მ. კახიანი, დ. კანდელაკი, ლ. სუხიშვილი, მარიამ ორახელაშვილი, ვ. ბოლქვაძე, ლ. ღოღობერიძე, გ. მგალობლიშვილი, ალ. გეგეჭკორი. თ. ღლონტი, ალამალი-ოღლი, ნაზარეტიანი, კახიანი, მუსაბეკოვი, ს. ჯუღელი, ასრიბეკოვი, ს. მამულია, კარინიანი, მაჩაიძე, მორჩილაძე, გუსეინოვი, გ. კუჭაიძე; ვ. ივანოვ-კავკასკი, მ. ტოროშელიძე, ლევანდოვსკი, გიორგაძე, ალ. გედევანიშვილი, რუბენი, ყურულაშვილი, პროფესორები, ი. ჯავახიშვილი, კეკელიძე, ჯანდიერი, ქურდიანი; აზვლედიანი, მაჭავარიანი, რაზმაძე, ნუცუბიძე; ვირსალიძე, რუხაძე, მუსხელიშვილი, გამედინი, ესმანი, შახაზიზი, ოგანეზიანი, ზაიცევი, გულიიანი, დოცენტი ხურგულაძე, მწერალი ბარნოვი, ინჟინერი ჭიჭინაძე, სულაქველიძე კ. კანდელაკი ვასო, რუხაძე ლ. ინჟ. ყიფშიძე ივანე, ექიმი ყიფშიძე ნიკოლოზ, ექიმი რუხაძე, ლ. სალუქვაძე, ხაჯიევი ხანუმ, კიკაბიძე, სამსონ. ჭელიძე გრიგოლ, გეგენავა სამსონ, პაპავა ალ., გვაზავა დ. და სულუხია.

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში სხდომამ აირჩია ამხ. ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ორჯონიკიძე, ჩერვიაკოვი, პეტროვსკი, ბუხარინი, ლუნაჩარსკი, ვოროშილოვი, კარპინსკი, ოლდენბურგი, პავლოვი, ფერსმანი და მარი.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხანაგებო და მოქალაქენო, დღევანდელი ზეიმი უმნიშვნელოვანესი ფაქტია ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. დღეს ჩვენ ვიხდით იმ ქართულ კულტურის დღესასწაულს, რომელიც გაწმენდილია ძველი დახავსებულ ბატონყმურ და ბურ-მონოზნურ კულტურის ნაშთებისაგან და რომელიც მუშათა კლასს, მიუღია რომ მასზედ ააგოს ახალი ინტერნაციონალური კულტურა. ამ დღეებში ჩვენ ვიდღესასწაულეთ წითელი ჯარის არსებობის ათი წლის თავი, გუშინ ჩვენ გადავიხადეთ საქართველოში საბჭ. ხელისუფლების არსებობის 7 წლის თავი და დღეს ჩვენ ვზეიმობთ თბილისის უნივერსიტეტის არსებობის 10 წლისთავს. ყველა ეს ფაქტები ერთმანეთთან მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს გუშინდელ და დღევანდელ ზეიმს საფუძვლად უდევს წითელი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვება, რადგან თბილისის უნივერსიტეტი, ისე როგორც საქართველოს განთავისუფლება—შედეგია ოქტომბრის დიდი რევოლუციის, რომელმაც წითელი ჯარის შეუპოვარი თავდადებული ბრძოლით განახორციელა ეროვნებათა თვითგამორკვევის ლოზუნგი. ოქტომბრის რევოლუციით იშვა ახალი ქვეყანა, რომელსაც სათავეში ჩაუდგენ მუშათა კლასი და გლეხობასთან ერთად ეს იმას მოასწავებდა, რომ საფუძვლიანად უნდა გარდაქმნილიყო მანამდე არსებული სოციალური ურთიერთობა, უნდა დამსხვრეულიყო და სამუდამოდ ისტორიას ჩაბარებოდა ძველი წესები, ეს დიდი ისტორიული საქმე იკისრა პროლეტარიატმა.

მაგრამ ამ ძველ დახავსებულ სოციალურ წყობილების ნგრევა, საზოგადოების ზოგიერთმა ფენებმა ისე გაიგეს, თითქოს ბოლშევიკებს სახით ქვეყანას მოევლინებოდეს რაღაც საშინელი ყველაფრის გამანადგურებელი ძალა. ისინი ვერ აჩნევდნენ ან მათ არ უნდოდათ შეემჩნიათ, რომ ამ ნგრევასთან ერთად სწარმოებდა შენება, რომ კეთდებოდა ისტორიაში ჯერ გაუგონარი სახალხო საქმე, რომელმაც ქვეყანა სოციალიზმამდე უნდა მიიყვანოს. ეს ორი პროცესი სწარმოებდა ერთდროულად, ჩვენი ხელისუფლების მტრები ხელზე იხვევდნენ მხოლოდ იმას, რისი მოსპობაც ისტორიამ პროლეტარიატს დააკისრა, და საქვეყნოდ გაჰყვიროდენ, რომ ბოლშევიზმი ანგრევს, შეურაცყოფს ყველაფერს, რასაც ხალხი ეთაყვანება. ქართველი ემიგრანტები, ისტორიის მიერ განწირული პარტიები დღესაც კი გაიძახიან, რომ ქართველ ბოლშევიკებმა საქართველოში ყველაფერი გაანადგურეს, არა თუ კულტურა, არამედ დღეს ქართველი ხალხის ნატამალიც კი აღარ არისო. რასაკვირველია, მეტია ამ უნიადაგო ჭორების გაბათილება, მაგრამ ამ საზეიმო სხდომაზე. რომელიც ჩვენი უდიდესი კულტურული დაწესებულების არსებობის ათი წლისთავს დღესასწაულობს, არ შეიძლება საქვეყნოდ არ განვაცხადოთ, რომ საქართველოს ეკონომიურ-კულტურული განვითარება არასოდეს ისეთი სწრაფი ნაბიჯით არ წასულა წინ, როგორც ამ 6—7 წლის განმავლობაში: საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენი სასოფლო მეურნეობა გადაყვანილ იქნა სულ ახალ საფუძველზე, საძირკველი ჩაეყარა ახალ ინდუსტრიალურ მშენებლობას, რომელიც საფუძვლიანად სცვლის არსებობის ვითარებას ჩვენს ქვეყანაში, სადაც ყოველთვის მოიპოვებოდა უდიდესი შესაძლებლობანი როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად, მაგრამ ამ მხრივ გასაბჭოებამდე ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ წინ. ასევე დიდ მოვლენას აქვს ადგილი კულტსაგანმანათლებლო დარგში, მხედველობაში რომ არ მივიღოთ პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაწეული ხარჯები, მთავრობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები სახალხო განათლებაზე წლიურად ხარჯავენ 20 მილიონ მანეთზე მეტს. ყოველწლიურად ათასობით იზრდება მოწაფეთა რიცხვი, ორკეცდება სკოლების რაოდენობა. განა ოდესმე მოსწრებია ჩვენ ქვეყანას ასეთი რამე! მარტო ის ფაქტი, რომ სახელ. გამომცემლობის მიერ ამ ხნის განმავლობაში გამოცემულია 4 მილიონ ცალზე მეტი წიგნი, რომ ქართულ სახელმწიფო გაზეთის ტირაჟი 70 ათასს აღწევს, საკმაოა იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ მასსების კულტურული განვითარება. იქნებ,—საბჭოთა ხელისუფლების დროს შეფერხდება საზოგადოებრივ - კულტ. ძალების თაოსნობა-საქმიანობა! ამ 6—6 წლის განმავლობაში ჩვენში გაჩნდა და აღორძინდა მრავალი კულტურული საზოგადოება, რომელნიც თავს უყრიან ქართველ მეცნიერებს, ინჟინერ-ტეხნიკოსებს, ექიმებს, ისტორიკოსებს, ბუნებისმეტყველთ და ფართო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყავთ ისინი. ნუ თუ ყოველივე ამას ქვია ბოლშევიკების მიერ ქართული კულტურის განადგურება?

თვალი რომ გადავავლოთ მხოლოდ იმას, რაც საბჭოთა მთავრობამ გააკეთა სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, ყველასათვის ნათელი გახდება, თუ რაოდენად ფართოა და ვრცელი მთავრობის გეგმა სახალხო განათლების დარგში. პირველ ყოვლისა ჩვენ სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაობა დაუკავშირეთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარებას,—დაუახლოვეთ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის საჭიროებას. ამ მიზნით უნივერსიტეტში გავხსენით რამოდენიმე ახალი ფაკულტეტი, მოვაწყვეთ ახალი კათედრები სპეციალურ ლაბორატორიებით და კაბინეტებით, გავადიდეთ პროფესორების და სტუდენტობის რიცხვი, უნივერსიტეტი შევავსეთ მუშის და გლეხის შვილებით. გავაუმჯობესეთ აკადემიური მუშაობის პირობები, გავადიდეთ სტიპენდიანტთა რიცხვი და სხვა. რასაკვირველია, ყველაფრის გაკეთება ჩვენ ვერ შევძელით,—ეს ათეული წლების საქმეა, მაგრამ ჩვენ გამარჯვებად მიგვაჩნია ის, რომ უნივერსიტეტის მუშაობა ერთი მხრით დავუკავშირეთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ განვითარებას და მეორე მხრით იგი მისაწვდომი გავხადეთ მშრომელთა ფართო მასსებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახეთი უნივერსიტეტი შეძლებს დაამყაროს კავშირი მეცნიერების და შრომის შორის. გაუმარჯოს სახ. უნივერსიტეტს! მის ხელმძღვანელ საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს კულტურულ რევოლუციას (მქუხარე ტაში: ინტერნაციონალი).

დროშის გადაცემა

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძე ხელთ იღებს დროშას და სახელმწ. უნივერსიტეტის პროფესურის და სტუდენტობის წარმომადგენლებს გადასცემს შემდეგი სიტყვებით:—„ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მადლობისა იმ მუშაობის გამო, რომელსაც სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწევა, ნიშნად იმისა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი განაგრძობს სვლას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაკარნახევი გზით,— საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გადასცემს ამ დროშას სახელ. უნივერსიტეტს და გამოსთქვამს იმედს, რომ იგი მაღლა დაიჭერს მას. (მქუხარე ტაში და ინტერნაციონალი).

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ამხ. თ. ღლონტს.

ამხ. თედო ღლონტის მოხსენება

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით,—ამბობს მომხსენებელი, იწყება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული რენესანსი. არც ერთ ხელისუფლებას არ შეეძლო ისეთი ფართო ასპარეზი გაეხსნა ერის ეკონომიური და კულტურული შემოქმედებისათვის როგორც ეს შესძლო მუშათა და გლეხთა მთავრობამ; ზაჰესის აგებას, ფაბრიკა-ქარხნების მოწყობას არა აქვს ვიწრო ეკონომიური მნიშვნელობა,—ჩვენი აღმშენებლობის ეს ყოველდღიური ფაქტები, ისე როგორც ჩვენი უნივერსიტეტის ათი წლის არსებობა,—ღრმა სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელი არიან იმდენად, რამდენადაც საფუძველს უყრიან სოციალიზმს და ჩვენი ქვეყნის ნამდვილ დამოუკიდებლობას.

ჩვენ უნივერსიტეტის საქმიანობას ვუკავშირებთ ჩვენი მეურნეობის, ჩვენი ხალხის კულტურულ საჭიროებას და ამიტომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ დარჩება იმ პოლიტიკის გარეშე, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებს. ფართო მშრომელი მასსების ეკონომიურ-კულტურული აღორძინებისათვის. ჩვენი პოლიტიკის მიზანი უნივერსიტეტშიც ის არის, რომ მან ჩვენს ხალხს მისცეს რაც შეიძლება უფრო მეტი,—სასარგებლო, მოღვაწეები, მისი ინტერესებისათვის თავდადებული საქმიანი მუშაკები. თუ თვალს გადავავლებთ უნივერსიტეტის უკანასკნელი წლების მუშაობას, დავინახავთ, რომ სახ. უნივერსიტეტი მტკიცედ დადგა ამ გზას—მშრომელი ხალხი უნივერსიტეტიდან ღებულობს სულ უფრო მეტ აგრონომებს, ექიმებს და სხვა სპეციალობის მუშაკებს. თავის მხრით მთავრობაც ზრუნავს აღჭურვოს უნივერსიტეტი საუკეთესო ლაბორატორიებით, კაბინეტებით, გააუმჯობესოს სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა და შექმნას აკადემიური მუშაობის ნორმალური პირობები. ამ ზრუნვის შედეგი უკვე საგრძნობია,—ყოველი პროფესორი დაადასტურებს, რომ ამჟამად უნივერსიტეტში მიმდინარეობს ძლიერი აკადემიური მუშაობა, რომელიც თანდათან უფრო ღრმავდება და შეიჭრება საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში.

ამხ. თედო ღლონტის მოხსენების შემდეგ იწყება მთავრობის, რესპუბლიკების და სხვადასხვა და ორგანიზაციათა წარმომადგენლების მისალმებები.

ინჟ. ზ. ჭიჭინაძე

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სახელით სახ. უნივერსიტეტს 10 წლის თავს მხურვალეთ მიესალმება საბჭოს თავმჯდომარე ინჟ. ჭიჭინაძე,—უსურვებს წარმატებას და მოახსენებს საზეიმო სხდომას, რომ ს. მ. უ. ს. საბჭოს დადგენილებით სახ. უნივერსიტეტს გადაეცემა რამოდენიმე მოწყობილი ლაბორატორია პოლიტეხნიკური ფაკულტეტის სხვადასხვა დარგებისათვის და დაინიშნება ამ დარგებზე რამოდენიმე სტიპენდია.

ინჟ. ჭიჭინაძის მისალმებას და განცხადებას საზოგადოება აღფრთოვანებით ხვდება.

ამხ. მიხა ცხაკაიას მისალმება

ამხ. მიხა ცხაკაიას გამოსვლას დარბაზი მქუხარე ტაშისცემით ეგებება,

საკავშირო და ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით მივესალმები სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის პროფესორებს, მუშაკებს და სტუდენტებს და ვუსურვებ მათ ნაყოფიერ მუშაობას. ის, რაც ოცნებას წარმოადგენდა, დღეს ხორცი ესხმება და ჩვენს მუშურ ახალგაზრდა თაობას საშუალება ეძლევა თავის ქვეყანაში მიიღოს უმაღლესი განათლება და იქ შეძენილი ცოდნა მოახმაროს ხალხის საჭიროებას. ეს უდიდესი გამარჯვებაა ჩვენი რევოლუციის და ჩვენი პროლეტარულის სტუდენტობის მოვალეობაა შეადგეს ღირსეულად ემსახურონ იმ მშრომელ ხალხს, რომლის გაბედულმა ბრძოლამ მას შეუქმნა უმაღლესი ცოდნის მიღების საუკეთესო პირობები. სულით და გულით ვუსურვებ უნივერსიტეტის პროფესორებს და მოსწავლე ახალგაზრდობას ენერგიას და მხნეობას, რათა მათ დაძლიონ ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც აკადემიურ მუშაობას ხელს უშლიან და აფერხებენ.

გაუმარჯოს ოქტომბრის დიდ რევოლუციას, გაუმარჯოს სახელმწიფო უნივერსიტეტს და სტუდენტობას. (მქუხარე ტაში).

ამხ. დ. კანდელაკის სიტყვა

სახელმწიფო უნივერსიტეტი მთავარი კერაა, რომელიც ჩვენ სახალხო მეურნეობას და ჩვენს კულტურულ დაწესებულებებს აწვდის მომუშავე ძალებს. 7 წლის განმავლობაში მთავრობა ცდილობდა შეექმნა უნივერსიტეტისათვის მატერიალური ბაზა, უზრუნველეყო იგი სამეცნიერო ძალებით და სათანადოდ მოწყობილი ლაბორატორიებით. ამ მხრივ უნივერსიტეტს უკვე აქვს საკმარისი მიღწევები, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი მომავალში. პირველ ყოვლისა, ჩვენ უნივერსიტეტი უფრო უნდა დავუახლოვოთ ჩვენი მეურნეობის საჭიროებას, უნდა უზრუნველვყოთ სამეცნიერო ძალების და სტუდენტების მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების დამუშავებაში. მეორე მხრით, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მომავლისათვის უნივერსიტეტი შეივსოს სამეცნიერო ძალებით, რომელნიც უნდა მომზადდენ თვით უნივერსიტეტის ფარგლებში მუშურ საუკეთესო ახალგაზრდებს შორის. არ უნდა დარჩეს არც ერთი სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც უზრუნველყოფილი არ იქნება მომზადებული სამეცნიერო მუშაკებით. ყველა ამისათვის კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ ის კავშირი, რომელიც დამყარებულია, ხელისუფლებისა და უნივერსიტეტს შორის, კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაღრმავდეს.

ამხ. ვანო ბოლქვაძე

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის და თბილისის საბჭოს სახელით პროლეტარულ სალამს ვუძღვნი საქართველოს სახ. უნივერსიტეტს მისი ათი წლის თავის შესრულების გამო და ვუსურვებ მას, რომ იგი ნამდვილად გამხდარიყოს შრომისა და მეცნიერების ლაბორატორიად.

სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლის მუშკიანის სიტყვა

საქართველოს სახ. უნივერსიტეტის ათი წლის თავს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ერებისათვის, განსაკუთრებით კი ეხლა, როცა ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში სდგას კულტურული რევოლუციის ამოცანები, ამიერ-კავკასიის ერთა უნივერსიტეტების მოვალეობაა მეცნიერება დაუკავშირონ ქვეყნის ყოველდღიურ მუშაობას და ამ მუშაობაში ჩააბან საუკეთესო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები. ამ დიდ ამოცანის გადაჭრას ისინი ადვილად შესძლებენ, თუ გაბამენ მტკიცე კავშირს ერთმანეთს შორის და დაადგებიან შეთანხმებულ მუშაობას. ამ რწმენით, მე ვუსურვებ სახელმწიფო უნივერსიტეტს ნაყოფიერ მუშაობას და ამიერ-კავკასიის ერთა კულტურულ კავშირის ბრწყინვალე გამარჯვებას (მქუხარე ტაში).

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარის სულეიმან ლორთქიფანიძის სიტყვა

თუ საქართველოს რომელიმე ნაწილს ახარებს ეს ზეიმი,—ამბობს ამხ. ლორთქიფანიძე, აჭარისტანს განსაკუთრებით, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჭარისტანს პირველად მისცა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილნი აგრონომები და სხვა დარგის სპეციალისტები. აჭარისტანს, რომელიც წინად საქართველოს კულტურის აკვანს წარმოადგენდა, დღეს თბილისის უნივერსიტეტი სამაგიროს უწევს. გაუმარჯოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის დახმარებით მისი ოცი წლის თავზე აჭარის ღარიბი ხალხი კულტურულად გაუთანასწორდება ქართველ ხალხს. (დარბაზი უმართავს ოვაციებს).

აქვე ამხ. ფილიპე მახარაძე აცხადებს, რომ აჭარისტანის ცაკის დადგენილებით, საქართველოს უნივერსიტეტს მთავრობა უთმობს ძვირფას აგარაკ ციხისძირთან.

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარი ამხ. ჭოჭუა

აფხაზეთის განათლების სახალხო კომისარიატის და მთავრობის სახელით მივესალმები სახელმწიფო უნივერსიტეტს და ვუსურვებ მას, რომ ახლო მომავალში თავისი ღირსებით იგი გათანაბრებოდეს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტებს. ვუსურვებ მას, რომ თავისი მუშაობით აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ მეურნეობის შექმნასა და განვითარებაში (ტაში).

აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარის ამხ. შახ აზიზის სიტყვა

დარბაზი აღტაცებით ხვდება ამხ. შახაზიზს, რომელიც გადასცემს რა მხურვალე სალამს უნივერსიტეტს აზ. გან. სახ. კომ. და აზ. სახ. გან. უნივერსიტეტის გამგეობის სახელით, ამბობს შემდეგს: „ეს ზეიმი ზეიმია, არა მარტო შრომისა და მეცნიერების კავშირის, არამედ გამარჯვებულ რევოლუციის, რომელმაც ფართო კულტურულ-შემოქმედების ასპარეზი გაუხსნა ასი წლით დამონებულ და ხელფეხშეკრულ ქართველ ერს. ქართველი ხალხის ეს სიხარული—სიხარულია აზერბეიჯანის ხალხისაც, რომელიც თვითმპყრობელობისაგან ისეთ ტკივილებს განიცდიდა, როგორც ქართველი ხალხი. გაუმარჯოს სახელმწიფო უნივერსიტეტს და მის კავშირს აზერბეიჯანის უნივერსიტეტთან (ტაში).

საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელთა, დამსახურებულ მწერლების ვ. ბარნოვის და დ. კლდიაშვილის მისალმება

მხცოვან მწერალთა გამოჩენას მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და დაუსრულებელი ოვაციებით ხვდება.

— „დიდი რევოლუციის ძლევამოსილმა სვლამ ბევრი ნანატრი აგვისრულა ჩვენ ქართველებს, ბევრი ოცნება სინამდვილედ იქცა. ერთი მათგანია ჩვენი დიდათ საყვარელი უნივერსიტეტი, იგი არის ნაყოფი ხალხის მოძრაობისა. ამიტომაც არის, რომ ხალხი დიდი სიხარულით და იმედით შეჰყურებს მას და ბევრ რამეს მოელის მისგან. მე ვუსურვებ, რომ ახალგაზრდობა, რომელიც ტალღა-ტალღათ მიდის უნივერსიტეტში, გაწვრთნილიყოს გონებრივად, ამაღლებულიყოს ზნეობრივად, განმტკიცებულიყოს ნებისყოფით, რომ გამომდგარიყოს ბრძოლისა და მუშაობისათვის.

სიტყვის დასასრულს საზოგადოება მქუხარე ტაშით აჯილდოვებს მხცოვან მწერლებს.

პროფესორ რაზმაძის სიტყვა

თბილისის უნივერსიტეტის პროფესურის, მასწავლებლების, ასისტენტების და აგრეთვე უნივერსიტეტის გამგეობის სახელით ღრმას მადლობას ვუცხადებ ყველა პირთ, რომელთაც დღეს ჩვენთან ერთად იზეიმეს ქართულის უნივერსიტეტის და მეცნიერების ათი წლის თავი. ათი წლიწადი იმდენად უმნიშვნელო დროა აკადემიურ ცხოვრებაში, რომ იქ, სადაც პირველად განხორციელდა უნივერსიტეტის იდეა, იქ—დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ანალებში, ეს თარიღი არც კი აღინიშნება, როგორც რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. მაგრამ ქართველი ხალხის და მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენლებმა სულ სხვანაირად შეხედეს ამ ფაქტს. ქართველ ხალხს უყვარს ის თეთრი შენობა, სადაც მისი შვილები, ძმები და დები ღებულობენ უმაღლეს ცოდნას. იქ ქართველი პროფესორი უჩვენებს მათ ცხოვრების ახალ ფორმებს, ნათელყოფს მათთვის ჭეშმარიტების სიმშვენიერეს და სილამაზეს, რაც ყოველი მეცნიერული კვლევა-ძიების აუცილებელი ესტეტიური ელემენტია.

მეზობელ რესპუბლიკების დღევანდელი გამოსვლა მოწმობს, რომ უნივერსიტეტი არის არა მარტო მეცნიერების სახელოსნო, არამედ საერთო მშვიდობიანობის იარაღი და ერთა სოლიდარობის საფუძველი. რომ გადავშალოთ ისტორია კაცობრიობისა მისი არსებობის პირველი დღიდან ჩვენს ეპოქამდე, შევამჩნევთ ერთ უდავო ფაქტს: ერთა შორის ხშირად იკვრებოდა კავშირები, იწერებოდა ხელშეკრულებები, მაგრამ, რამდენად უფრო მკაცრი იყო ეს უკანასკნელნი, იმდენად უფრო სუსტნი იყვნენ ისინი სინამდვილეში, მაგრამ არის ერთი კავშირი ერთა შორის, რომელიც მუდამ ურყევი რჩება. ეს არის კავშირი მეცნიერულ ნიადაგზე, ეს არის თვით მეცნიერება, რომელიც თავის ბუნებით ინტერნაციონალურია.

უნივერსიტეტმა განვლო თავის განვითარების პირველი ეტაპი. მან შესძლო მოკლე ხანში უმაღლეს მეცნიერების ქართულ ენაზე ამეტყველება და შექმნა პირობები მეცნიერულ კვლევა-ძიების შესაძლებლობისათვის, მაგრამ თუ ძნელია მიაწიო მიღწევა, არა ნაკლებ ძნელია ამ მიღწევის სათანადო დონეზე შენარჩუნება. ამიტომ ჩვენ წინ სდგას ახალი პრობლემები, სახელდობრ,—უნივერსიტეტის კვლევაძიების ინსტიტუტს გაძლიერება, რომ დავუახლოვოთ ჩვენი მეცნიერების კერა დასავლეთ ევროპის და რუსეთის საუკეთესო უნივერსიტეტებს.

გარდა ამისა, ვინაიდან დღეს ინდუსტრიალიზაცია არის ის მთავარი ღერძი, რომლის გარშემო ტრიალებს ქვეყნის საუკეთესო ძალები, როგორც მეცნიერული, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ამიტომ უნივერსიტეტს პირდაპირი დანიშნულებაა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის საერთო აღმშენებლობაში. მე გამოვსთქვამ საერთო რწმენას, რომ მთავრობა და საბჭოთა საზოგადოებრიობა ჩვენ უნივერსიტეტს და მის სამეცნიერო მუშაკებს მისცემენ საშუალებას განახორციელონ ის დიდი ამოცანები, რომელთა გადაჭრასაც მათ აკისრებს ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პრობლემა.

თავისი მხრით პროფესურა მზად არის შემოიტანოს ჩვენს უნივერსიტეტში რეალური მეცნიერების უკანასკნელი მიღწევები და მათი პრაქტიკული გამოყენება. იგი მაღლა დაიკავებს ამ დროშას, რომელიც ერთ და იმავე დროს არის რევოლუციის, შრომის და მეცნიერების სიმბოლო. (მქუხარე ტაში).

ამხ. სალუქვაძის სიტყვა

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროლეტარული სტუდენტობის სახელით ამხ. სალუქვაძე მადლობას უხდის მეზობელ რესპუბლიკებს და საქართველოს სახელმწიფო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მხურვალე თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ უნივერსიტეტის სტუდენტობის მიმართ გამოსთქვეს. იგი მადლობას უძღვნის აგრეთვე პროფესორებსა და მასწავლებლებს იმ განსაკუთრებული მზრუნველობის და ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც ისინი უწევენ პროლეტარულ ახალ თაობას.

შეწირულება უნივერსიტეტს

მისალმების დამთავრების შემდეგ ფილიპე მახარაძე საზეიმო სხდომას მოახსენებს შემდეგს: სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის აღსანიშნავად საქართველოს სახკომსაბჭომ გადასდო 80 ათასი მანეთი, ამიერ-კავკასიის მთავრობამ 80 ათასი მანეთი, თბილისის აღმასკომმა 80 ათასი მანეთი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა 15 ათასი მანეთი, ამხანაგობა „საქართველოს ჩაი“-მ 15 ათასი მანეთი, ინჟენერ-ტეხნიკოსთა საზოგადოებამ ორი ათასი მანეთი, ცეკავშირმა 5 ათასი მანეთი, გარდა ამისა, სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებმა უნივერსიტეტს გადასცეს ლაბორატორიები, კაბინეტები, ბიბლიოთეკები, ნაგებობათა მოდელები და მრავალი სხ.

ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვა

ზეიმი დამთავრდა ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვით, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: ჩვენთვის საგულისხმოა ის სიტყვები, რომელნიც წარმოთქმული იყო ზეიმზე რესპუბლიკების და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლების მიერ. ეს სიტყვები მოწმობენ ღრმას და წრფელ სოლიდარობას ამიერ-კავკასიის და საერთოდ საბჭოთა კავშირის ერთა შორის. ჩვენ აქ გვესმოდა მოწოდება ერთა სოლიდარობისადმი, რომ უნივერსიტეტი და მეცნიერება წარმოადგენს არა რომელიმე ერის კუთვნილებას, არამედ საერთო, საკაცობრიო საუნჯეს. ჩვენ აქ მოვისმინეთ უბრალო გლეხის სიტყვა, რომელიც მოწმობდა უნივერსიტეტის უდიდეს გავლენას და მისი მნიშვნელობის შეგნებას ჩვენი გლეხობის მიერ. იგივე აზრი მოვისმინეთ ჩვენ მუშების წარმომადგენლებისაგან. ეს ფაქტები მაჩვენებელია იმის, რომ თბილისის უნივერსიტეტი შეესისხლხორცა ჩვენი მუშის და გლეხის საჭიროებას, რომ იგი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს იმ აღმშენებლობაში, რომელსაც ეწევიან ჩვენი ფართო მასსები. დასასრულ ამხ. ფილიპე მხურვალე მადლობას უძღვნის მეზობელ რესპუბლიკების წარმომადგენლებს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის საიუბილეო ზეიმში.

საზეიმო სხდომა დასრულდა „ინტერნაციონალით“.

წითელი არმიის ათი წლის თავი

აღლუმი წითელ მოედანზე

მოსკოვი, 27 თებერვალი. 26 თებერვალს წითელ მოედანზე გაიმართა მოსკოვის გარნიზონის ჯარების აღლუმი. აღლუმი მიიღო ამხ. ვოროშილოვმა. ტრიბუნებზე იყვნენ საბჭოთა კავშირის ცაკის, რუსეთის ცაკის, საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის წევრები, კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დელეგატები, გლეხთა დელეგაციები, მოსკოვის მუშები და დიპლომატიური კორპუსის წევრები. ჯარების შემოვლის შემდეგ, ამხ. ვოროშილოვი მავზოლეის ტრიბუნიდან მიესალმა ჯარებს განაცხადა: „ჩვენი კავშირის საზღვრები მტკიცედაა დაცული და ის მტრები, რომლებსაც სურთ გამოსცადონ ჩვენი არმიის ძალა, თავის საკუთარ ზურგზე იწვნევენ ამ ძალას“.

ამის შემდეგ მავზოლეის გვერდით ცერემონიალურ მარშით ჩაიარეს სხვადასხვა სამწყობრო ნაწილებმა, აგრეთვე მუშათა და სტუდენტთა პოლკებმა და სათადარიგო მეთაურებმა. ცერემონიალური მარშის შემდეგ მოხდა მუშათა ახალგაზრდობის დემონსტრაციები. დემონსტრანტებს მიესალმნენ ამხ. ამხ. სტალინი, ბუხარინი, რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, მოლოტოვი, ენუქიძე, იაროსლავსკი, უგლანოვი და სხვანი. (ადს).

საზეიმო სხდომა დიდ თეატრში

მოსკოვი, 27 თებერვალი. 25 თებერვალს დიდ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად.

ამხ. რიკოვის სიტყვა

ამხ. რიკოვი საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით სალამს უძღვნის წითელ არმიას და აღნიშნავს, რომ ძალაუფლების სათავეში მყოფ პროლეტარიატის მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ყველა შესაძლო საშუალებებით თავიდან აიცილოს ომი. მიუხედავათ ამისა, მშვიდობიანობისათვის ბრძოლა არ ნიშნავს იმას, რომ მუშათა კლასმა ხელი უნდა აიღოს თავდაცვისათვის მზადებაზე. თუ საბჭოთა კავშირს თავს დაესხმიან მისი კლასობრივი მტრები, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მზად უნდა იყოს უძლიერესი მტრის —მსოფლიო ბურჟუაზიის მოსაგერიებლად.

ამხ. სტალინის სიტყვა

შემდეგ საკავშირო კომპარტიის ცკას სახელით წითელ არმიას მიესალმა ამხ. სტალინი.

„პარტია—ამბობს ამხ. სტალინი,—ამაყობს იმით, რომ მან შესძლო მსოფლიოში პირველი პროლეტარული წითელი არმიის შექმნა. პარტია ამაყობს, რომ წითელი არმია გამარჯვებული გამოვიდა სამოქალაქო ომის ეპოქიდან, რომ მან დაამარცხა თავისი კლასობრივი მტრები. პარტია ამაყობს, რომ მან შესძლო პროლეტარიატის არმიის ჩამოყალიბება და მისი გადაქცევა უდიდეს ორგანიზაციულ სამხედრო ძალად. ჩვენ არმიას სხვა ქვეყნების არმიებთან შედარებით აქვს სამი ძირითადი თავისებურება. ჩვენი არმია არის მუშების და გლეხების განთავისუფლების იარაღი. წითელი არმიის სახით მთელი ქვეყნის მშრომელთ ჰყავთ თავისი საკუთარი ორგანიზაციულად დარაზმული სამხედრო ძალა. ჩვენი არმიის მეორე განსხვავება კაპიტალისტურ ქვეყნების შეიარაღებულ ძალებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ მისი აღზრდა დაწყებულია მშრომელთა საერთაშორისო განთავისუფლებისათვის ბრძოლის პრინციპებზე. ის ინტერნაციონალური სახით ატარებს დაბოლოს, წითელი არმია გამსჭვალულია პატივისცემით ყველა მშრომელთა მიმართ, ვინაიდან ის არის მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის დამცველი“.

კომინტერნის მისალმება

კომინტერნის სახელით წითელ არმიას მიესალმა ამხ. გალახერი.

პარტიის მოსკოვის კომიტეტის სახელით გამოდის ამხ. უგლანოვი.

ამხ. უგლანოვის სიტყვის შემდეგ გამოდიან მოსკოვის ყველა მუშების წარმომადგენლები, რომლებიც მხურვალე სალამს უძღვნიან საბჭოთა საზღვრების ერთგულ გუშაგს—წითელ არმიას.

„პრავდა“-ს დაჯილდოება

სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს სახელით ამხ. ბუბნოვმა გადასცა სიგელი „პრავდა“-ს პასუხისმგებელ რედაქტორს ამხ. ბუხარინს. ამხ. ბუხარინი გამოსთქვამს ღრმა ამხანაგურ მადლობას და ამბობს, რომ „პრავდა“ ყოველთვის ემსახურებოდა და მომავალშიაც ემსახურება პროლეტარიატს.

უკრაინის ცაკის სახელით ამხ. პეტროვსკი კითხულობს მისალმებას წითელ არმიისადმი.

სამეცნიერო აკადემიის დირექტორი პროფ. ოლდენბურგი წითელ არმიას მიესალმა აკადემიის სახელით.

შემდეგ წითელ არმიას მიესალმნენ გერმანელი პიონერები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათ ბერლინის პიონერთა ორგანიზაციის სახელით თავის საპატიო წევრად აირჩიეს წითელი არმიის ბელადი ვოროშილოვი, რომელსაც უძღვნიან პიონერის ყელსახვევს.

ამხ. ვოროშილოვის სიტყვა

საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალების სახელით გამოვიდა ამხ. ვოროშილოვი. თავის სიტყვაში ამხ. ვოროშილოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ქვეყანა ყოველ მომენტში მზად არის განიარაღდეს, რათა თავიდან აიცილოს სისხლის ღვრა.

„მთელმა ქვეყანამ იცის—განაცხადა ამხ. ვოროშილოვმა—რომ წითელი არმია ყოველთვის მზად არის განიარაღდეს, როგორც ეს განაცხადა საბჭოთა მთავრობამ თავის დეკლარაციაში. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ, პროლეტარიატის წარმომადგენლებს, რომლებიც ამჟამად ვაწყობთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საქმეს, ყოველთვის გვექნება აურაცხელი სამუშაო ჩვენს დიად აღმშენებლობაში, რომელსაც ჩვენ მივყევართ სოციალიზმისაკენ. ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტების მიერ წამოსროლილი სამშვიდობო ლოზუნგები, არის ნიღაბი, რომლის უკან სწარმოებს კაპიტალისტების გაძლიერებული მზადება ახალი ომებისათვის. ჩვენ მუდამ მზად ვართ განიარაღებისათვის, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მტრების ასეთი განწყობილება. ათი წლის არსებობის განმავლობაში წითელი არმია მოამზადა მომავალი ბრძოლებისათვის, არ არის სწორი ჩვენი მტრების მტკიცება, თითქოს ჩვენი შეიარაღებული ძალები ტეხნიკურად სუსტია. ჩვენი მეურნეობის ზრდასთან ერთად იზრდება წითელი არმიის ძლიერებაც. ჩვენი საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ძალები ჩვენთან ერთად მუშაობენ ჩვენი ძლიერების განსამტკიცებლად. ჩვენს საბჭოთა მეცნიერებას და ჩვენს შეიარაღებულ ძალებს აქვთ ერთი საერთო მიზანი—კაცობრიობის განთავისუფლება კაპიტალის ბატონობისაგან“. (ადს).

დაჯილდოება წითელი დროშის ორდენით

მოსკოვი, 27 თებერვალი. სამხედრო რევოლუციონურმა საბჭომ გამოაქვეყნა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება, რომლის მიხედვითაც წითელი არმიის ათი წლის თავის აღსანიშნავად წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულნი არიან: საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს წევრი და მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო და საზღვაო ძალების უფროსი ამხ. მუკლევიჩი, საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს წევრი—ამხ. პოხტნიკოვი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველოს უფროსი—ამხ. ლევიჩევი, ბალტიის ზღვის ფლოტის სარდალი—ამხ. ვიქტოროვი, შავი ზღვის ფლოტის სარდალი ამხ. ორლოვი, სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს წევრი და ბელორუსიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი—ამხ. მანდი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. სლავინი, სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს წევრი და ლენინგრადის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი—ამხ. საკოვი, სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს წევრი და ციმბირის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი—ამხ. კოჟევნიკოვი, ციმბირის სამხედრო ოლქის სამხედრო რევოლუციონური საბჭოს წევრი—ამხ. გამარნიკი, მუშურ-გლეხური წითელი არმიის შტაბის მე-4 სამმართველოს უფროსი—ამხ. ბერზინი, საბჭოთა კავშირის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატისა და სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ.—ოშლეი, ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს წევრი და პოლიტსამმართველოს უფროსი—ამხ. მუტნიხი, სამხედრო საბჭოს წევრი და პოლიტსამმართველოს უფროსი—ამხ. დუგანოვი. (ადს).

სამხ. რევ. საბჭოს სიგელი „პრავდა“-ს

მოსკოვი 27 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სამხედრო - რევოლუციონურ საბჭოს საპატიო სიგელში, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი და სამხედრო - რევოლუციონურ საბჭოს ყველა წევრები, ნათქვამია:

„პრავდა“ ყოველთვის იყო წითელი არმიის მუდმივი თანამგზავრი მის გამარჯვებებსა და ბრძოლებში. დამარცხებათა მძიმე მომენტებში „პრავდა“ გვეხმარებოდა იმაში, რომ სწრაფად აღმოგვეფხვრა მერყეობანი და მშრომელთა რიგებში შეგვეტანა რწმენა. გამარჯვების მომენტებში „პრავდა“ მოუწოდებდა ახალი გამარჯვებისაკენ. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციონური საბჭო წითელი არმიის ათი წლის იუბილეის დღეს ღრმა მადლობას უძღვნის ლენინიზმის მებრძოლ ორგანოს—„პრავდა“-ს, რედაქციას და თანამშრომლებს იმ უდიდეს საორგანიზაციო და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობისათვის, რომელიც წითელი არმიის რიგებში იქნა ჩატარებული სამოქალაქო ომის ეპოქაში 1917—22 წელში.

სიგელები არმიელთა გაზეთებს

მოსკოვი 27 თებერვალი. ამხ. ვოროშილოვისა და საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციონურ საბჭოს წევრთა ხელმოწერით გამოქვეყნებულია სამხედრო - რევოლუციონურ საბჭოს საპატიო სიგელები წითელარმიელთა გაზეთ „კრასნი ვოინ“-ისა (კავკასიის წითელდროშოვანი არმიის პოლიტსამმართველოს ორგანო) და „ზა მირ ი ტრუდ“-სადმი (ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს ორგანო).

25 თებერვლის ზეიმი თბილისში

ქალაქში

ქალაქის ქუჩებში

სუსხიანი და ცივი ზამთრის დღე მაინც ვერ უკარგავს ქუჩებს სადღესასწაულო ელფერს. ხალხი გამოფენილია ფართო მოედნებზე. დროშების ტყე ფარავს ქუჩებს. დემონსტრანტების დაუსრულებელი რიგები მიეშურებიან რუსთაველის პროსპექტისაკენ.

სამხ.-რევ. საბჭო. იღებს ალლუმს

თბილისი დღესასწაულობს ორ დიდ ისტორიულ დღეს—წითელი არმიის ათი წლისთავს და საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებას მუშათა და გლეხთა სახელმწიფოდ.

წითელი არმიის აღლუმი

დღის 12 საათია. რუსთაველის პროსპექტის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულან სახელოვანი იუბილიარის—წითელი არმიის ნაწილები და გასაბჭოების მოდღესასწაულე — თბილისის პროლეტარიატი.

— სმენა! გაისმის მეორე ქართული დივიზიის უფროსის ამხ. ბიორბაძის ბრძანება და აღლუმის მონაწილე სხვადასხვა ნაწილების მეთაურებს შორის გამოძახილად იმეორებენ იმავ ბრძანებას.

იწყება აღლუმის მიღება: რევოლუციონურ სამხედრო საბჭოს წევრები ამხ. ელიავა, ლევანდოვსკი, ვასილიევი და კ. წით. დროშ. არმიის შტაბის უფროსი ამხ. ალაფუზო. ესალმებიან არმიის ნაწილებს და ულოცავენ დიდ დღესასწაულს.

დასრულდა აღლუმი და ადამიანთა დაუსრულებელი ტალღა დაიძრა ადგილიდან თავისუფლების მოედნისაკენ, მარჯვნივ მიდიან [illegible] ნაწილები, მარცხნივ მუშათა რიგები. მსვლელობას ათამაშებენ ცხენოსანთა ნაწილები ფერადი დროშებით მხედრის დაშნებზე და უკან კი დინჯათ მოზრიალებენ ვეებერთელა ჯავშნოსნები და არტილერია.

ტრიბუნასთან

სასახლის პირდაპირ ქუჩაზე აღმართულია დიდი ტრიბუნა. ტრიბუნაზე არიან მთავრობისა და კავკ. წით. დროშ. არმიის რევოლუციონურ-სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები. ტრიბუნას ორივე მხრიდან უვლის დემონსტრაცია.

— წითელი არმია ესალმება საქართველოს პროლეტარიატს და ულოცავს გასაბჭოების 7 წლის თავს,—იძახის წითელი არმიის წარმომადგენელი ამხ. ვასილიევი და მისი სიტყვები იფარება „ვაშათი“ და ორკესტრის გუგუნით.

დემონსტრანტებს ესალმებოდენ აგრეთვე ტრიბუნიდან ამხ. მამია ორახელაშვილი, მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, შ. ელიავა, ლევანდოვსკი, ალაფუზო, ბერია, სუხიშვილი და სხ.

დემონსტრაცია დასრულდა საღამოს ოთხ საათზე. საღამოს ყველა თეატრებში და კლუბებში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენები.

ორი დღესასწაული

წითელი დროშებით მოქარგული ქალაქი იღვიძებს ორი დიადი დღესასწაულის—წითელი არმიის ათი წლის თავისა და საქართველოს გასაბჭოების შვიდი წლის თავის ზეიმის შესახვედრად. თებერვლის მოღრუბლულ ცაზე შუქ-მიბნედილი მზე ვერ ათბობს გაყინულ და თოვლით დაფარულ ქუჩებს. სიცივით გათოშილი მოქალაქენი ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან რუსთაველის პროსპექტის მარცხენა მხარეზე: ელიან ძლევამოსილი წითელი არმიის ნაწილებისა და თბილისის პროლეტარიატის გამოჩენას.

ბევრი ზეიმი ახსოვს თბილისს. დროშებით მოელვარე დედაქალაქი მრავალ დღესასწაულს შეგებებია, დღევანდელი ზეიმიც არაა მისთვის არაჩვეულებრივი. თბილისი—ქალაქი მზისა დილიდანვე მხიარულობს, რუსთაველის პროსპექტი დილიდანვე ემზადება იუბილიარების მისალმებად. ესენი არიან წითელი არმიის ნაწილები და თბილისის პროლეტარიატი. პირველი—სიმტკიცე ლენინის ანდერძისა და ერთგული მცველი ოქტომბრის მონაპოვართა, მეორე—მაგარი კუნთი საბჭოთა აღმშენებლობისა და თანამედროვე საქართველოს ძლიერება.

იუბილიარები ერთი გზით მოდიან,—რუსთაველის პროსპექტზე, ერთად იზიარებენ თავიანთ სიხარულს, გამარჯვებას და მიღწევებს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში— თბილისში.

აი, გამოჩნდნენ კიდეც. რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეს მწყობრად მოდიან წითელი არმიის ქვეითი ჯარის ნაწილები. მარცხენა მხარე უჭირავს თბილისის პროლეტარიატს. უამრავი ორკესტრებისა და ჯავშნიან ავტომობილების გუგუნში ერევა ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები: „ძირს ომი“, „გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას“ და „ვაშას“ ძახილი.

სანახაობა სანახაობას ცვლის. აგერ, გამოჩნდენ ცხენოსანთა რაზმებიც. ჩქარი თქარუნით ჩაიქროლეს რუსთაველის პროსპექტი და „ვაშა“-ს ძახილით გაშორდენ მორთულ სასახლეს.

უფრო ნელათ და მძიმეთ მოეშურებიან სასახლისაკენ არტილერიის ნაწილები. ხავედ ზარბაზნების ხმაური უფრო აღვივებს და აძლიერებს ტრიბუნებიდან გაბნეულ სიტყვებს. „10 წელი ოქტომბრის სადარაჯოზე“ „7 წელი საქართველოს გასაბჭოების“.

სასახლის წინ აღმართული ტრიბუნა მრავალ მოქალაქეებს იზიდავს. ყველანი იქითკენ მიისწრაფვიან. მათ უნდათ ნახონ მთავრობის წევრები, თუ როგორ ღებულობენ საპატიო იუბილიარებს—წითელ არმიის ნაწილებს და თბილისის პროლეტარებს. ტრიბუნაზე სდგანან საქართველოს კომპარტიის სახელოვანი ბელადები და მთავრობის წევრები; ისინი ესალმებიან დემონსტრანტებს.

დღის სამი საათია, რუსთაველის პროსპექტზე ჩაივლის უკანასკნელი კოლონა. ისევ „ვაშა“-ს ძახილი, ისევ ორკესტრის გუგუნი და კოლონა ეფარება თვალებს. ხალხი მაინც არ იშლება. თებერვლის შუქ-მილეული მზე კი თანდათან იხრება და სიცივე დგება. მალე ისევ ასმაურდებიან ტრამვაები, ავტომობილები და დაიწყება ჩვეულებრივი მოძრაობა. საღამოთი კი აენთებიან ელნათურები, უფრო მეტის ძალით, მეტის ფერადობით და ელვარებით.

ღამით კი თბილისი იძინებს, რომ მეორე დღით შეხვდეს ახალ ცხოვრებას,—წითელ არმიის მეთერთმეტე წლისა და საქართველოს გასაბჭოების მერვე წლის პირველ დღეს და თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ათი წლის თავს.

ჟ.



რკინისგზელთა პროცესია

მისალმებები

საქართველოს მშრომელთ

ამხ. რიკოვისაგან

საბჭოთა საქართველოს არსებობის შვიდი წლის თავზე მივესალმები თავისუფალ ქართველ ხალხს.

საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი.

ამხ. მიქოიანისაგან

მხურვალედ ვულოცავ საქართველოს მუშებსა და გლეხებს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შვიდი წლის თავს, ხელისუფლების, რომელმაც ბოლო მოუღო იმპერიალისტების აგენტების — მენშევიკების ბატონობას და რომელმაც გზა გაუხსნა საქართველოს მეურნეობისა, კულტურისა და მშრომელთა ყოფა-ცხოვრების სოციალისტურ გარდაქმნას. წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის შვიდმა წელმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს საქართველოს მშრომელთა მასების ენერგია და სოციალისტური განვითარების ტემპი.

დეე, განმტკიცდეს საბჭოთა საქართველო — პროლეტარული რევოლუციის ფორპოსტი იმპერიალიზმის წინააღმდეგ! გაუმარჯოს საქართველოს მშრომელებს და მათ ბელადს — კომუნისტურ პარტიას!

ა. მიქოიანი.

—:—

ამას გარდა მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშები:

ბერლინიდან—საბჭოთა კოლონიიდან, ლენინგრადიდან—ამიერ-კავკასიის პროლეტარული სტუდენტობისაგან, სანდარადან—სარვანის თემის მუშათა და გლეხთა კრებისაგან, მოსკოვიდან—ტერ-გაბრიელიანისა და მამულიასაგან, სოჭიდან—საზეიმო კრებისაგან, ერევნიდან—სომხეთის პროფსაბჭოსაგან, შორაპნიდან—შორაპნის სამაზრო აღმასკომისაგან, მუხიანიდან—მუხიანის თემის გლეხობის კრებისაგან, ქანიდან—ქანის კრამიტის ქარხნის მუშებისაგან, ორპირიდან—ორპირის თემსაბჭოსაგან, საწირიდან—საწირის თემსაბჭოს საზეიმო კრებისაგან, ახმეტიდან—ახმეტის გლეხთა მიტინგისაგან, ხულოდან—ხულოს მაზრის გლეხთა, მუშათა და წითელარმიელთა გაერთიანებული მიტინგისაგან, წითელი არმიის სახლის წევრთა კრებისაგან, აფთიაქის სამმართველოს თანამშრომელთაგან.

საქ. ლენინური კომკავშირის მე-9 ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის სახელობის თეატრში, გაიხსნა სრულიად საქართველოს ა. ლ. კ. კ. მე-9 ყრილობა.

ყრილობა გახსნა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გობეჩიამ.

ამხ. გობეჩიას სიტყვა

— ამხანაგებო მე-9 ყრილობის გახსნის წინ ჩვენ უსათუოდ უნდა მოვიგონოთ ძვირფასი მასწავლებელი და მსოფლიო მუშათა კლასის ბელადი ამხ. ვლად. ილიას ძე ლენინი. მე-8 ყრილობიდან დღემდე კომუნისტურმა პარტიამ საბჭოთა კავშირის მშრომელებმა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა დაკარგა მუშათა კლასის საუკეთესო მებრძოლები: ამხ. ამხ. ძერჟინსკი, ვოიკოვი და კრასინი. ჩინეთის რევოლუციის პერიოდში ჩვენმა პარტიამ და კომკავშირმა დაკარგა საუკეთესო მებრძოლები. ამიტომ გთხოვთ დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეთ.

ამხანაგებო! ორი წელი გავიდა მე-8 ყრილობიდან, ორი წელიწა კომკავშირის ორგანიზაცია ენერგიულად მუშაობდა იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომელიც წამოყენებულ იქნა კომუნისტური პარტიის მიერ.

ამხ. მ. გობეჩია აღნიშნავს საერთაშორისო მდგომარეობის გართულებას, ორგანიზაციის ბრძოლას კონტრ-რევოლუციასთან, ბრძოლას ოპოზიციის წინააღმდეგ და ამბობს: ჩვენს ორგანიზაციას აქვს დიდი მიღწევები. მე-9 ყრილობამ ჯამი უნდა გაუკეთოს განვლილ მუშაობას და დასახოს მორიგი ამოცანები. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ მე-9 ყრილობა ყველა საკითხების გადაჭრას მიუდგება ბოლშევიკურათ, მიუდგება ლენინურად, ის შესძლებს შეუცდომლად დასახოს მუშაობის შემდეგი გზები.

ნება მიბოძეთ ვუსურვო ჩვენს ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა.

ეხლა კი ცენტრალური კომიტეტის სახელით საქ. ა. ლ. კ. კ. მე-9 ყრილობას გახსნილად ვაცხადებ.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 61 ამხანაგი: ახრიბეკოვი, გეგეჭკორი ალ., ღოღობერიძე ლ., გეურქოვი, გ. დევდარიანი, ვ. ჯაფარიძე, დ. კანდელაკი, ა. კეკელია, ყურულაშვილ, მამულია, მაჩკევიჩი, სალუქვაძე სუხიშვილი ლადო, ოკუჯავა შ., მარია ორახელაშვილი, ადამაძე ბ., არუთინოვი, აზარაშვილი, ბუჯიაშვილი, ბოკერია, ბერიძე, ბეტლინისა, ვარდანია, გეგეჭკორი, გავრიში, გობეჩია, გუმენდინი, გასიევი, ელენტი, იმხანოვი, მაისურაძე, ნესტოროვი, რახმანოვი, ფირცხალავა, ვილი-კლასს, ხილაძე, თოფურია, ჩანკვეტაძე და სხვა.

სამანდატო კომისიაში არჩეულ იქნა 9 ამხანაგი: აბუაშვილი, დავიდოვი, ლეკვეიშვილი და სხვა.

სარედაქციო კოლეგიაში: ბესტაევი, დ. ვოლსკი, ვ. კუპრაძე, სიხარულიძე, სპირიდონოვი, ჩაჩიბაია და ზეინალოვი.

სამდივნოში: გვალია, ჯაფარიძე, კარსანიძე, კერესელიძე, მგელაძე, ფარნიევი, ცქიტინიძე, გუნიავა და ცინცაძე.

საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 22 ამხანაგი: სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ორჯონიკიძე, ვოროშილოვი, ტომსკი, მოლოტოვი, მიქოიანი, კიროვი, ბესო ლომინაძე, უგლანოვი, შაცკი, ჩაპლინი, ცხაკაია, მახარაძე, ორახელაშვილი მამია, კახიანი, ქართველიშვილი, ელიავა, ნაზარეტიანი და ლევანდოვსკი.

საპატიო პრეზიდიუმის წევრების დასახელებას ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით და ოვაციებით შეხვდა.

ყრილობის დღის წესრიგი

ამის შემდეგ დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1) პოლიტიკური მოხსენება, მომხს.—ამხ. მ. კახიანი.

2. ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას ანგარიში—მომხს. ამხ. მ. გობეჩია.

3. ბავშთა შორის მუშაობა—მომხსენებლები: ამხ. ამხ. მარიამ ორახელაშვილი და ქ. ბუჯიაშვილი.

4. სოფლად მუშაობის შესახებ—მომხს. ამხ. გ. ჭავახიძე.

5. ხელმძღვანელ ორგანოთა და ა. ლ. კ. და საქ. ლ. კ. კ. ყრილობების დელეგატების არჩევნები.

მისალმებანი

ყრილობის დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოდის პარტიის მოხუცი ბელადი, ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია.

ამხ. მიხას ტრიბუნაზე გამოჩენას ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით ხვდება.

საკავშირო კომკავშირის ა.-კ. ორგანიზაციის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. რახმანოვი.

ამხ. რახმანოვის სიტყვის შემდეგ ყრილობას მიესალმა ვიუტენბერგის (გერმანია) ორგანიზაციიდან ამხ. ვილმ კლასსი.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის სახელით ყრილობას ესალმება ამხ. ვასილიევი, რომელიც თავის სიტყვას ამთავრებს: წითელ არმიას დღეს ჰყავს მრავალათასიანი მებრძოლი შემცვლელები კომკავშირის სახით. ის ამოცანები, რომელსაც ჩვენს წინაშე სვამს კომუნისტური პარტია, კომკავშირის დახმარებით წითელ არმიის მიერ გადაჭრილ იქნება.

თბილისის მთავარი სახელოსნოებიდან მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა

ამხ. ლეკვეიშვილი.

აპარკომის ორგანიზაციიდან ამხ. ახალაძე.

ხაშურის ორგანიზაციიდან ამხ. აბდუშელი. რომელმაც ყრილობას უძღვნა ძვირფასი საჩუქარი კომკავშირელების მიერ დამზადებული სხვადასხვა ინსტრუმენტები.

ბორჯომის მუშათა ორგანიზაციის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ბელიაევსკი.

ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა თბილისის ორგანიზაციის პირველი რაიკომის მიერ მოწყობილ სამხედრო ლაშქრობის მთავარ ორგანიზატორს ა.-კ. ფეხოსანთა სკოლის ხელმძღვანელს ამხ. კლემენტიევს გამოსვლას.

თბილისის ბაღების მომუშავე მოჯამაგირე ახალგაზრდობის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. მელაძე.

სამხატვრო აკადემიიდან მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. ლოჩოშვილი, რომელმაც ყრილობას მიუძღვნა სტალინის ქანდაკება.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდის მარელისის ქარხნიდან ამხ. ცუცქირიძე, რომელმაც ჩამოიტანა კომკავშირელების მიერ დამზადებული სკამები.

საინტერესო იყო ქალ. ახალ-სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის მიერ დამზადებული სასოფლო-მეურნეობის რაციონალიზაციის მოდელი, მეგრული სახლით, ეზოთი და ცოცხალი ყვავილების წარწერებით.

ჭიათურის ორგანიზაციამ ყრილობას უძღვნა რონოდის მოდელი შავი ქვით სავსე, წერაქვი და „ლაფატკა“.

ქუთაისის ორგანიზაციიდან ყრილობას ესალმება ამხ. ბ. ჩიხლაძე და ყრილობას უძღვნა ლენინის სურათი და სამუშაო იარაღი.

ყრილობას მიესალმა სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები: ბორჩალოდან,—ალიევა-გულკასი, სენაკიდან—ბოკუჩავა; კოოპერატიული ქარხნებიდან—საქურაშვილი; რკ. გზის საქარხნო სკოლიდან—გუსკოვი, წითელ ფლოტიდან — ამხ. კარპენკო; პიონერებიდან—ავეტისოვი და სხვა.

სხდომის დასასრულ დელეგატებს უჩვენეს თანამედროვე რევოლუციონური პიესა „რღვევა“.

დღეს დილის სხდომაზე მოსმენილი იქნება ამხ. კახიანის მოხსენება.

საღამოს სხდომაზე კი ამხ. მ. გობეჩია გააკეთებს მოხსენებას ცეკას მუშაობის შესახებ.

კომკავშირული საომარი

რა შეგვაჩერებს! ახალ ბრძოლებს მოწყურებული,
მოვდივართ ისევ ამბოხების ცეცხლით აშლილი;
თითო ჩვენგანი ნაწილია იმ დიდ სხეულის,
რომელსაც ჰქვიან საქართველოს ახკომკავშირი.
ჯერ კიდევ გუშინ სულ თითებზე ჩამოსათვლელი
იყო ძნელაძის გაბედული „სპარტაკელები“;
ეხლა შეხედეთ, ტყე გაჩნდება უზარმაზარი
ყველამ ერთბაშად რომ ავიწიოთ მაღლა ხელები.
მძიმე წარსულში მკლავები არ მოგვდუნებია,
არ გავქცევივართ ლაჩარივით ბრძოლის მოედნიდან,
ამ ტყე-ხელებში ერთი თითიც არ ურყევია!
რომ ერთხელ მაინც ჩახმახისათვის არ გამოეკრას.
ის სადაც ჰყრია ჩვენი ძვლები, სისხლით მორწყული,
სადაც მკერდები უწინ ტყვიას დაუკორტნია—
დგას კომკავშირი გამარჯვებით გარემოცული
და ახალ ქვეყნის მშენებლების სახით მოდიან.
ჩვენშია მუშა, მეცნიერი და მეზღვაური,
ქვეყნის მმართველი, ოსტატი და მხედართ კრებული;
ჩვენი სიცოცხლე—ეს უზომო სიხარულია
ათასს მომავალ ქარიშხალზე გამრავლებული.
დღეს, როცა მეცხრე მოგვესმება ცეკას ძახილი:
— ჰეი ბიჭებო, ლენინელთა მტკიცე თაობავ—
ვინ გამოვაკლდა, ხომ მჭრელია ისევ მახვილი
რომ აჩქარუნდეს საბოლოვოთ მტრის დასამხობათ!
ჩვენ უპასუხებთ:—საკმაოა ტყვია-წამალი,
მკლავებიც გვერჩის და თოფიცა არ ჩაჟანგებულა—
გვესმის პარტიავ! ყველანი ვართ, ყველა მზათ არის
რომ შეეგებოს შემოსეულ მტერს ძველებურად.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

რესპუბლიკანური კინო-თათბირი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებასთან

მოწვეულია ა. წ. 28 თებერვალს, დილის 10 საათისათვის

დღის წესრიგი:

1. საბჭოთა კინემატოგრაფიის შედეგები და პერსპექტივები.
2. საქართველოს კინო-წარმოების მდგომარეობა.
3. პარტხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები კინემატოგრაფიის დარგში მუშაობისათვის.
4. სოფლის კინოფიკაცია.
5. კინო და მუშათა კლუბები.

დღეს, 28 თებერვალს დილის 11 საათზე

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

(რუსთაველის გამზირი, № 24)

შესდგება თათბირი

რომელზედაც უნდა გაირჩეს ფორმები და მეთოდები მომავალი ფართო (მასიურ) გამოკვლევისა:

„საბჭოთა (პროლეტარული) დემოკრატიის განხორციელება“

თათბირში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან:

ამიერ-კავკასიის ცაკის, საქართველოს ცაკის, თბილისის საბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის, საკ. ლენ. ახ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს ლენ. ახ. კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის, საქართველოს პროფსაბჭოს და ამ.-კავკასიის პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებათა წარმომადგენლები;

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის 1, 2, 3 და 4 რაიონულ კომიტეტების წარმომადგენლები;

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის მუშა ქალთა განყოფილებების წარმომადგენლები;

გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-ს, „რაბოჩაია პრავდა“-ს, „კომუნისტ“-ის, „ახალი სოფლი“-ს რედაქციების და მუშკორთა ბიუროების წარმომადგენლები.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ნაზარეტიანი

კამპანია საბჭოთა სექციების მუშაობის გამოკვლევისათვის

გამოცხადებულია კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

თბილისის საბჭოს სექციები ანგარიშს აბარებენ

სავაჭრო კოოპერატიული სექცია

სავაჭრო კოოპერატიული სექცია შესდგება 40 საბჭოს წევრისა და 107 მიმაგრებული აქტივისაგან. სექციას თებერვლამდე ქონდა სულ 14 სხდომა, რომელზედაც ესწრებოდა სექციის წევრთა შემადგენლობის 60—75 პროცენტი. სხდომებზე ისმებოდა მეტად საჭირბოროტო საკითხები, რომელთა განხილვაში სექციის წევრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ. სექციას არ ქონია არც ერთი ისეთი სხდომა, რომელზედაც აზრთა გაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა არ ყოფილიყოს, რაც უმთავრესად სექციაში დასმულ საკითხის საჭირბოროტო ხასიათით აიხსნება. სხდომების აქტიურობის მეორე მთავარი მიზეზი იყო თვით სექციის მიერ შემოღებული მუშაობის მეთოდი, რომლის თანახმად რომელიმე სამეურნეო ორგანოს, ვაჭრობის ამა თუ იმ დარგის გამოსაკვლევად ეწყობოდა კომისიები, რომელნიც გამოკვლევის შემდეგ სათანადო დასკვნებს უდგენდენ სექციას, მათ მიერ ჩატარებულ გამოკვლევის შედეგების შესახებ.

საკომისიო მუშაობაში უკანასკნელ დრომდე ჩაბმული იყო ძალზე მეტი წევრი. სექციის 14 სხდომაზე განხილული იყო 36 საკითხი, რომელთა შორის, აღსანიშნავია შემდეგი: ფასების დასაკლებად გამოყოფილ საგეგმო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, ფასების დაკლების შედეგები, 1927—28 წლის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების განხილვა, „თბილისის ვაჭრობის" გამოკვლევის შედეგები, პურის ბაზრის, შეშისა და ხე-ტყის ბაზრის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, შაქრის ბაზრების მდგომარეობა, ვაჭრობის დროის მოწესრიგება, ადგილობრივ ვაჭრობის ბრუნვის გამოკვლევა, მანუფაქტურის, ხორცის ბაზრის მდგომარეობა და სხ. ყველა ამ საკითხების შესახებ სექციის მიერ დეტალურად გამომუშავებულ იქნა პრაქტიკულ ხასიათის წინადადებები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სექციის მიერ გამომუშავებული ღონისძიებები პურის კერძო მოვაჭრეების წინააღმდეგ იმ ხანებში, როდესაც შეირხა პურის მიწოდება ქალაქისათვის. ამ ღონისძიებებმა გამოიღეს დადებითი შედეგი და საგრძნობლად შეამცირა ბოროტმოქმედება პურით ვაჭრობაში, რამაც პირველ ხანებში ფართო ხასიათი მიიღო. უკანასკნელ სხდომაზე პლენუმმა გადასწყვიტა ზოგიერთ მაღაზიებთან მოაწყოს კომისიები კოოპერატიულ ორგანიზაციების კომისიების მსგავსად რომელნიც იკისრებენ ერთგვარ საზოგადოებრივ კონტროლის გაწევას სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობაზე.

რაც შეეხება სექციის მიერ გამოტანილ დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას, ამ მხრივ საქმეს აბრკოლებს ის გარემოება, რომ სავაჭ. კოოპერატიულ სექციას არ აქვს ისეთი ობიექტი, რომელსაც შეიძლება უშუალოდ დაეკისროს მის მიერ გამოტანილ დადგენილებათა განხორციელება. კოოპერატიულ სექციის დადგენილებათა უმრავლესობა უმთავრესად შეეხება ისეთ ორგანიზაციებს, რომელნიც უშუალოდ არ ექვემდებარებიან თბილისის საბჭოს. სექციას საბჭოს არსებული დებულების ძალით, მოკლებულია საშვალებას უშუალო ურთიერთობა იქონიოს ამ ორგანიზაციებთან, რაც დიდად აბრკოლებს სექციის დადგენილებათა რეალიზაციას.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სექციის მიერ დეტალურად დამუშავებული დადგენილებები საორგანიზაციო განყოფილების იქით არ მიდიოდნენ. სექციის შემდეგი მუშაობის ნაყოფიერებისათვის აუცილებელია საორგანიზაციო განყოფილებამ და თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა იზრუნონ სექციის მიერ გამოტანილ პრაქტიკულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

გ.—ნი.

როგორ უნდა დაიწეროს

საკონკურსო კორესპონდენციები

გაზეთის გუშინდელ ნომერში ჩვენ გავაცანით მკითხველებს მიზანი საბჭოების სექციათა მუშაობის გამოკვლევისა.

ჩვენ მოუწოდებთ ჩვენ მუშა და გლეხკორესპონდენტებს მთელი ენერგიით ჩაებან მიმდინარე კამპანიაში, მოგვაწოდონ სათანადო კორესპონდენციები სექციების მუშაობის შესახებ.

გუშინ ჩვენ ვწერდით, რომ ჩვენ გაზეთში მოთავსებული საუკეთესო კორესპონდენციების ავტორები დაჯილდოვებული იქნებიან რედაქციის მიერ პრემიებით.

როგორ უნდა დაიწეროს ეს კორესპონდენციები, რას უნდა მიექცეს იქ მთავარი ყურადღება და როგორი კორესპონდენციები იქნება დაჯილდოებული?

მუშგლეხკორებმა დაწვრილებით უნდა შეისწავლონ სექციების მუშაობა, კარგად გაერკვიონ მათ საქმიანობაში, მიღწეულ შედეგებში, არსებულ ნაკლულოვანებებში და მათი საქმიანობის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ მოგვაწოდონ მათი შეფასება.

რა თქმა უნდა, ყველა მუშ-გლეხკორს ჩვენ ასეთ ფართე მუშაობას ვერ დავაკისრებთ, მაგრამ აუცილებლად საჭიროა, რომ ქალაქისა, თემისა და სოფლის საბჭოს თითეულ სექციის მუშაობას ერთი ან ორი კორესპონდენტი მაინც დაწვრილებით გაეცნოს.

ამით ჩვენ იმის თქმა არ გვსურს, თითქოს საკმარისი იყოს ამა თუ იმ საბჭოს სექციების მუშაობაზე თითო წერილის დაწერა და მით კამპანიის დასრულება. სრულიადაც არა. საჭიროა თითო სექციაზე დაიწეროს რამოდენიმე კორესპონდენცია. რომლებშიაც გაშუქებული იქნება კონკრეტიული შემთხვევები ნაკლისა და მიღწევისა. მიმდინარე კამპანიაში ჩათრეულ უნდა იქნენ მუშ-გლეხკორების მთელი ძალები.

მხოლოდ ასეთ პირობებში შევძლებთ იმის დაწვრილებით გამორკვევას, თუ როგორ მუშაობას აწარმოებდა საბჭოს ესა თუ ის სექცია.

რაც შეეხება დასაჯილდოებელ კორესპონდენციებს, ასეთად რედაქციის მიერ ცნობილი იქნება ის კორესპონდენციები, რომლებიც დააკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

პირველი: — საკონკურსო კორესპონდენციაში მთლიანად და ნათლად უნდა იქნეს გაშუქებული სექციის მუშაობა, მაგრამ იმ პირობების დაცვით, რომ **კორესპონდენცია რაც შეიძლება მოკლედ და გარკვევით უნდა იყოს შედგენილი**, უნდა ვერიდოთ მათი **ზედმეტი** ციფრებით დატვირთვას.

მეორე: — საკონკურსო კორესპონდენციაში აღწერილი უნდა იქნეს არა მარტო სექციების ეხლანდელი მდგომარეობა, არამედ მისი წარსული მუშაობაც. გამოკვლევისა და კონკურსის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სექციების შემდგომ მუშაობაში აღმოიფხვრას ყოველგვარი ნაკლულოვანებანი, ამიტომ კორესპონდენტი არ უნდა დაერიდოს ნაკლის აღნუსხვას. საკონკურსო კორესპონდენცია ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მასში ნათლად სჩანდეს, თუ რაგზით მიაღწიეს სექციებმა თავისი საქმიანობის გაუმჯობესებას და რა უშლიდა მათ ხელს ნაკლთა გამოსწორებაში.

ავიღოთ მაგალითად ასეთი შემთხვევა, რომ სექციის მითითებით საბჭომ მოახერხა ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯების შემცირება ამ შემთხვევაში საკმარისი არაა კორესპონდენციაში ამის აღნიშვნა მარტო საჭიროა ამას გარდა კიდევ იმ გზის დასახელებაც, რომლითაც გატარდა ეს.

ვთქვათ, ზოგან მაღალია ასეთი ხარჯები და ჯერ ვერ მოუხერხებიათ მისი შემცირება, საჭიროა აღინიშნოს, თუ რა მიზეზები უშლის ხელს ხარჯების შემცირებას.

მესამე პირობას, რასაც კორესპონდენცია უსათუოდ უნდა, აკმაყოფილებდეს, არის ამ კორესპონდენციის აგება უტყუარ ფაქტებზე. არც ერთი სიტყვა კორესპონდენციაში არ უნდა იყოს **ტენდენციური, ყალბი, გადამეტებული**, მიღწევა ან ნაკლი გაზვიადებული: უნდა ვთქვათ სწორად ის რაც არის სინამდვილეში, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოიტანს სათანადო ნაყოფს ეს კამპანია და გაზეთში გამოქვეყნებული კორესპონდენციაც.

რედაქცია მიიღებს სათანადო ზომებს იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორად იყო გაშუქებული მუშ-გლეხკორის მიერ სექციების საქმიანობა:

ამნაირად საუკეთესოდ ჩაითვლება ისეთი კორესპონდენციები, რომლებიც ყველა ზემოხსენებულ პირობებს სავსებით დააკმაყოფილებენ.

ჩვენ მოუწოდებთ მუშგლეხკორთა ბიუროებს და ადგილობრივ კედლის გაზეთების ხელმძღვანელებს, ფართედ განუმარტონ თავიანთი ირგვლივ შემოკრებილ მუშ-გლეხკორებს მიმდინარე კამპანიის მნიშვნელობა.

ასე ვმუშაობთ

ამხ. სტ. გოზალაშვილი.

(თბ. ტრამვაის ელსადგურის მუშა).

მე მინდა რამდენიმეთ შევეხო თბილისის საბჭოს სავაჭრო კოოპერატიულ სექციის მუშაობას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრები არ იჩენენ სათანადო აქტივობას საბჭოს მუშაობაში. არიან ამხანაგები, რომლებიც არც ერთ სექციაში არ ირიცხებიან. საბჭოს პრეზიდიუმმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

სავაჭრო-კოოპერატიული სექცია დაარსდა რამდენიმე თვის წინეთ, მას ჰყავს სულ 25 წევრი. სექციის წევრები თავიდანვე ერთგულად და ხალისიანად შეუდგენ მუშაობას. პირველად მათ გამოჰყვეს კომისია, რომელსაც დაევალა მთლიანად თბილისის მაზრის და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების თბილისის ბაზარზე გასაღების მდგომარეობის გამოკვლევა. კომისიამ პირნათლად შეასრულა დაკისრებული მოვალეობა. გამოკვლეული იქნა კოოპერატიული დაწესებულებების: მუშკოოპის, „ზაკტპოს", „ბოეცი"-ს და „მდელოსი"-ს მდგომარეობა. შესწავლილი იქნა აგრეთვე მუშათა უბნებში არსებული კოოპერატიულ მაღაზიების მდგომარეობა, რის შემდეგ სექციამ სთხოვა კოოპერატივებს გაეხსნათ თავიანთი განყოფილებები. ისეთ უბნებში, სადაც არ იყო მოწყობილი კოოპერატივები. მოხდა აგრეთვე, შეშის ბაზრის გამოკვლევა, რომლის დროსაც აღმოჩნდა, რომ კერძო შეშის საწყობების პატრონები ცუდათ აწყობენ შეშას და ატყუილებენ მოქალაქეებს ზომაში რასაც მომავალში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ფინინსექციაზე დროებით მიმაგრებული სექციის წევრები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ და დიდი სარგებლობაც მოაქვს სახელმწიფოსათვის. სექციას ამჟამად გამოყოფილი ჰყავს კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ტარდება, ცხოვრებაში მისი დადგენილებები თუ არ ტარდება რა მიზეზით, და ან რა უშლის ხელს მის ცხოვრებაში გატარებას.

ამ მიღწევებთან ერთად სექციას მრავალი ნაკლიც აქვს, რომლის გამოსწორება წინ წასწევს სექციის საქმიანობას.

ჩვენი ნაკლი და მიღწევა

ამხ. მიხეილ არეფოვი.

(26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშა, სავაჭრო-კოოპერატიული სექციის წევრი).

— მე ვმუშაობ სავაჭრო-კოოპერატიულ სექციაში. ჩვენი მუშაობა უმთავრესად კოოპერატიულ ორგანიზაციებისა და სავაჭრო მაღაზიების გამოკვლევაში გამოიხატება. კოოპერატივების საქმიანობის შემოწმების დროს შემჩნეულ იქნა მთელი რიგი დეფექტებისა, კოოპერატივების მუშაობაში. მთავარი ყურადღება მივაქციეთ პურის ცხობის საკითხს. ერთხანს კერძო მეპურეებმა, რომელნიც ფქვილს მუშკოოპის ცენტრალურ საწყობიდან იღებენ, პურის ხარისხი დასწიეს. ამას თავის დროზე მიექცა სათანადო ყურადღება, მაგრამ ეს არ კმარა. ჩემის აზრით, საჭიროა გადიდდეს მუშკოოპის ქართული პურის საცხობების რიცხვი.

„თბილისის ვაჭრობა"-ს მაღაზია უთავბოლოდ მუშაობდა. როგორც გამოკვლევიდან დავინახეთ, უკანასკნელი თავის ფუნქციებსაც აჭარბებდა; ჰყიდდა სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და სხ. ამ ჟამად „თბილისის ვაჭრობა" მხოლოდ განსაზღვრულ ხელსაწყო-იარაღებით და მასალებით ვაჭრობს. გარდა ამისა „თბილისის ვაჭრობა"-ს სამმართველოში ადგილი აქვს აგრეთვე ბიუროკრატიზმს, რაც დროზე უნდა აღმოიფხვრას.

სექციის ერთ-ერთ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამ. კავკ. რკ. გზის ტრანსპ. მომხ. საზოგადოება „ზაკტპო"-ს გამგეობის ანგარიში. სექციამ „ზაკტპო"-ს გამგეობას მისცა პრაქტიკული წინადადებანი თბილისის მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

თბილისში არ არსებობს კოოპერატიული მწვანე ბაზარი, რის გამო მუშები კერძო ვაჭრებს მიმართავენ. თბ. მწვანე ბაზრის მოწყობა სავაჭრო-კოოპერატიულ სექციამ უნდა იკისროს.

ყურადღებას არ გვაქცევენ

ამხ. ქ. ზვაჭაძე

(მუშკოოპის ფურნე № 110 პურის მცხობელი)

— თბილისის ზოგიერთი ქართული პურის საცხობები მუშკოოპის გამგეობის განკარგულებაში გადავიდა. საცხობებში პურს აცხობენ და ჰყიდიან ყოფ. კერძო მეპურეები, რომელთაც მუშკოოპის გამგეობა განსაზღვრულ პროცენტებს აძლევს ჯამაგირის ანგარიშში. მაგრამ პურის მცხობელებთან მომუშავე მუშები მოკლებული არიან კავშირის წევრის შეღავათებს და უფლებებს არც დაზღვეული არიან ისინი.

პირადათ მე 1926 წლიდან გადამრიცხეს მუშკოოპის გამგეობის განკარგულებაში. მიუხედავათ ამისა დღესაც არ ვირიცხები კავშირში და არა ვარ დაზღვეული. როდესაც ამის შესახებ დამზღვევ სალაროს მივმართე, ყურადღება არავინ მომაქცია. თბ. საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულ სექციის მიერ გამოყოფილმა კომისიამ ამ საკითხს ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება. საჭიროა სექციამ მიიღოს ზომები პურის საცხობებში მომუშავე მუშების დასაზღვევად და კავშირში ჩასარიცხად.

საკურორტო ყრილობა

მეათე სხდომა

ბავშვების მკურნალობა კურორტებზე

ზოგიერთ რესპუბლიკანური მნიშვნელობის კურორტებზე ბავშვების მკურნალობის შესახებ ყრილობამ მოისმინა ექ. მელიქიშვილის მოხსენება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბავშვო სნეულებათა მკურნალობა, დიდის წარმატებით სწარმოებს პატარა-ცემში და ბაკურიანში, რაც აიხსნება იმით, რომ ეს კურორტები მდებარეობენ არც ძალიან დიდ სიმაღლეზე და არც დაბლობზე. ჰავა აქ ზომიერათ შეზავებულია და ბავშვების სუსტი ორგანიზმი ასეთ ჰავაში ადვილად ვითარდება.

ექ. გ. გალიცკაია ეხება ფიზკულტურის მნიშვნელობას ბავშვების კურორტებზე მკურნალობის საქმეში. ორატორს ამ მხრივ უწარმოებია დიდძალი დაკვირვებები და მიღებულ შედეგებიდან სჩანს, რომ ფიზკულტურას დიდი გავლენა მოუხდენია ბავშვების გაჯანსაღებაზე. ექ. მღებრიშვილი ამტკიცებს, რომ ფიზკულტურა აღიარებული უნდა იქნეს საკურორტო მკურნალობის ერთ-ერთ ფაქტორად.

ჭლექის მკურნალობა აბასთუმანში

ტუბერკულიოზით შეპყრობილთა მკურნალობის შედეგების შესახებ აბასთუმანში ვრცელი მოხსენება გააკეთა პრ. დოცენტმა ი. აბაკელიამ. მომხსენებელი შეეხო უმთავრესად ავადმყოფთა კვების საკითხს და აღნიშნა, რომ ჭლექიანთა კვება უნდა ხდებოდეს უმთავრესად მცენარეულობისაგან დამზადებული საჭმელით და ისეთი კერძებით, რომელშიაც ბევრია ე. წ. ვიტამინების შემადგენლობა. თანახმად ჩატარებული დაკვირვებისა, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ხორციეული საჭმელები ასეთ ავადმყოფებს არ უნდა მიეცეს.

ექ. ორემბოვსკი ეხება ყელის და ცხვირის ჭლექის მკურნალობას აბასთუმანში და აღნიშნავს, რომ აბასთუმანის ჰავა დადებითად მოქმედობს აღნიშნულ სნეულებებზე.

პრ. დოც. შ. მიქელაძე ეხება მალარიით და ტუბერკულიოზით შეპყრობილთა მკურნალობას წაღვერში. ამასთანავე ორატორი აღნიშნავს წაღვერის მინერალური წყაროების გავლენას აღნიშნულ სნეულებებზე და ამბობს, რომ როგორც იგი დაარწმუნა მრავალი წლების დაკვირვებამ—წაღვერის რკინის წყალი უფრო დადებით გავლენას ახდენს აღნიშნულ სნეულების მკურნალობაზე, ვიდრე ესენტუკის რკ. წყაროები.

უკანასკნელი სხდომა

ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა პროფ. ალ. ჯავახიშვილის მოხსენება საკურორტო ადგილების ბუნების შესწავლის შესახებ. შემდეგი მოხსენებებით გამოვიდნენ გეოლოგი ნ. ყიფიანი მინერალური წყაროების, და ტალახის სამკურნალო ადგილების გეოლოგიური წარმოშობის შესახებ, პროფ. გ. ღამბარაშვილი სამეცნიერო მუშაობის წარმოების შესახებ რესპუბლიკის კურორტების შესასწავლად, ექ. ბურჭულაძე და ექ. მღებრიშვილი ტალახით მკურნალობის წესის შესახებ და ექ. ხახკინი კურორტებზე მკურნალობის შედეგების აღრიცხვის სისტემის შესახებ

დასასრულ, ყრილობამ აირჩია სრულიად საქართველოს მეორე საკურორტო ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედის 30 კაცი კომიტეტს დაევალა შემდეგი ყრილობა მოიწვიოს ქალ. სოხუმში.

ყველა მოსმენილ მოხსენებებზე შესაფერი რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

საექიმო დახმარება

სტუდენტებს

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს შუამდგომლობის თანახმად, თბილისის აღმასკომის ჯანსრთელობის განყოფილებამ დაადგინა საექიმო დახმარება აღმოუჩინოს როგორც სტიპენდიანტ, ისე არა სტიპენდიანტ სტუდენტებს. ამისათვის ყოველ უბანში გამოყოფილია თითო ექიმი სტუდენტებისათვის.

ავადმყოფ სტუდენტის ბინაზე ექიმის მოწვევა იწარმოებს იმავე წესით, რა წესითაც ექიმებს იწვევენ დაზღვეული ავადმყოფები. დაზღვევის წიგნაკის ნაცვლად სტუდენტები წარუდგენენ თავიანთ მოწმობებს. წამალი სტუდენტებს მიეცემათ უფასოდ.

სტუდენტების ექიმებად გამოყოფილი არიან: პირველ უბანში— ვ. ი. მაჩაბელი, ოლღას ქუჩა № 23, მეორე უბანში—ნ. გაჩეჩილაძე, გრიბოედოვის ქუჩა № 4, მესამე უბანში—ე. დ. ზაბალოვა—პასკევიჩის ქ. № 6, მეოთხე უბანში—მ. ი. შავერდოვი, ბებუთოვის ქუჩა № 12, მეხუთე უბანში—ნ მ. ტერ-ტეროვა, გიორგიევის მოედანი № 6, მეექვსე უბანში—ქ. . ბოგატოვა, მამუკინის ქ. № 11, მეშვიდე უბანში—გ. იარაპეტოვი, კახეთის ქუჩა № 21 მერვე უბანში—ი. ზ. გძელიშვილი, 19 თებერვლის ქ. № 48, მეცხრე უბანში—ნ. ს. მაღალაშვილი, ჩერქეზიშვილის ქ. № 22, მეათე უბანში—ი, ტერ-ნიკოღოსოვი, მილიუტინის ქ № 1, მეთერთმეტე უბანში—ნ. მ. კლიმიაშვილი, გოგოლის ქ. № 64, მეთორმეტე უბანში— ა. მ. მეიშვილი, საგურამოს ქუჩა № 17 მეცამეტე უბანში—ვ. თ. ჩხეიძე—საბურთალო.

ამას გარდა, გამოყოფილია ექიმი-ფსიქიატრი დ. ა. გედევანიშვილი, საპიორის ქუჩა № 32.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

თოვლი ბათუმში

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მოდიოდა წყალწყალა თოვლი, 25 თებერვალს დილით ამოვარდა ქარბუქი.

საღამოთი დაიწყო თოვა მსხვილი ფთილებით და ქუჩები მალე დაიფარა დიდი თოვლით. 26 თებერვალს ღამით თოვლის სიმაღლე უდრიდა ნახევარ მეტრს, ტემპერატურა დავიდა 2,6 გრადუსამდე ნულს ქვევით.

26 თებერვალს დილიდანვე მზიანი ამინდი დადგა.

თოვლი სწრაფად დნებოდა. ღამით წყლიანი თოვლის სიმძიმის გამო ჩამოიქცა რამოდენიმე ძველი შენობის სახურავი და რამოდენიმე ადგილას ჩამოწყდა ელექტრონის და ტელეფონის მავთულები.

მაზრებიდან იტყობინებიან, რომ იქ მოვიდა დიდი თოვლი, ბათომ-ხულოს გზატკეცილზე ალაგ-ალაგ ჩამოწვა ზვავი, ხოლო ალაგ-ალაგ აზიდულია ნამქერები, ქარ-ბუქის გამო ზემო აჭარისკენ გართულებულია მიმოსვლა. ხულოს ხაზზე ტელეფონის მავთულები დაწყვეტილია. მახლობელ მთებზე, ბათუმის მიდამოებში და ზღვის სანაპიროებზე ქობულეთამდე თოვლის სიმაღლე უდრის ერთ მეტრს.

ღელვა ზღვაზე აღწევდა 6 ბალამდე. დილით 26 თებერვალს ღელვა შეწყდა. გარე რეიდზე გასული გემები დაბრუნდნენ ნავსადგურში.

ოზურგეთში

ჩოხატაურში, სურებში და აღმოსავლეთ გურიის სხვა რაიონებში 26 თებერვალს ღამით მოვიდა ერთი არშინის სიმაღლე თოვლი. თოვა გრძელდება.

ქარიშხალი კასპიის ზღვაზე

კასპიის სანაოსნო საზოგადოებამ სპარსეთის ნავთსადგურებიდან მიიღო ცნობა, რომ სპარსეთის სანაპიროებზე მძვინვარებს გრიგალი დიდი ღელვის გამო გემები ვერ შედიან ნავთსადგურ პუნქტებში. სპარსეთის სანაპიროებზე გემებმა შეწყვიტეს საბარგო ოპერაციები და ძლივძლივობით იმაგრებენ თავს ორთქლით. მეშედიესერის რეიდზე ტალღამ გადააბრუნა საზღვაო ნავი. დაიღუპა ნავში მყოფი 12 კაცი, მათ შორის სპარსეთის სათევზო სამმართველოს სარეწაოების უფროსი ამხ. ლიპუნოვი. ჯერ-ჯერობით ნაპოვნია მხოლოდ 2 დაღუპულის გვამი. დანარჩენ დაღუპულთა გვამების ძებნა გრძელდება.

ავიაქიმში

თვითმფრინავების გადაცემა.

სამხედრო თვითმფრინავების „საქართველოს პროფკავშირები"-ის და „თბილისის პროლეტარიატი"-ს საზეიმო გადაცემა № საავიაციო რაზმისათვის, რომელიც უნდა შემდგარიყო თბილისის ჰაეროდრომზე თებერვლის 26, უამინდობის გამო გადაიდო.

გადაცემის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

უჯრედების გამოკვლევა.

თავდაცვა-ავიაქიმის საბჭომ დაამთავრა ავიაქიმის უჯრედების გამოკვლევა. გამოკვლეულია სამხედრო ნაწილების, წარმოებების და დაწესებულებების სულ 16 უჯრედი.

შეჯიბრი სროლაში.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, თბილისსა, ქუთაისსა და ბათომში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება აწყობს ქალთა მასიურ შეჯიბრს სროლაში. გამარჯვებულებს მიეცემათ საჩუქრები და დიპლომები. სროლა იწარმოებს შაშხანა თოფიდან, ხაგანიდან, და პატარა ყალიბის თოფებიდან (სისტემა „გეკო").

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობა

საზეიმო სხდომა

შაბათს, 25 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების დღეს, საღამოს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა ცეკავშირის რწმუნებულთა მეცამეტე ყრილობა.

პირველი სხდომა საზეიმო ხასიათს ატარებდა.

სხდომისა და მის გვერდით მდებარე დარბაზები მორთულია კოოპერატიული ხასიათის პლაკატებით და ლოზუნგებით. ცალკე დარბაზში მოწყობილია გამოფენა, რომელზედაც საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია—წარმოდგენილია დიაგრამებში, წარმოდგენილია აგრეთვე კოოპერატიული, ეკონომიური, და სოციალ-პოლიტიკური გამოცემები—„სახელგამის", ცეკავშირის და რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის. აქვე არის წარმოდგენილი საქმის წარმოების გამარტივების ნიმუშები და სხვა მრავალი მეტად საინტერესო ექსპონატები.

სხდომის დარბაზში ყურადღებას იპყრობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსული გლეხების და გლეხ-ქალების სიმრავლე წინა -ყრილობებთან შედარებით. ყრილობის გახსნას ესწრებიან პარტიისა და მთავრობის წარმომადგენლები.

საღამოს 6 საათზე ამხ. მალაქია ტოროშელიძე ცეკავშირის რწმუნებულთა მეცამეტე ყრილობას გახსნილად აცხადებს.

პრეზიდიუმის არჩევა

ყრილობა ირჩევს პრეზიდიუმს, სამდივნოს და სამანდატო კომისიას.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. ლ. სუხიშვილი, მ. ტოროშელიძე, ვ. ბოლქვაძე, ბ. მაჩაიძე, ა. ბუკრეევი, გ. მგალობლიშვილი, კ. კაკაბაძე, ა. ერისთავი, გ. იარალოვი, აკიმოვი („ზაკტპოდან"), ა. ათაბეგოვი, ი. ქვანია, მგელაძე, შარაშიძე, შაბორ, მამედგული და სხ. სულ 28 კაცი.

სამდივნოში აირჩიეს: ამხ. შ. დუგლაძე, ნ. ჭავჭანიძე და შიშნიაშვილი.

სამანდატო კომისიაში: ა. მაისურაძე, ი. ანშილევიჩი, ი. ფოფხაძე, კანდელაკი და ტულუში.

ამხ. ა. მაისურაძის წინადადებით ყრილობამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი: ამხ. **სტალინის, რიკოვის, კალინინის, ბუხარინის, მოლოტოვის, ტომსკის, ვოროშილოვის, ორჯონიკიძის, ლიუბიმოვის** („ცენტროსოიუზი"-ს გამგეობის თავმჯდომარე); **მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, შ. ელიავას, მამია ორახელაშვილის, მ. კახიანის, ლ. ქართველიშვილის, ალა-მალი-ოღლის და ა. ნაზარეტიანის** შემადგენლობით.

პრეზიდიუმის წევრთა შორის იმყოფება ამხ. ფ. მახარაძეც, რომელსაც ყრილობა მხურვალე ოვაციებს უმართავს.

რეგლამენტის და დღის წესრიგის მიღების შემდეგ იწყება მისალმებები.

მისალმებები

პირველად მისასალმებელი სიტყვით აჭარელ ქალთა სახელით გამოდის ამხ. მამალაძისა, რომელიც აღნიშნავს უკანასკნელ ხანებში აჭარისტანის კოოპერაციისა და ცეკავშირის შორის მტკიცე კავშირის დამყარებას, გამოსთქვამს სურვილს, რომ ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდეს და უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას.

შემდეგ სიტყვა მისალმებებისათვის ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს. მას დარბაზი მქუხარე და ხანგრძლივი ტაშით ხვდება. ამხ. ფ. მახარაძის მისვლის დროს ტრიბუნასთან მთელი დარბაზი ფეხზე დგება და „ვაშა"-ს ძახილით ეგებება ჭაღარა ბელადს.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ესალმება რა ყრილობას, ამხ. ფ. მახარაძე ამბობს: მე მოვედი აქ არა მარტო როგორც ხელისუფლების წარმომადგენელი, არამედ როგორც დელეგატი ოზურგეთის კოოპერატივიდან. ამგვარად მე შემთხვევა მეძლევა გადმოგცეთ პარტიის და მთავრობის მხურვალე სალამიც.

— ჩვენი ყურადღების ცენტრში, — განაგრძობს ორატორი,—კოოპერაცია ყოველთვის იყო მოქცეული. საერთოდ სამომხმარებლო კოოპერაცია ყველაზე უფრო მარტივი ფორმაა მასების შეკავშირებისათვის. ამ სამი წლის წინათ სამომხმარებლო კოოპერაცია ჩვენში დიდ კრიზის განიცდიდა, მაგრამ პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ზომებით, მან ამ კრიზის თავი დააღწია და დღეს იგი მკვიდრ საფუძველზე სდგას.

რომ ჩვენ გადავხედოთ სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობას, დავინახავთ, რომ მასში ჩაბმულია საკმაოდ კარგად მომზადებული მუშაკები. ეს გარემოება კიდევ უფრო უწყობს ხელს კოოპერაციის გადაქცევას პროლეტარულ დიქტატურის მძლავრ იარაღად. კოოპერაცია უდიდესი იარაღია მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელში. იგი ერთ ერთ საუკეთესო საშვალებას წარმოადგენს ხალხის ამოძრავებისათვის.

არ შეიძლება იმის დაფარვაც, რომ ჩვენ ამ დარგში დეფექტებიც მოგვეპოვება; ნაკლი უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია ბაზრიდან კერძო კაპიტალის სრულიად განდევნა. მაგრამ დღეს კოოპერაცია ჩვენში იმდენად ფეხმოდგმულია, რომ კერძო კაპიტალს ნიადაგი თანდათან ეცლება.

დღეს,—ამბობს დასასრულ ამხ. ფილიპე,—კოოპერაციას ხალხის ნდობა მოპოვებული აქვს. ეს ნდობა კიდევ უფრო მტკიცდება. მე ვუსურვებ მას კიდევ უფრო განვითარებიოს ის ნდობა. უსურვებ მას მომავალ ყრილობაზე მოეთხოვოს ჩვენთვის ახალ გამარჯვებების შესახებ—კერძო კაპიტალის სრულიად გაძევების შესახებ.

ჩვენ კი გისურვებთ საქმიან მუშაობას, წარმატებას და გამარჯვებას (მქუხარე ტაში).

ყრილობას მიესალმენ აგრეთვე **ბიჩიკიანი** („ზაკსოიუზიდან") და **ციხისთავი**—საქართველოს კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებელ კურსების მსმენელების სახელით.

მისასალმებელი დეპეშები

ყრილობამ მიიღო მისალოცავი დეპეშები „ცენტროსოიუზიდან" და ლონდონიდან—საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსიდან.

საერთაშორისო კოოპ. ალიანსის მილოცვა.

საერთ. კოოპ. ალიანსისაგან მიღებულია შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მხურვალე სალამი საქართველოს კოოპერატორებს. სულით და გულით გისურვებთ თქვენი ეკონომიური მოძრაობის წარმატებას და განვითარებას.

ინტერნაციონალური კოოპერატიული ალიანსის სახელით გენერალური მდივანი მეი.

თავის მხრივ ყრილობამ მისალოცავი დეპეშები გაუგზავნა: საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას, საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანს და „ცენტროსოიუზის" გამგეობას.

ხელოვნება

მუშათა თეატრი

(რუსული სექტორი)

„აჯანყება"—ფურმანოვის, დადგმა ტატიშჩევის

პიესის ფაბულათ აღებულია ტურკესტანში მდგარი წითელ არმიელთა ბათალიონის აჯანყება. კულაკების, ვაჭრებისა და სამღვდელოების მეოხებით ხულიგნური ოფიცრობა აწყობს წითელ არმიელთა აჯანყებას ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყების უახლოეს მოტივათ მიჩნეულია ცენტრის (ტაშკენტიდან) განკარგულება ფერგანაში ადგილობრივი ჯარის ნაწილების გადაზავნის შესახებ ბასმაჩების წინააღმდეგ საბრძოლველად. აჯანყებულთ ემხრობა თითქმის მთელი ბათალიონი. შტაბს, კომუნისტებისაგან შემდგარს, ატყვევებენ: მათ მიუსჯიან დახვრეტას, მაგრამ ისინი ერთგულ ჯარისკაცთა მეოხებით თავს აღწევენ სიკვდილს და გარბიან ტაშკენტისაკენ, საიდანაც მოჰყავთ ჯარის ერთგული ნაწილები, აქ ისინი ატყვევებენ აჯანყების მეთაურებს და მით ბოლოს ადებენ აჯანყებას სრულ ლიკვიდაციას: ცენტრის განკარგულება ფერგანაში ბათალიონის გაგზავნის შესახებ სისრულეშია მოყვანილი.

პიესა დრამატურგიულათ მეტის-მეტად სუსტათაა გაკეთებული: ძირითადი კვანძის გახსნა —თავის დაღწევა აჯანყებისაგან უკანასკნელის ლიკვიდაციის გზით—ძლიერ გამარტივებულია, ხოლო დატყვევებულ კომუნისტების ჰოლივუდური განთავისუფლება ამერიკული ტრიუკის შთაბეჭდილებას სტოვებს და ამდენათ ნაკლებ მხატვრულ ემოციას შეიცავს. ამის და მიუხედავად პიესა ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს უმთავრესად აიხსნება აქტიორების თამაშით. აუცილებლად სწორია ის მოსაზრება, რომ თბილისის მუშათა თეატრი ერთ-ერთი ძლიერი თეატრია მთელს საბჭოთა კავშირში, ყოველ დადგმაში თქვენ ხედავთ, ჰგრძნობთ და განიცდით მსახიობის უდიდეს კულტურას და თბილ გულწრფელობას: არავითარი ცრუ-კლასიკური პათოსი, არავითარი ყალბი ჟესტი და არავითარი „ტრადიციულ" მსახიობის ინტონაცია ... თავიდან ბოლომდე გულწრფელი განცდა ტიპის და ფსიქოლოგიური სიმართლით აბსოლიუტური ბუნებრიობის გამომჟღავნება—აი, რა ახასიათებს თბილისის მუშათა თეატრის მსახიობს. ამ მხრივ პირდაპირ შეუდარებელი იყო ხანდამიროვი შიგაბუტდინოვის როლში. მისი სიტყვა აჯანყებულ წითელ არმიელთა მიტინგზე უზბეკისტური დამტვრეული რუსულით ისე ძლიერი ემოციით იყო დატვირთული, რომ მაყურებელ დარბაზმა დიდი ტაშის გრიალით უპასუხა მის დამთავრებას. უზბეკი, რომელიც მარტივათ მსჯელობს, მაგრამ რომელსაც სწამს ერთი ჭეშმარიტება: რუსი მდიდარი, უზბეკი მდიდარი ერთნაირათ აძრობენ ტყავს ღარიბ უზბეკს; ამიტომაც ღარიბი რუსის და ღარიბი უზბეკის ინტერესი ერთია: ბრძოლა მდიდრების წინააღმდეგ—ასეთია შიგაბუტდინოვი, ის მიემხრო რევოლიუციას, რადგანაც ბოლშევიკები იცავენ ღარიბ უზბეკს. ხანდამიროვმა აბსოლიუტური სისწორით განასახიერა ასეთი ტიპი: ეს მჟღავნდება მის ყოველ მოძრაობაში, ჟესტებში, ლაპარაკში და უბრალო რეპლიკებშიაც კი. არ იქნება გადამეტება თუ ვიტყვით, რომ ხანდამიროვი პიესა „აჯანყება"-ში პირდაპირ შეუდარებელია.

იგივე ითქმის ნიჭიერ მსახიობ ბორინზე. მისი კოკუმ-ბაი ეს იყო მხატვრულად ცოცხალი სახე „ღვთის" „მოსამსახურე" უზბეკისა. კარგი იყო ლიუბიმოვის ფურმანოვი და კლიუმოვის ბურაევი. ნიჭიერი ლიუბოვმა ზოგ მომენტებში აშარჟებდა . პირდაპირ ფენომენალური იყო მსახიობი გლუხის როლში თავისი აბსოლიუტური ბუნებრივი გულუბრყვილობით.მსახიობ ვოლხოვსკიმ [illegible] შესძლო [illegible] კომანდირის ტიპის განსახიერება, ხოლო მურატოვამ და გალაქტიონოვამ მხატვრული სიმართლით დაგვანახვეს განცდა და მოქალაქეობა კომუნისტ ქალის აჯანყების პირობებში. ტიპაჟი მხატვრული პედანტიზმით იყო შერჩეული. აქ, როგორც სხვაგანაც, გამომჟღავნდა რეჟისორ ტატიშჩევის ღრმა მხატვრული ინტუიცია.

„აჯანყება"—მორიგი გამარჯვებაა მსახიობების, ტატიშჩევის და მთელი მუშათა თეატრის.

შ. დ.

ხელოვნების ქრონიკა

მომღერალ ვალ. ქაშაკაშვილის ჩამოსვლა

კვირას, 26 თებერვალს, იტალიიდან თბილისში დაბრუნდა მომღერალი ბარიტონი ვალერიან ქაშაკაშვილი (ქაშელი).

ვალ. ქაშაკაშვილი სწავლობდა თბილისის სახ. კონსერვატორიაში. კურსი დაამთავრა 1923 წელს.

1924 წ. თებერვალში გაემგზავრა იტალიაში—ქ. მილანში. მუშაობდა ცნობილ ბარიტონ სამაკუსთან.

ახლო ხანში ქაშაკაშვილი გამოვა თბილისის სახ. ოპერაში.

◆ ოპერის თეატრში დღეს მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „ღელვა".

◆ **ფატმა მუხტაროვას გასტროლი.** ხვალ ოპერის თეატრში გაიმართება ფატმა მუხტაროვას პირველი გასტროლი. მომღერალი შეასრულებს კარმენის პარტიას.

◆ „ღელვა". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ღელვა".

◆ **პროფ. პ. მელიქიშვილის პორტრეტი.** სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ მხატვარ ბ. ბებუთაშვილ-გაბუნიასაგან შეიძინა პროფ. პეტრე მელიქიშვილის დიდი პორტრეტი.

სასამართლო

ამბავი მეცხვარეთა ცხოვრებიდან

გრიგოლ კოზანაშვილი და იორდანე ხოზელაშვილი ურთიერთთ პურს არ გასტეხდნენ ისინი იყვნენ ახალგაზრდა მეცხვარეები. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ცხვრის ფარა არ ჰყავდათ, ერთად დადიოდნენ მთაშიაც და ველშიაც. ერთად ჰქონდათ კარავი გაკეთებული ერთად დაბანაკდებოდნენ ხოლმე ღამ-ღამობით.

ასეთი ერთგული მეგობრები ერთმანეთს წაჰკიდა ერთმა ცხვარმა.

კოზანაშვილს ხაბელაშვილის ფარაში მოეწონა ერთი ცხვარი. ძალიან უნდოდა კოზანაშვილს ამ ცხვარის ხელში ჩაგდება.

—იორდანე, ოღონდ ეს ცხვარი დამითმე და რაც გინდა მოხოვე აგისრულებ. სამაგიერო ცხვარი აირჩიე ჩემი ფარიდან.

— ხომ იცი, მშობლების დაუკითხავად მე ვერაფერს ვერ ვიზამ. შევეკითხები და თუ დამეთანხმენ, წაიყვანე. მანამდე კი ვერ მოგცემ სიტყვას,—უპასუხებს ხაბელაშვილი.

კოზანაშვილი არ დააკმაყოფილა ამ სიტყვამ. მან მოიფიქრა სხვა ხერხი, ამ მოწონებული ცხვრის ხელში ჩასაგდებათ.

კოზანაშვილმა ერთ დღეს ჩუმად დაიჭირა მოწონებული ცხვარი, გაუკეთა თავისი ფარის ნიშანი და შეურია თავის ფარას.

სამაგიეროდ თავის ცხვარს გაუკეთა ხაბელაშვილის ფარის ნიშანი და მის ცხვარში შეურია.

ხობელაშვილმა გაიგო ეს ამბავი. ძალიან ნაწყენი დარჩა და საყვედური უთხრა თავის მეგობარს და მოინდომა თავისი ცხვრის წაყვანა.

კოზანაშვილმა გაუწია წინააღმდეგობა. წაიჩხუბნენ მეგობრები. შეახეს ერთმანეთს ცუდი სიტყვები ერთმანეთისაკენ საჩხუბრად წაიწიენ.

კოზანაშვილმა გადმოიღო თოფი და ესროლა ორჯელ ხაბელაშვილს, ხაბელაშვილი უსულოდ დაეცა მიწაზე.

საქმე გაარჩია გორის სამაზრო სასამართლომ.

ბრალდებულ გრიგოლ კოზანაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვსი წლით. მსჯავრდადებულს შეეფარდა ამნისტია.

ქეიფის შემდეგ ერთმანეთს დაერივნენ...

მეგობრები ქეიფობდნენ სასადილო „ვარდის კონა"-ში. (მე-5 რაიონში).

კამპანია 6 კაცისაგან შესდგებოდა. თვითეული მათგანი „დაბეჯითებით" სცლიდნენ ჭიქას, რომ არ გამოსთიშოდა ღვინის სმელთა „თაიგულს", რომ „სირცხვილი არ ექამა" თავის ტოლ-ამხანაგებში.

სცლიდნენ და სცლიდნენ ჭიქებს, სანამ კარგად არ დარეტიანდნენ.

თუ აქამდე ერთმანეთს „ცივ ნიავს" არ აკარებდნენ და ლოცვა-კურთხევით იხსენიებდნენ ახლა უკვე მისდგენ და დედ-მამის სული გადაუტრიალეს ერთმანეთს.

დაუძახენ ერთმანეთს „ფალავნები" ედიშერ ალიევი და ასკერ-ოღლი. სწვდენ ერთმანეთს ყელში და გუდავენ.

აირია სუფრა. ალიევმა დაატრიალა ხანჯალი. ასკერ-ოღლს შეძვრა დახლში.

ჩამოდგა შუაში მოზავედ ნავრუზ-ოღლი.

— რას შვრებით, კაცო, ასკერ-ოღლი ჩვენი ძმაა...

— აჰაა! იმიტომ მიჭერ, რომ შენი „ძმაა"?

— არა, ედიშერ, ჩემი ძმა კი არ არის, საერთოდ ძმაა და „პირის ზიარება".

—შენი „პირის ზიარებაც"... დაიძახა ალიევი და ამოწვდილი მახვილი ჩაარტყა მოზავეს. ნავრუზ-ოღლი გარდაიცვალა.

ედიშერ ალიევი დაპატიმრებულია.

საქმის გარჩევა დაიწყო გუშინ თბილისის სამაზრო სასამართლოში ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

ბრალს სდებს პროკურორი ქავთარაძე, ბრალდებულს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ბეს. ჟღენტი. და კიკაბიძე.

საქონელიც „გაასაღა" და ფულიც

მოქ. ვახტანგ სოლოღაშვილს ლენინგრადის ელექტრო-მანქანების საამშენებლო ტრესტთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად, უნდა გაესაღებია ტრესტის ნაწარმოები გორის მაზრასა და სამხრეთ-ოსეთში.

მიიღო საქონელი, გაასაღა კიდეც, მაგრამ მიღებულ თანხიდან 1118 მანეთის „გაასაღა", ისე, რომ ტრესტს თვალითაც არ უხილავს.

სოლოღაშვილი პასუხისგებაშია მიცემული.

გერ.

ქრონიკა

მრეწველობის ზრდა

საქართველოს სამრეწველო-საფინანსო გეგმით, მიმდინარე საანგარიშო წელს საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია გასულ წელთან შედარებით, გაიზრდება 38 პროცენტით. მრეწველობის ძირითად დაწესებულებებში მუშა-ხელის რაოდენობა გადიდებული იქნება 12 ნახევარი პროცენტით, სასეზონო მუშათა რიცხვი—14 ნახევარ პროცენტით.

ძირითად სამრეწველო რაიონებსა და წარმოებებში ხელფასი გაიზრდება 6 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება— 6 ნახ. პროცენტით.

ახალი ქარხნები

აფხაზეთის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმით, უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში აფხაზეთში აგებული იქნება შემდეგი ახალი ქარხნები: ყინულის დამამზადებელი ქარხანა გაგრაში, ხილის საშრობი ქარხანა გუდაუთაში, (წლიურად გადაამუშავებს 50.000 ფუთ ხილს), კაკლის საჩრევი ქარხანა ოჩემჩირეში და ლუდის ქარხანა სოხუმში, რომელიც წლიწადში დაამზადებს 10.000 ვედრო ლუდს.

ამას გარდა გაფართოებული იქნება აფხაზეთში არსებული ხე-ტყის ქარხნები.

ამ წარმოებების მოწყობასა და აგებაზე სულ დაიხარჯება 741.000 მანეთი.

საწარმოო და ეკონომიური კომისიები

საქართველოს პროფსაბჭომ განუმარტა კავშირებს, რომ ვინაიდან ზოგიერთ წარმოებებში და დაწესებულებებში ადგილი აქვს საწარმოო და ეკონომიური კომისიების დიდი შემადგენლობით გამოყოფას, რაც ხელს უშლის თათბირების მუშაობას, ს.პ.კ. საბჭო სთვლის, რომ კომისიის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 2—5 წევრს. იქ, სადაც კომისიის წევრთა რიცხვი ამაზე მეტია, უნდა იქნეს შემცირებული.

ამასთანავე ს.პ.კ. საბჭო დაუშვებლად სთვლის კომისიის თავმჯდომარეებათ ადმინისტრატორების გამოყოფას და კომისიის წევრთა უმეტესი ნაწილის ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალიდან შედგენას.

პროფსაბჭო აღნიშნავს, რომ არ უნდა იქნას დაშვებული კომისიების მიერ საწარმოო თათბირების ფუნქციების მითვისება, კომისიები ხელს უნდა უწყობდნენ თათბირების მუშაობის გაძლიერებას. ყველა საკითხები უნდა ირჩეოდეს თათბირებზე არსებითად და არა კომისიის დადგენილების დამტკიცების სახით. კომისია უნდა ამზადებდეს მასალებს თათბირზე გასარჩევ საკითხებისათვის. საკითხების გარჩევა კი უნდა ხდებოდეს თათბირზე.

თათბირი

ს.პ.კ.ს. საორგანიზაციო განყოფილებაში სამშაბათს, 28 თებერვალს, დილის 10 საათზე შესდგება ც. გ. საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი, რომლის დღის წესრიგში სდგას საკითხი—წარმოება-დაწესებულებებში სახალხო მსაჯულების არჩევის წესის შესახებ.

დახმარება დემობილიზაცია-ქმნილთ

წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავის აღსანიშნავათ, დემობილიზაცია-ქმნილ მეთაურთა შემადგენლობისათვის ერთდროულ დახმარების აღმოჩენის მიზნით, საქართველოს ცაკმა გადასდო 5.000 მან. აღნიშნული თანხა გასანაწილებლათ გადაეცა დემობილიზაცია-ქმნილ არმიელების სამუშაოზე მომწყობ კომისიას.

ფულის განაწილებას კომისია აწარმოებს ოჯახური მდგომარეობის და უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით.

თბილისის აღმასკომში

◆ წითელ არმიელთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 70.000 მანეთი.

◆ გარე-უბანში წყალსადენის ქსელის გასაფართოებლად აღმასკომმა დამატებით გადასდო 13.792 მანეთი

მიწსახკომში

◆ **სას.-სამ. მანქანების შეკეთება.** მიწსახკომმა გადასწყვიტა სიღნაღის, თელავის და გორის მაზრებში მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოები.

◆ **ტრაქტორები.** მიწსახკომის ცნობით ამჟამად საქართველოში მუშაობს 220 ტრაქტორი.

◆ **აგრო-თათბირები.** ადგილებზე აგრო-მუშაობის გასაფართოებლად მიწსახკომმა გადასწყვიტა ჩაატაროს აგრონომთა რაიონული თათბირები.

◆ ძვირფას მცენარეთა სანერგეს მოსაწყობათ მაკვანეთში (ოზურგეთის მაზრა) მიწსახკომმა გადასდო 17.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **პროფკურსები.** თამბაქოს ტრესტთან ახლო ხანში გაიხსნება პროფკურსები 50 კაცისათვის.

◆ **ახალი კოლექტივი.** შრომის ბირჟასთან დაარსდა კომმეურნეობის კავშირის უმუშევარ წევრთათვის ახალი შრომის კოლექტივი.

◆ **ყრილობა.** 29 თებერვალს პროფსაბჭოს დარბაზში გაიხსნება სახალხო კვების მუშაკთა რესპუბლიკანური ყრილობა.

◆ **მუშათა ახალი სახლი.** ტროცკის სახ. საბინაო-სამშენებლო ამხანაგობა რკინისგზელებისათვის ნაძალადევში აგებს ახალ სახლს.

◆ **წითელი ჯარის ათი წლის თავის** აღსანიშნავად საკურორტო სამმართველომ აბასთუმანის სანატორიუმში გამოჰყო ერთი საწოლი კავკასიის წითელ-დროშოვან არმიისათვის.

◆ **ახალი ქარხანა.** წელს დამთავრდება ხე-ტყის საჭრეხი ქარხნის აგება ცხინვალში. ქარხნის აგება ჯდება 150.000 მანეთი.

◆ **მინერალური წყაროები.** საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე საქართველოში აღმოჩენილი და გამოკვლეული იქნა 200 მინერალური ახალი წყარო.

უნივერსიტეტის გამოფენა. (უნ-ტის მთავარ შენობაში) ღია იქნება 28—29 თებერვალს დილის 10—3 სათამდე. და საღამოს 5—8 საათამდე.

რკინისგზაზე

დაჯახება სად. ჩაქვში

25 თებერვალს, საღამოს 6 საათზე და 40 წუთზე, სადგ. ჩაქვის პირველ და მეორე ხაზებზე ამჯერის მატარებელი 802 აწარმოებდა მანევრებს. ამ დროს სადგურის უფროსს მესამე ხაზით უნდოდა მეორე მატარებლის № 115 გაშვება.

როდესაც მატ. 115 მიუახლოვდა ქობულეთის მიმართულებით მდებარე ისარს, იგი დაეჯახა მატ. № 802-ს. დაჯახების დროს დაიმსხვრა ორი საკლასო ვაგონი, ერთი მათგანი კონდუქტორების და მემანქანეების დასასვენებელი ვაგონი იყო. საგრძნობლად დაზიანდა ორი დატვირთული ვაგონი. ორთავე ორთქლმავლები ლიანდაგს ასცდენ.

ხაზი დაზიანდა 25 მეტრის მანძილზე. სადგ. ჩაქვში შესასვლელი ისარი მოწყვეტილი დარჩა მთავარ ხაზიდან. მისასვლელი ხაზის დავება ვერ მოხერხდა. ბათომიდან და სამტრედიიდან გაგზავნილმა დამხმარე მატარებლებმა მოძრაობის აღდგენა შესძლეს მხოლოდ 26 თებერვალს დილით.

ერთ-ერთ ვაგონში, რომელიც დაჯახების დროს დაიმსხვა, იმყოფებოდნენ სამარქაფო კონდუქტორთა და მემანქანეთა გუნდები. დაჯახების დროს მათგან მძიმედ დაშავდნენ: კონდუქტორები **დუნდუა, დევალიშვილი, ოჩიგნია** და მემანქანე **დუნდუა**.

მსუბუქად დაშავდნენ: მზეთავი **ქიზილაძე**, ცეცხლფარეში—**შონელია** და მთავარი კონდუქტორები **ჯანაშია** და **ჯანელიძე**.

დამნაშავედ ამ დაჯახებაში ცნობილ იქნენ სადგურის უფროსი **გიორგაძე** და სათადარიგო აგენტი **ოგანეზოვი**, რომლებიც დაპატიმრებული არიან.

შემთხვევა სადგ. ლიაკში

26 თებერვალს სადგ. ლიაკის მეოთხე ხაზიდან გაგზავნილი საბარგო მატარებელი დაეჯახა სამანევრო შემადგენლობას. დაჯახების დროს ლიანდაგიდან გადავარდა ერთი ვაგონი და დაზიანდა ორთქლმავალი.

ამ შემთხვევამ გამოიწვია მოძრაობის შეწყვეტა; მოძრაობა აღადგინა ევლახიდან გაგზავნილმა დამხმარე მატარებელმა.

შემთხვევები

ქურდობა მუშკოოპის მაღაზიაში.

24 თებერვალს, ღამით კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს მუშკოოპის მაღაზია (ლენინის ქ. № 3); წაიღეს 2.400 მანეთის საქონელი. ამ საქმეზე სისხლის სამართლის მილიციამ დაპატიმრა ვასილ მიხეილის ძე გორბუნოვი და ფილიპე დიმიტრის ძე ტიხონოვი.

ხსენებული პირები დახელოვნებული სისხლის სამართლის დამნაშავეებია.

ნაქურდალი საქონელი ნაპოვნია.

თავის მოწამვლა.

გუშინწინ, დღისით თვითმკვლელობის მიზნით სულემის ხსნარით თავი მოიწამლა ანისია მაქსიმელის ასულ დიფმანმა (მცხ. ლენინის ქუჩა № 7).

დიფმანის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

ქურდობა.

გუშინწინ, ღამით გაქურდეს ანა ბარბარისავას ბინა (რეუტოვის ქ. № 21); წაიღეს 360 მანეთის საოჯახო ნივთები. ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს მარიამ კობულაშვილის ბინა (ანტონოვის ქ. № 12); წაიღეს 200 მანეთის ტანისამოსი.

რკინეულობის მაღაზიის გაქურდვა

გუშინ დღისით გაქურდეს თბილისის ვაჭრობის რკინეულობის მაღაზია მდებარე სომხის ბაზარზე.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

კაცის დაკარგვა

22 თებერვალს, უგზო-კვლოდ დაიკარგა ისა ნაგიევი, 32 წლისა (მცხ. კომუნალური ქ. № 26).

450 მანეთის მოპარვა.

მუშკოოპის პურის საცხობის გამგე გიორგი გერმისაშვილმა გუშინ განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ 24 თებერვალს მას მოპარეს დღიური ნავაჭრი 450 მანეთი. ამ საქმეზე დაპატიმრებულია სერგო თუმანიანი, გამოძიება გრძელდება.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 28 თებერვალი

დღეს, 28 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება ციკლიდან—მებრეშუმეობა საქართველოში აბრეშუმის ჭიების ინკუბაცია—ქართულ ენაზე.

მალარია და მასთან ბრძოლა—ქართულ ენაზე.

საბჭოთა კოოპერაციის როლი საერთაშორისო კოოპერატიულ მოძრაობაში—რუსულ ენაზე

ქალის როლი სამოქალაქო ომში—რუსულ ენაზე.

გაზეთი „პროლეტარი"—სომხურ ენაზე.

წითელარმიელთა გაზეთი—რუსულ და ქართულ ენებზე.

ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ოპერა „სადკო"-ს ტრანსლიაცია მოსკოვის დიდ საოპერო თეატრიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 28 თებერვალს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან: ავეტიქ გევორქოვი, არტემ სარქისოვი. მარტინ კაზარიანცი, იოსებ ძამაშვილი და მიხეილ სერაფიმოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: რახილ აბრამოვი, ვერა კვირიკაშვილი, შალვა უბრალიძე, გიორგი ფარულავა, დარია აბულაძე. შალვა ხინაშვილი, კონდრატ კერესელიძე, გრიგოლ ტოლია, ლადიმერ ჩარკვიანი, ნინა ავალიშვილი, რიფსიმე გაბელაშვილი.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ათანასე აზდაროვი, ნიკიფორე კიკნაძე, მაქსიმე ბერულავა, ნიკოლოზ გუგულაშვილი და სარქის იზრაელიანცი.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ოვანეზ ხალათოვი, ისაკ აბრამოვი, აკოფ სააკოვი თადეოზ მეითარჯევი გევორკ ქაიოიოვი, ბენიამინ ბალდასაროვი, ვართან ელიბეკოვი და არტაშეს პოლოსოვი.

ზემო აღნიშნული უმუშევრები უნდა გამოცხადდნენ თბილისის შრომის ბირჟაში დილის 8 საათისათვის.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 28 თებერვალს დილის 10 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება კინო-თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან შემდეგი ამხანაგები:

გაბაშელი; არუსტამოვი; ავაკოვი; ივაითოვკოვსკაია; ერისთავი და თითო წარმომადგენელი თვითეულ მუშათა ცეხიდან, სამხატვრო სახელოსნოდან ს. თოიძე; სუტირინი; დუდუჩავა; გოგინაშვილი; ესაკია და მაჭავარიანი; მუშათა ახალ, ცენტრალურ, ნარიმანოვის და ორჯონიკიძის სახელობის კლუბებიდან—თითო წარმომადგენელი, ბაქრაძე, ფარცხალაძე, ალიევი, ბრეგვაძე, ფირალიშვილი, მხითარიძე, იმედაძე; შ. ოკუჯავა; ატომიანი; არუთინოვი; ქურიძე; ბ. ბუაჩიძე; რონდელი და ბუჯიაშვილი.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე შესდგება კომპარტიის არსრაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ოთხშაბათს, 29 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქპროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია ქალაქისა და სოფლის კავშირის თბილისის სექციის გაფართოებული პლენუმი, აღნიშნულ ორგანიზაციის უჯრედთა ბიუროების და რაიონულ საბჭოების წევრებთან ერთად.

დღის წესრიგშია:

ქალაქისა და სოფლის კავშირის მორიგი ამოცანები საქ. კომპარტიის (ბ) მე-15-ე ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით; უჯრედთა ბიუროების ხელახალი არჩევნების შესახებ.

რემედასის არსრაიკომი იტყობინება, რომ რემედასის რაიონულ კონფერენციის გახსნა მოხდება ხვალ, 29 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში.

უჯრედები მანდატების მისაღებად უნდა გამოცხადდნენ რაიკომში დღეს, 28 თებერვალს, დღის 2 საათამდე.

დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებაში შესდგება სახ. განათლების განყოფილებათა სექციების პოლიტგანის კომისიის სხდომა.

აღნიშნულ კომისიაში შემავალ ამხანაგების დასწრება აუცილებელია.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ 29 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის მე-4-ე პლენუმი რკ. გზის მთავარი სახელოსნოს პარტაქტივთან ერთად.

რემედასის ლენრაიკომი იუწყება, რომ დღეს, 28 თებერვალს, საღამოს 5 საათზე სოლოლაკის [illegible] მეექვსე უბნის კლუბში მოწვეულია რემედასის ლენრაიონის მე-4-ე კონფერენცია.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს 28 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება აღნიშნულ რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 29 თებერვალს, საღამოს 6 საათზე რაიკომის აგიტპროპგანყოფილებაში შესდგება მესამე რაიონის აგიტპროპორგანიზატორების თათბირი.

უჯრედთა ყველა აგიტპროპორგანიზატორების დასწრება აუცილებელია.

დღეს, 28 თებერვალს, დღის 12 საათზე სახ. უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იწვევს ფაკულტეტების უჯრედთა მდივნების თათბირს.

უჯრედთა მდივნების დასწრება აუცილებელია. აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ნ. ბარდაველიძე; ვ. კაბახიძე; ვ. გოროგაძე; თ. გიკაშვილი; ბ. ხოხელიძე; ს. ენუქიძე; გ. ძოწენიძე; გ. ხაჟალია, ა. სვანიძე, პრაპუროშიძე და შალ. ლეჟავა.

შენიშვნები კინოზე

(ს. კ. პ. ცენტრ. კომიტეტთან კინო- თათბირის გამო)

I

კინოს შესახებ საჭიროა საქმიანი ლაპარაკი და საქმიანი პრაქტიკული წინადადებათა გამომუშავება. კინოზე საერთოდ ამ ბოლო ხანებში ბევრი ითქვა. საბჭოთა კავშირში და აქაც, საქართველოში, უკვე სამი თვეა, რაც გაცხოველებული დისკუსია სწარმოებს. ამ დისკუსიაში ბევრი რამ გამოირკვა.

დისკუსიაში ადგილი ჰქონდა გადახრებს, როგორც გადაჭარბებულ ლიკვიდატორულ კრიტიკისაკენ, აგრეთვე კაზიონურ თვითკმაყოფილებისაკენ. ამ უკანასკნელ გადახრით განსაკუთრებით ხასიათდებოდნენ კინემატოგრაფიულ დაწესებულებათა ოფიციალური ხელმძღვანელები. მათი აზრით ყოველიფერი რიგზეა და კინო-ქვეყანა მშვიდობა სუფევს.მეორე გადახრას, რომლის კრიტიკა აუცილებლად ბევრ საკითხებში მართალი იყო ახასიათებდა მეტის მეტის გადაჭარბება. ზოგი ამხანაგისათვის აღარ არსებობდა საბჭოთა კინემატოგრაფია, არამედ იყო მხოლოდ მალინოვსკაია, ბარსკი „მისტერ ლოიდის რეისი" და „სამი მილიონი". დაავიწყდათ, რომ ჩვენი კინემატოგრაფიულ აქტივში ისეთი შედევრები არიან, რომელთაც განცვიფრებაში მოჰყავთ მსოფლიოს კინო-მუშაკები. ამ ჯურის კრიტიკოსთა [illegible] ლიკვიდატორობას აუცილებლად ქონდა ადგილი მაშინ, როდესაც მთელი ქვეყნის კინოკრიტიკოსები და კინო-მუშაკები აღფრთოვანებით იხსენიებენ საბჭოთა კავშირის კინემატოგრაფიას. გავიხსენოთ **დელლიუკის, აბელ განსის, ბელა ბალაშის, პანაიტ ისტრატის, ანრი ბარბიუსის** და ბევრი სხვათა აზრები, რომელნიც გამოთქმული იყო მათ მიერ სხვადასხვა კრებებზე და ჟურნალ-გაზეთებში. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს დიდ გიგანტიურ მიღწევებს ჰფარავს ის უმსგავსობანი, რომელიც გამეფებულია კინემატოგრაფიულ დაწესებულებებში. რიცხვობრივათაც ჩვენი მიღწევები იკარგება უფერულობისა და ხშირად უნიჭოების მორევში, „ჯავშნიანი პოტიომკინი", „დედა", „სანკ პეტერბურგის დასასრული", „პარიზის ხარაზი", „წითელი ეშმაკუნები" და კიდევ ორიოდე მშვენიერი ფილმი — ერთი მხრით, და „ბელა" „მის უმაღლესობის სოლისტკა", „ეს ვინ არის", იბრაგიმ და გოდერძი", „ქალი ბაზრობიდან", „მისტერ ლოიდის რეისი", „რევატის ორბნი", „ამნაირი ქალი" და სხვ. მეორე მხრით დაუსრულებლად. ეს მაშინ, როდესაც კინემატოგრაფია განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ჩვენს საერთო კულტურულ მუშაობაში. კულტურული რევოლიუციის ღრმა პოზიციაში კინოს პირველი ადგილი უნდა ეჭიროს.

როდესაც კულტურულ რევოლიუციაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად საჭიროა ლაპარაკი იმ კონკრეტ ელემენტებზე, რომლის საერთო შენაკრები იძლევა ფაქტიურ საშუალებას კულტურულ რევოლიუციის პროცესის გაღრმავებისათვის. როდესაც კინოზე ლაპარაკობენ სამწუხაროდ მხედველობაში იღებენ მხოლოდ ეგრეთ წოდებულ მხატვრულ კინემატოგრაფიას, კინოსურათებს, სრულებით ავიწყდებათ, რომ გარდა ამ კინო-სახისა არსებობს მთელი რიგი სხვა დარგებისა, სადაც კინოს მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მხატვრულ სფეროში.

ავიღოთ კინო როგორც სხვადასხვა მეცნიერებათა პოპულიარიზატორი. ამ მხრივ მას ბადალი არ უყავს. თუ პოლიტიკურ და ზოგად მეცნიერულ ხასიათის პოპულიარულ წიგნს რაგინდ უბრალო ენით არ უნდა იყოს ის დაწერილი, წერა-კითხვის ცოდნა ესაჭიროება—კინოს საშუალებით ცნობების მიღებას ერთი პირობა სჭირდება: ხედვის უნარი. თუ ადამიანი ხილულია, მისთვის ყველაფერი გასაგები იქნება. რასაც კი ეკრანზე დაინახავს, თუ ის ეკრანზე პოპულიარულად არის გაკეთებული.

ავიღოთ მეცნიერული აგრონომია. ეხლა ყველა ლაპარაკობს ჩვენი სოფლის კულტურულ, სოციალისტურ მშენებლობის აუცილებლობის შესახებ. როგორ უნდა მოიხნას კულტურულად, როგორ უნდა დაითესოს, როგორ უნდა მოუაროს გლეხმა ძროხას, ცხვრის ფარას, როგორ უნდა დასთესოს ჩაი, მოჭრას ტყე, გამარგლოს ყანა, ჩაყაროს ვაზი, დასთესოს კომბოსტო და კარტოფილი, როგორ უნდა იცხოვროს სუფთად, როგორ უნდა სწავლოს და სხვა, ყველა ამგვარ ცნობათა მიწოდება შეუძლია კინოს სრულიად უბრალოდ და მარტივად.

ყველა ამისათვის კინოს შესაძლებლობანი დაუფასებელია და შეუდარებელი... მე არ ვლაპარაკობ ისეთ საკითხებზე, როგორიც მაგალითად სამხედრო პროპაგანდისათვის კინოს გამოყენება და სხვა. კინო შეიძლება გახდეს უძლიერეს ფაქტორად ახალ ცხოვრების მშენებლობის საქმეში, განსაკუთრებით სოფლად.

მაგრამ თავი რომ დავანებოთ კინოს ამ, ასე ვსთქვათ, კულტურულ-განმანათლებელ მხარეს და ავიღოთ კინო-წარმოება, როგორც მეურნეობა, მისი როლი აქაც მეტად დიდია. ამერიკის სახალხო მეურნეობაში კინემატოგრაფიას მესამე ადგილი უჭირავს შემოსავლის და პროდუქციის მხრით. აქ, რასაკვირველია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საერთო პროდუქციაში კინოსათვის „ნედლ მასალის" (პლიონკა, სხვადასხვა აპარატურა) დამმზადებელ ქარხანა და ფაბრიკებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამასაც, რომ თავი დავანებოთ და ავიღოთ მარტო კინო-წარმოება, რომელიც ამზადებს მხატვრულ და მეცნიერულ ქრონიკულ სურათებს— ამ პროდუქციის ღირებულებას ჩრდილოეთ ამერიკის წლიურ შემოსავალში მეორე ადგილი უჭირავს. გადასახადის მხრივ ამერიკული კინემატოგრაფიული დაწესებულებანი მესამე ადგილზე სდგანან. ამერიკულ კინემატოგრაფიულ წარმოების შემოსავალი წლიურად ათიოდე მილიარდ დოლარს უდრის.

საქართველოში კინოს განვითარებისათვის ყველა პირობებია. კინო-წარმოება ყველაზე უფრო მომგებიანი წარმოებაა*). მცირე კაპიტალის დახარჯვით,—რადგან ის (კაპიტალი) არა ჩვეულებრივ სისწრაფით ბრუნავს,—ჩვენ ვღებულობთ მაქსიმალურ ეფექტს. სამწუხაროდ კინოს, როგორც მეურნეობის დარგს მეტად ცოტა ყურადღებას აქცევენ. ჩვენში კინემატოგრაფიულ დაწესებულებას როდი უყურებენ. როგორც წარმოებას, რომელსაც სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უნდა ეჭიროს; კინოზე ლაპარაკობენ, როგორც ხელოვნების ერთ-ერთ დარგზე; ოპერა, რუსთაველის თეატრი, მუშათა თეატრი და კინო, ამ აზრით ლაპარაკობენ და ფიქრობენ მხოლოდ კინოზე კინო-წარმოება არ წარმოადგენს ისეთ დარგს, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს სახალხო მეურნეობასთან. რასაკვირველია კინემატოგრაფია თავისებური სამეურნეო დარგია. როდესაც ჩვენ კინოზე ვლაპარაკობთ, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ კინო-ქარხანა იდეოლოგიურ პროდუქტს იძლევა. თუ წარმოება კარგ პროდუქტს იძლევა, ის იხეირებს, თუ ცუდ პროდუქტს მოგვცემს დაღუპვის გზაზე დადგება. ეს უბრალო ჭეშმარიტებაა. თუ ჩვენი კინომრეწველობა დაქვეითების გზაზე სდგას—ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ცუდ პროდუქციას იძლევა, რომლის გასაღებას ვერც ერთი პატრონი ვაჭარი ვერ იკისრებს. კინოს როლი ეკონომიურ-სამეურნეო დარგში ბევრად დიდია ჩვენი კინოს რომ ისეთი პატრონი ჰყოლოდა ან ჰყავდეს, როგორიც საჭიროა, ის შესაძლებელია საქართველოში უდიდეს მომგებიან დარგად ქცეულიყო და ეხლაც შეიძლება გადაიქცეს, თუ მას დროზე ვუშველით.

ჩვენ გვინდა შევეხოთ რამოდენიმე პრაქტიკულ საკითხს საქართველოს კინო-მრეწველობასთან დაკავშირებულს. სახკინმრეწვის დაქვეითება და დაცინება ეხლა უკვე ყველასათვის ცნობილი ფაქტია. სახკინმრეწვი მოექცა ჩიხში. უკვე ექვსი წელიწადია მას არ მოუცია არც ერთი ხეირიანი სურათი. სურათი, რომელიც დააკმაყოფილებდა მშრომელთა სოციალურ დაკვეთას კი არა—ამაზე არავინ არაფერს ამბობს,—არამედ, რომელსაც უბრალო კინოკულტურულობა დაემჩნეოდა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა მოსკოვის და სხვა ჩვენი პროლეტარულ კინოსაზოგადოებრივობის ცენტრების აზრი სახკინმრეწვის სურათების შესახებ.

ამას წინად ამ სტრიქონების დამწერს მოუხდა მოსკოვში ყოფნა და საშუალება ჰქონდა გაცნობოდა იმ განწყობილებას, რომელსაც ადგილი აქვს იქ სახკინმრეწვის გარშემო. უპირველეს ყოვლისა სახკინმრეწვის სურათებს სერიოზული კინომაყურებელი არც კი უყურებს, მისთვის სახკინმრეწვის სურათი ისეთი რამ არის, რომლის ყურებისათვის დროს დაკარგვა არა ღირს. კინოპრესა და საზოგადოთ ჩვენი საბჭოთა და პარტიული პრესა ჩვენ სურათებზე არაფერს სწერს. საგულისხმიეროა ის, რაც მე მითხრა „პრავდას" რეცენზენტმა: რა ხეირია რამდენი ვსწერეთ, მაგრამ თქვენ სახკინმრეწვს არაფერი ეშველა, ეხლა წერასაც თავი დავანებეთ. თქვენ რეცენზენტი კი ვერ გამოგასწორებთ, არამედ სხვა ხასიათის დაწესებულებების წარმომადგენლებმა უნდა სწერონ, ილაპარაკონ და სათანადო ღონისძიებანი მიიღონ. ეს საერთო განწყობილებაა, რომელიც იქ სუფევს.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ჩამოსულ სტუმრებს, დასავლეთის პროლეტარიატის წარმომადგენლებს, ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენლებმა აჩვენეს თავიანთი მიღწევანი კინოს დარგში. ჩვენ კი იქ მყოფთ, რა უნდა გვეჩვენებია მათთვის? „ბელლას" და „იბრაგიმს" ხომ ვერ ვაჩვენებდით?

ასეთია სახკინმრეწვის მდგომარეობა, ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ყ. მაჭავარიანი.

---

*) ჩვენთვის გაუგებარია საქართველოს სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში რატომ არ არის სრულებით ნახსენები კინო წარმოება. ამ შეცდომას გამოსწორება ესაჭიროება.

საქართველოს ტყის მრეწველობის ტრესტის ცენტრალურ სამმართველოს მოსამსახურეთა ადგილკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს ძვირფას

ამხ. ვანო სოლომონის-ძე
იმედაშვილის

უდროვო და უეცრივ გარდაცვალებას ა. წ. 24 თებერვალს. გამოსვენება საკუთარ ბინიდან დავითაშვილის ქ. ქვემო შესახვევი № 6, ა. წ. 28 თებერვალს, დღის 3 ნახ. საათზე კუკიის სასაფლაოზე.

დამწუხრებულნი დედა მარიამი, ძმა ალექსანდრე და რძალი ანა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ

ივანე სოლომონის-ძე
იმედაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს სამშაბათს, 28 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე ი. დავითაშვილის (ამაღლების) ქ. ქვევიდან შესახვევი № 6. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1607

თავზარდაცემული მეუღლე—ნიკოლოზ იაკიმეს-ძე უსტიაშვილი შვილებით—გაიოზით და ნათელათი, მამა—ლავრენტი ბოჭორიშვილი, დები—მარო, ნინო, თამარი და ხატა ლავრენტის ასულნი ბოჭორიშვილები, ძმა მიხეილ ლავრენტის-ძე ბოჭორიშვილი, დედამთილი—მარიამ ივანეს ასული უსტიაშვილისა, მაზლი—ალექსანდრე იაკიმეს-ძე უსტიაშვილი, რძალი—სიდონია გიორგის ასული უსტიაშვილისა და მული—ანა იაკიმეს ასული უსტიაშვილისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს ა. წ. 25 თებერვალს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და უძვირფასესი

ელენა ლავრენტის ასული
უსტიაშვილისა

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, ა. წ. 29 თებერვალს, დღის 4 საათზე საკუთარი ბინიდან ბორჯომის ქუჩა № 7. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. (ე)

ა.-კ. რკინის გზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ელენე ლავრენტის ასული
უსტიაშვილისა

გამოსვენება ოთხშაბათს, ა. წ. 29 თებერვალს, დღის 4 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე ბორჯომის ქუჩა № 7. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი: ქმარი ნიკო იაკიმის-ძე უსტიაშვილი თავისი პატარა შვილებით—ნათელა და გაიოზით; მამა ლავრენტი ბოჭორიშვილი, დედამთილი მარიამ ივანეს ასული უსტიაშვილისა, მაზლი ალექსანდრე იაკიმის-ძე უსტიაშვილი, მული ანა უსტიაშვილისა, რძალი სიდა გიორგის ასული უსტიაშვილისა, სიძე ვასო ტაბატაძე, დები: მარო, ნუცა, ნატაშა და თამარი მწუხარებით აუწყებენ ყველა ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ ა. წ. 25 თებერვალს, ღამის 9 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ელენე ლავრენტის ასული
უსტიაშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე—ბორჯომის ქ. № 7. გამოსვენება ოთხშაბათს, 29 თებერვალს, დღის 3 საათზე. 1608

გაუბედურებული და უნუგეშოთ დარჩენილი დედა ქსენია, მწუხარებაში მყოფნი ბიძა იონა, გორგი, ბიცოლები ევგენია, ანიჩკა; ბიძაშვილები: ანგელინა, მინადორა, თინა, ბაბალე, თინა, მაყვალა, ელიზბარ და დათიკო ორჯონიკიძეები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 26 თებერვალს, 12 საათზე მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ირაკლი (კუკუტა) ორჯონიკიძე

დაკრძალვა მოხდება ქალ. ხაშურში 29 თებერვალს, დღის 3 საათზე.

ხაშურის საკავშირო დარგის თანამშრომლები აუწყებენ ამხანაგებს, რომ 26 თებერვალს 12 საათზე მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათივე თანამშრომლის ქსენია მაქსიმოვას ერთად ერთი საიმედო შვილი

ირაკლი (კუკუტა) ორჯონიკიძე

დაკრძალვა მოხდება ქ. ხაშურში, 29 თებერვალს, დღის 3 საათზე. 1614

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო („ზაკტაგ"-ი) იუწყება, რომ 25 ამა თებერვალს ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა სააგენტოს კორესპონდენტი

გერასიმე დიმიტრის-ძე
პოლშინი

ნ. 699

ლერი გერასიმეს-ძე, იულია გერასიმეს ასული, ევგენი გერასიმეს-ძე, ლარა გერასიმეს ასული, თამარა ლევის ასული, სანდრო უკლება, თენგიზ, ვალტამ და დოდოშკა აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებთ, რომ 25 თებერვალს ქ. ოზურგეთში მოულოდნელად გარდაიცვალა პირველთა მამა, მეორეთა სიმამრი და მესამეთა ბაბუა

გერასიმე დიმიტრის-ძე
პოლშინი

დაკრძალვა შესდგება ქ. ოზურგეთში. 1608

ნიკოლოზ ივანეს-ძე ნონიკაშვილი და მარიამ ივანეს ასული ბახუტაშვილისა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

სოფიო

გამოსვენება ოთხშაბათს, 29 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ანჩისხატის ტაძრიდან პეტრე-პავლის სასაფლაოზე. ნ. 701

სოფრომ მარკოზის-ძე ვარაზაშვილი აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი და დაუვიწყარი დაი

სოფიო მარკოზის ასული
ნონიკაშვილისა

გამოსვენება ოთხშაბათს, 29 თებერვალს, შუადღის 12 საათზე ანჩისხატის ტაძრიდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. ნ. 701

დამწუხრებული შვილები: შერმანდი, ირაკლი და ალექსანდრა (ცაფო), რძლები ვასასი, ვერა და ოლია დოლიძეები შვილებით: გიორგი, ვახტანგ, შუტუნია, ლუტუნია, ნათელა და ნაზია აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავებს, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფ. ამაღლებაში 24 თებერვალს გარდაიცვალა პირველთა საყვარელი დედა და მეორეთა საყვარელი ბებია

ალათი ზურაბის ასული
დოლიძისა

რომლის ტირილი და გამოთხოვების დღე დანიშნულია 28 თებერვალს, დღით სამშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე სოფ. ამაღლებაში (ოზურგ. მაზრა). 1606

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: რაჟდენ, ნესტორი, [illegible] მინა შავრაშიძეები, ქალიშვილი მარო კახიანისა, რძლები: [illegible] ვეროჩკა, საშა და ფატულა შავრაშიძეებისა, სიძე [illegible] შვილისშვილები: დათიკო, ლისიმა, ელენე, [illegible] თანდილი, ტარიელი, ნაზიკო, ოთარი და ზურაბი, მაზლიშვილი ქაიხოსრო შავრაშიძე ცოლითა და შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ ა. წ. 25 თებერვალს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ეშეხან ბიჭიას ასული
შავრაშიძისა

რომლის დაკრძალვა მოხდება ა. წ. 1 მარტს, დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფ. ეწერში საკ. სახლიდან. ნ. 698

ღრმად დამწუხრებულნი შვილი თებრონე შვილიშვილები მოსე—ცოლით სესილი, გრიგოლ—ცოლით შუშანა, ლიზა და მიშა გოგიბერიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა და ბებია

ლიზა დათუნაიშვილი

დასაფლავება მოხდება სოფ. დებზუში, ოთხშაბათს, 29 თებერვალს. 1613

მამა ევსევი, ძმები: სოსიკო და ალიკო, რძლები: თამარა და ნადია ძმისშვილები: ნინო, მაია და მაკა ფანცხავები აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ 26 თებერვალს ქ. სოხუმში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი

ანიკო ევსევის ასული
ფანცხავა-გაბუნია

ჩამოასვენებენ ქ. თბილისში სამშაბათს, 28 თებერვალს, დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. ნ. 700

მეუღლე გრიშა და ქალიშვილი ლია, მამამთილი მიხეილი, მაზლი ლევანი მეუღლით, მულები—ცაბუ, ციცუ, ოლია მეუღლით და ქსენია გაბუნიები აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს, რომ 26 თებერვალს, ქ. სოხუმში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი, ძვირფასი

ანიკო ევსევის ასული
ფანცხავა-გაბუნია

ჩამოასვენებენ ქ. თბილისში სამშაბათს, 28 თებერვალს, დაკრძალვის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე. ნ. 700

კომუნისტი
დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტის, თბ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
გრძელდება ხელის მოწერა 1928 წლისათვის
გაზეთი ეღირება
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით .	1 მ.—კ.	4 „ .	3 „ 85 „
2 „ .	2 „ — „	5 „ .	4 „ 80 „
3 „ .	2 „ 90 „	6 „ .	5 „ 75 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის.

1 თვით	1 მ. 30 კ.	—4 თვით	5 მ. — კ.
2 „	2 „ 60 „	—5 „	6 „ 25 „
3 „	3 „ 80 „	—6 „	7 „ 55 „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში
1 თვით. . 1 მან. 50 კ.
საზღვარ-გარეთ

1 თვით .	1 ნახ. დოლარი
3 „ .	4 „
6 „ .	8 „

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 84
0—2



სახელმწიფო გამომცემლობა
მოითხოვეთ ახალი წიგნები
ფალიაშვილი — ბოსტანი.
შ. თაქთაქიშვილი — პირველი მაისი. ფასი 75 კაპ.
ივანოვი — როგორ გადადიან ჯარები მდინარეს. გვ. 32, ფასი 20 კაპ.
ცეიტლინი — რადიო ომში. გვ. 40, ფასი 25 კაპ.
ნ. 429
25—17

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონ
პროლეტარი (ავლაბარში)
სახკინმრეწვის თეატრები

პირველად თბილისში მხატვრული სურათი
დრამა პომერის ცირკში
მაცისტის და ჟანა პონსიოტის მონაწილეობით
მილტონ სილსი სურათში ზღვის ქორი
პოეტი და მეფე
სეზონის საუკეთესო სურათი წრე
ამოხსი მსოფლიო ფილმი „განკიცხულნი" ვიქტორ ჰიუგოს რომანის მიხედვით.

იყიდება
იაფათ
საბეჭდი
მანქანა
რუსული შრიფტით
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპ. № 34. 0—1

ექიმი მეგრაბიანცი
ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. [illegible]
პაც. მიღება ყოველდღე დილით 9—1 და საღ. 6—8 საათზე.
ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. სუპთორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

მიიღება ხელისმოწერა
ყოველკვირეულ პოლიტიკურ ეკონომიურ და ლიტერატურულ
ჟურნალ „ახალ გზა"-ზე
ხელის მოწერის პირობები:

6 თვით	2 მან. 40 კ.
1 თვით	40 კ.

ხელის მოწერა მიიღება გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში რუსთაველის გამზირი № 34.
0—1

გამოვიდა და იყიდება გუზიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა"
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ. წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13—1 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. გოჭოლიშვილთან.

დღეს და ყოველდღე
კინო-თეატრებში
აპოლო-არფასტო-სოლეი
მხატვრული სურათი
„დრამა პომერის ცირკში"
მაცისტის და ჟ. კონსიოტის მონაწილ.
სალარო ღიაა საღამოს 5 ს. 45 წუთიდან
ნ. 702

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. კ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 2 მარტს 1928 წ. დღის 2 საათ. სახლში № 2 პლეხანოვის შესახვევში სასადილო „პურმარილში" **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ალექსანდრე ცხვირაშვილის მოძრავ ქონებას: სასადილოს მოწყობილობას და შემდეგ პლეხანოვის გამზირზე № 10-ში ვასილ ქარსელიძის ქონებას: ტანისამოსის შკაფს, ნიკელის კრაოტს, ატაჟერკას და სხვა. შეფასებულს 400 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად დანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27 თებერვალს 1928 წ. თარიღით, № 488 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ 703

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის სოფ. წასოფელში გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** 7 მარტს 1928 წ. დღის 12 საათზე ლევენტი ხიხაძის ერთ ზეილს 100 მან ოლღა ხიხაძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ჭიათურის სახ. სასამართლოს მიერ გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 702

თბილ. ქალაქის ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა.-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ 1926 წლის 5 ნოემბრის თარიღით დამტკიცებული, გრძელ ვადიან სარემონტო-სააღმშენებლო სესხთა შესახებ, დებულების თანახმად ამა 1928 წლის 15 მარტს ნაშუადღევის 2 საათზე ბანკის ბინაზე (პუშკინის ქ. № 3)

საჯარო ვაჭრობის წესით
გაყიდულ იქნებიან იმ მსესხებელთა სახლები

რომელთაც სავადო გადასახადთა შემოტანა ორ თვეზე მეტად დააგვიანეს

ყველა გასაყიდი სახლები ქალ. თბილისში მდებარეობენ, ვაჭრობა დაიწყება საერთო დავალიანების თანხიდან, რომელიც ქვემოთ ყველა სახლისათვის ცალ-ცალკე არის ნაჩვენები ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა უნდა შემოიტანონ ბანკის სალაროში როგორც სავადო გადასახადთა თანხა, აგრეთვე სახლზე აღრიცხული ყველა ქალაქისა, სახელმწიფო და სხვა გადასახადნი, ხოლო თავნი ვალის ნაშთი შეუძლიანთ თავის სახელზედ გადაიტანონ, მყიდველს შეძენილი სახლი მას შემდეგ დაუმტკიცდება, როდესაც იგი ვაჭრობის დროს წამატებულ თანხას შემოიტანს, ყველა დაწვრილებითი ცნობების მისაღებათ, მსურველთ შეუძლიანთ ბანკის სარემონტო-სააღმშენებლო სესხთა განყოფილებას მიმართონ.

გასაყიდ სახლთა სია:

ავეტისოვისა არშაკ ყაზარის-ძისა, მე-6 სამილიციო უბ. კახეთის (შაუმიანის) ქუჩაზე № 64.
სავადო გადასახადი 246 მან. 09 კაპ.

ასლანოვისა აბრამ სვიმონის-ძისა, 1-ლ სამილიციო უბანში, წყნეთის ქუჩაზე № 47.
სავადო გადასახადი 445 მან. 03 კაპ.

ბელჯაცმანისა დიდიე (იგივე დანიელ) იოსავის-ძისა, მე-8 სამილიციო უბანში, ახალ-არსენალი ქუჩაზე № 29.
სავადო გადასახადი 1.147 მან. 28 კაპ.

ბეზპროზვანოვთა აგაფია ივანეს ასულისა და პავლე და ვასილ ვასილის-ძეთა, ბეზპროზვანოვ-იანუშკოვსკისასი ნადეჟდა ვასილის ასულისა და ბეზპროზვანოვ-ვასილევისასი ეკატერინე ვასილის ასულისა, 1-ლ სამილ. უბ., საბურთალოზე ალვანის ქუჩაზე.
სავადო გადასახადი 231 მან.

გაბრიელოვისა გაბრიელ დავითის-ძისა, მე-7 სამილიციო უბანში არარატის ქუჩაზე № 17.
სავადო გადასახადი 330 მან. 66 კაპ.

დათიკაშვილისა მარიამ მიხეილის ასულისა, მე-2 სამილიციო უბანში, თეატრის შესახვევში № 7.
სავადო გადასახადი 169 მან. 33 კაპ.

ერისთავისა მარიამ გიორგის ასულისა; მე-3 სამილიციო უბანში, დავითის ქუჩაზე № 36.
სავადო გადასახადი 475 მან. 62 კაპ.

ვახტანგოვისასი მარიამ ალექსანდრეს ასულისა, მე-8 სამილიციო უბანში, პანასევიჩის ქუჩაზე № 6.
თავნი ვალი 171 მან სავადო გადასახადი 75 მან. 62 კაპ.

თოფურიძისასი ნინო ქაიხოსროს ასულისა, მე-2 სამილიციო უბანში, სასამართლოს ქუჩაზე № 27.
თავნი ვალი 1.059 მან. 60 კაპ. სავადო გადასახადი 2.063 მან. 41 კაპ.

კენჭაძეთა მარიამ ივანეს ასულისა, ლევან, იაკობ და ანტონ არტემის-ძეთა, მე-6 სამილიციო უბანში, მამუკინის მოედანზე № 8.
სავადო გადასახადი 323 მან 90 კაპ.

მუზდუსისა ილია იაკობის-ძისა, 1-ლ სამილიციო უბანში გუნიბის ჩიხში მდებარე ნაკვეთ მიწის № 8 და ზედ აგებულ შენობის აღნაგობის უფლება.
თავნი ვალი 753 მან. 40 კაპ. სავადო გადასახადი 630 მან. 29 კაპ.

მირზოევისა გველო გრიგოლის-ძისა, მე-7 სამილიციო უბანში, კახეთისა და შამხორის ქუჩაზე № 11/34.
თავნი ვალი 870 მან. 98 კაპ. სავადო გადასახადი 483 მან. 04 კაპ.

მასტიუკინისა ნიკოლოზ ივანეს-ძისა, მე-8 სამილიციო უბანში, პეტრიწის მოედანზე № 3.
თავნი ვალი 651 მან. 66 კაპ. სავადო გადასახადი 243 მან. 48 კაპ.

ნარსიასი შალვა ეგნატეს-ძისა და მამრაძისა ნინო დავითის ასულისა, მე-3 სამილიციო უბანში, ენგელსის (ყოფ. ბებუთოვის) ქუჩაზე № 64.
სავადო გადასახადი 470 მან. 47 კაპ.

ოქრომჭედლიშვილისა ნინო იოსების ასულისა და ალექსანდრა ივანეს ასულისა, მე-2 სამილიციო უბანში, დავითის ქუჩაზე № 43.
სავადო გადასახადი 75 მან. 98 კაპ.

რაბი-ისმაილ-ოღლისა; მე-4 სამილიციო უბანში, ენგელსის ქუჩაზე და შესახვევში და ფეთხაინის აღმართზე № 21/1/2.
თავნი ვალი 702 მან. 06 კაპ. სავადო გადასახადი 132 მან. 30 კაპ.

ჩილინგაროვისა გეორგ მოსეს-ძისა, მე-9 სამილიციო უბანში, პლეხანოვის პროსპექტზე და კირკის ქუჩაზე № 88—90/21.
სავადო გადასახადი 1286 მან. 63 კაპ.

ჩხაიძეთა შალვა და ვლადიმერ ბართლომეს-ძეთა, მე-12 სამილიციო უბანში, არკადის შესახვევში და ჩიხში მდებარე სახლის № 9/4 ნახ. ნაწილის უფლება.
სავადო გადასახადი 354 მან. 91 კაპ.

წივწივაძისა სევერიან ექვთიმეს-ძისა. მე-11 სამილიციო უბანში, კურგანის ქუჩაზე № 8.
სავადო გადასახადი 80 მან. 36. კაპ.

ჭიჭინაძისა სალომე კონსტანტინეს ასულისა, 1-ლ სამილიციო უბანში, წყნეთის ქუჩაზე № 14.
სავადო გადასახადი 249 მან. 83 კაპ.

ხელაშვილისა გიორგი ალექსის-ძისა, მე-9 სამილიციო უბანში, ნეკრასოვის ქუჩაზე № 14.
სავადო გადასახადი 226 მან. 42 კაპ.

ნ. 704

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოლონოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 1[illegible]—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02
25—9

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 13—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82
25—1

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელინსკის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

დაიკარგა: ხელრიცხვო ბარათი გაცემული მე-11-ტე სამ. უბნიდან მიხეილ გიორგისძე კოკაძის სახელზე. 1611

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ.
საღამოს 5—8 საათ.
დილის 11—1 საათ.
სპეციალურად სიფილისით ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ყორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—9 25—10

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ზ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროს. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა"-ს (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8·

დაიკარგა: უვადო პირადობის მოწმობა № 86 ალექსანდრე გიორგიძე მუშლაძის სახელზე, ჩ. გ. 1609ზე, ჩ. გ.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 64